

PATRICK OUŘEDNÍK

EUROPEANA
STRUČNÉ
DĚJINY
DVACÁTÉHO
VĚKU

PASEKA
PRAHA
2001

პატრიკ ოურქელიშვილი

ევროპის ეროვნული მოწიფე უსტორის

ევროპის
ეროვნული
მოწიფე
უსტორის



გამომცემლობა
„პეგასი“
2009

წიგნი ითარგმნა ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „ჩეხური
ლიტერატურის პოპულარიზაციის პროგრამის ფარ-
გლებში“

ჰატრიკ ოურუელნიკი. ევროპეანა. მეოცე საუკუნის
მოკლე ისტორია.

ჩეხურიდან თარგმნა გიული ლეჟავამ. გამომცემლობა
„პეგასი“, 2009,

პროექტის ავტორი – გაბრიელ როდონაია

საფრანგეთში მცხოვრები თანამედროვე ჩეხი მწერ-
ლის ბრწყინვალე სატირა წარმოადგენს სტილისტურ
ექსპერიმენტს, რომელსაც აძსურდისა და ბურლესკის
სულისკვეთება გამსჭვალავს.

მე-20 საუკუნე მასში წარმოდგება, როგორც რიტო-
რიკული ფიგურა და ფიქცია, სულელური ლოზუნგების
უაზო რწმენა-წარმოდგენების და სტერეოტიპების
დაუნდობელი მიქსი.

2001 წელს „ევროპეანა“ ჩეხეთში „წლის წიგნად“
იქნა აღიარებული. იგი თარმინილია 20 ენაზე.

წიგნის გასაფორმებლად გამოყენებულია შაკ კალოს
(Jacques Callot 1592-1635) გრავიურა „ომის საშინელე-
ბანი“.

ISBN 978-9941-9073-9-5

© Patrick Ouredník, 2001

© გიული ლეჟავა, თარგმანი, 2009

© გია ცხადაია, დიზაინი, 2009

© გამომცემლობა „პეგასი“, 2009

მთარგმნელისგან

1968 წლის ცნობილი მოვლენების, ანუ პრაღაში საბჭოთა ტანკების შესვლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიაში დაიწყო კომუნისტური სისტემის გამყარება, ე.წ. „ნორმალიზაციის პერიოდი“, რამაც საზოგადოების სხვადასხვა ფენაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, ზოგი დაადგა კონკრეტურმიზმის გზას, ზოგიც – კონფრონტაციისას. 1968 წლიდან 1989 წლის ხავერდოვან რევოლუციამდე ჩეხური მწერლობა პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ერთი კომუნისტი, ანუ კონფრონტისტი მწერლები იყვნენ, მეორენი (ი.საიურტი, ბ.პრაბალი, ლ. ვაცულიკი და სხვ.) – დისიდენტი მწერლები, რომლებიც ოფიციალურ პრესაში არ იძეჭდებოდნენ და, თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, საზღვარგარეთ აქვეყნებდნენ თავიანთ ნააზრევს, დაბო-

ლოს ემიგრანტი მწერლები (მილან კუნდერა, იოზეფ შკვორეცი და სხვ.); მათს რიცხვს მიეკუთვნება პატრიკ ოურუელნიკიც, ავტორი წიგნისა “ევროპეანა, მეოცე საუკუნის მოკლე ისტორია.” იგი შედარებით გვიან, 1985 წელს, წავიდა ემიგრაციაში. შეკითხვაზე, იყო თუ არა პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეული მისი ემიგრაციაში წასვლა, მან ასეთი პასუხი გასცა: “რასაკეირველია, პოლიტიკური მიზეზი იყო. როგორც ყველა თავმოყვარე ადამიანს, რეჟიმთან პრობლემები მეც მქონდა. თუმცა, ეს არ იყო საკმარისი მიზეზი. მე მქონდა დაღლილობის და ინტელექტუალური სულის ხუთვის გრძნობა, შიში იმისა, რომ ჩემი გონება თანდათან ველარ იმუშავებდა მთელი პოტენციით; ასევე მაინტერესებდა, თუ როგორ ფიქრობდა ხალხი სხვაგან, განსხვავებულის არარსებობა ზომ ტოტალიტარული რეჟიმის მთავარი პრინციპია.”

პატრიკ ოურუელნიკი დაიბადა 1957 წელს ჩეხოსლოვაკიაში. იგი საერთაშორისო არენაზე კარგადაა ცნობილი და ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ თანამედროვე მწერლად ითვლება. ცხოვრობს პარიზში, დედით ფრანგია და მამით ჩეხი; ორივე ენას, როგორც ამბობენ, თანაბრად კარგად ფლობს.

რედაქტორობს ლიტერატურულ რუბრიკას კვარტალურ ჟურნალში L'Autre Europe,ჩეხური ენციკლოპედიისთვის ("Encyclopedia Universalis") პატრიკ ოურუელნიკმა ჩეხურიდან ფრანგულ ენაზე თარგმნა ვ. ვანჩურა, ბ. პრაბალი; აგრეთვე ვ.ოლანდის, ი. საიფერტის და სხვათა პოეზია (სხვათა შორის, იაროსლავ საიფერტი გახლავთ ის პოეტი, რომელმაც ცნობილი ჩეხი ქართველობის იარომირ იედლიჩკას მიერ თარგმნილი დავით გურამიშვილის "ქაცვია მწყემსის" ტექსტი შესანიშნავად გაღექსა; მანვე თავისი პოეტური შემოქმედებისათვის 1984 წელს მიიღო ნობელის პრემია). პატრიკ ოურუელნიკი ასევე წარმატებით თარგმნის ფრანგულიდან ჩეხურ ენაზე. მან თარგმნა ფ.რაბლე, ს.ბეკეტი, ბ.ვიანი. "პანტაგრუელის წინასწარმეტყველებანის" (Pantagrueline Prognostication) თარგმანში მან 1995 წელს ჩეხეთის მთარგმნელთა საზოგადოებისგან მიიღო იოზეფ იუნგმანის სახელობის პრემია. პატრიკ ოურუელნიკი პოპულარული გახდა ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა მის მიერ შედგენილი ლექსიკონი, Smirbuch jazyka ceskeho – ჩეხური ენის შავი რვეული (ჩეხური არგოსა და არაფორმალური სიტყვების ლექსიკონი) გამოიცა. ეს წიგნი სამჯერ

დაიბეჭდა (ბოლოს – 2005 წელს) და დღეს უკვე ძნელად საშოგნელია. პ.ოურუელინიერი აგრეთვე ავტორია ლექსების სამი კრებულისა: “ან” (Anebo, 1992), “ვიტყვი კი”(Nerkulii, 1996), “ფეხშიშველას სახლი” (Dum boseho, 2004). გამოსცა აგრეთვე ბიბლეიზმებისა და პარაბიბლეიზმების ლექსიკონი და სხვ. “ევროპეანა” ოც ენაზეა გამოცემული. ამ მცირე მოცულობის წიგნმა მაშინვე მიიჰყორ მკითხველებისა და კრიტიკოსების ყურადღება თავისი უჩვეულო და უცნაური წერის მანერით. ეს არ არის ისტორია, ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით; იგი იმაზე მოგვითხრობს, თუ როგორ ფიქრობს და რას ლაპარაკობს ხალხი ისტორიის შესახებ. ამ წიგნზე ბევრი რამ დაიწერა. ცნობილი ჩეხი ფილოსოფონი ვაცლავ ბელოვოროდსკი წერს: “ევროპეანა” საბაბს გვაძლევს დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ ცდილობდნენ მოქადინათ ადამიანის ოპტიმიზაცია მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში და როგორი კრახი განიცადა ამან...”

“ ეს არის უცნაური, პოსტმოდერნისტული ისტორიოგრაფია, მასში დაწერილებით არის ჩამოთვლილი ევროპის აბსურდული ისტორიის აბსურდული ამბები... მეოცე საუკუნის ისტორიის უნიკალური ვერსია,

გადმოცემული არაფორმალური, ჰიპნოზივით
მოქმედი ხმით,” – წერს Dalkey Archive
Press.

“ევროპეანა” გეთავაზობს თანამედროვე
ევროპის ისტორიის ბურლესკურ სახ-
ეს, ჭრაგიკული სიტუაციები ანეკდოტურ
ფაქტებთან არის გადახლართული, რაც ააშ-
კარავებს მეოცე საუკუნის აბსურდულობას”,
- წერენ Le Tempe –ში.

“თხრობის კილო სასაცილო, სამეცნიერო,
ინფანტილური, სარკასტული და პირქუშია...
„ევროპეანა“ ერთდროულად არის ისტორი-
ის შესახებ ძალიან უცნაური ნაშრომი და
ზელოვნების ორიგინალური და გონებამახ-
ვილური ნიმუში” (Chicago Review).

ირონია და სარკაზმი საერთოდ დამახა-
სიათებელია ჩენი მწერლებისთვის (გავიხ-
სენოთ ი. პაშეკი, კჩაპეკი, თანამედროვე
მწერლებიდან – მ. კუნდერა, ი. შკვორეცკი
და სხვ.). პატრიკ ოურუედნიკის “ევროპე-
ანას” კითხვისას ბევრჯერ შეიძლება სიმ-
წრით გაგეცინოთ, ადამიანების მიერ ჩად-
ენილმა სისასტიკემ და ავტორის ცინიკურმა
გამონათქვამებმა შეიძლება უიმედობა და
უპერსპექტივობა გამოიწვიოს, მაგრამ, ასე
მგონია, ავტორი მკითხველს მაინც ინდობს
და ნაწარმოებს ოპტიმისტურად ასრულებს.

მიუხედავად ყველაფრისა, კაცობრიობა წინ
მიიწევს და ქმნის კაცთა მოღვარის ერთ
დიდ ისტორიას. ამ უცნაურ და მიმზიდ-
ველ წიგნში აუტორიც უგულებელყოფს
პუნქტუაციისა და გრამატიკის ბევრ წესს:
გამოტოვებულია ტირე, არ არის გამოყო-
ფილი აბზაცები, ტექსტი გადატვირთულია
კავშირებით. ყოველივე ამის შენარჩუნებას
აუტორი თარგმანშიც მოითხოვს. იგი იყ-
ენებს ისეთ რთულ სიტყვებს, როგორებიცაა:
“მილენარიანიზმი” (ქრისტეს ათასწლიანი
მმართველობის რწმენა), ან “ენგრამა” (მეხ-
სიერების მატერიალური საფუძველი) და
ა.შ. თუმცა, როცა ყოველივე ამის შესახებ
ეკითხებიან აუტორს, ის უკამაყილებას გა-
მოთქვამს: მკითხველი ჭკვიანია და თვითონ
მიზვედება ყველაფერსო.

Dalkey Archive Press-ში გამოქვეყნებულ
ინტერვიუში სელინ ბოურჰის მიერ დასმულ
ერთ-ერთ კითხვას — “თუ ცდილობდით
წარსული საუკუნის აბსურდულობა გადმო-
გეცათ?” — მწერალმა ასე უპასუხა: „მარ-
ტივად გეტყვით. რა იყო მთავარი საკვანძო
სიტყვები მეოცე საუკუნეში? — პირველი
უდავოდ, სიჩქარე, („ქაოსი” ყველა სხვა საუ-
კუნეს უფრო შეეფერება, ვიდრე მეოცეს).
ეს კი ნიშნავდა, მოდი, ვცდი, დავწერო ჩქარი

ტექსტი. მეორე დამახასიათებელი ნიშანი მეოცე საუკუნისა, ჩემი აზრით, არის ინფანტილიზმი, ახალგაზრდობის რომანტიკულ-კომერციული იმიჯით დაწყებული და საკუთარი სიტყვებისა და ქმედებების გამო მთელი პასუხისმგებლობის აღებაზე უარის თქმით დასრულებული. მაშინ, მოდი, იქნებ ვცადო და დავწერო ბავშვური ტექსტი, ისეთი ტექსტი, როგორსაც შეიძლება ბავშვი გაკვეთილზე მოჰყეს. დაბოლოს – მესამე; ეს საუკუნე, ცხადია, მეცნიერული იყო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ უნდა გამომეყენებინა მეტ-ნაკლებად სამეცნიერო ლექსიკა მთელი მისი წინააღმდეგობებით და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, მთელი მისი უაზრობით. სწორედ ამ ელემენტებმა წარმოშვა ამ წიგნის ფორმა და შინაარსი. ანუ ჩემთვის მთავარი არ იყო მცოდნოდა, თუ რა შემთხვევები, რა ეპიზოდები იყო მეოცე საუკუნისთვის დამახასიათებელი, არამედ ის, თუ როგორი სინტაქსი, როგორი რიტორიკა და როგორი ექსპრესიულობა ახასიათებდა მას და რა გაგებით იყო ის გადაჭარბებული”

ასე შეიქმნა ეს წიგნი – უცნაური და დამაფიქრებელი, სასტიკი და საინტერესო. ქართველ მკითხველს ბევრი რამ შეიძლება ენიშნოს, ბევრიც მოულოდნელი აღმოჩნდეს

ინგლისელუბშია
გამოიგონეს
ტანკი

ბობდნენ I მსოფლიო ომის შესახებ. მოგვიანებით, რესმა კომუნისტებმა გამოთვალეს, თუ რამდენი სასუქის მიღება შეიძლებოდა 1 კილომეტრი გვამისგან და რამდენი ძვირადლი-რებული, უცხოური სასუქი შეიძლებოდა დაეზოგათ, მოლალატეებისა და დამნაშავეების გვამები რომ გამოეყენებინათ. ინგლისელებმა გამოიგონეს ტანკი, გერმანელებმა კი გაზი, რომელსაც იპრიფი უწოდეს იმიტომ რომ ის პირველად ქალაქ იპრესთან გამოიყენეს, მაგრამ შეიძლება ეს მართალი არ იყო, ამ გაზს კიდევ მდოგვსაც უწოდებდნენ, რადგან ცხვირში ისევე წიწენიდა, როგორც დიუონის მდოგვი და ეს, თითქოს, უფრო გავდა სიმართლეს, რადგანაც ომიდან დაბრუნებული ბევრი ჯარისკაცი პირს აღარ აკარებდა დიუონის მდოგვს. პირველ მსოფლიო ომზე ამბობდნენ, 14 რომ ის, იმპერიალისტური იყოთ

და ეს იმიტომ, რომ გერმანელები გრძნობდნენ, სხვა ქვეყნების, განწყობა მათდამი წინასწარ უარყოფითი იყო და არ უნდოდათ გერმანია იმპერია გამხდარიყო და გერმანელებს შეესრულებინათ რაიმე ისტორიული მისია. ხალხის უმრავლესობა კი ევროპაში, გერმანიაში, ავსტრიაში, სერბიასა თუ ბულგარეთში ფიქრობდა, რომ ომი აუცილებელი და სამართლიანი იყო და რომ მისი წყალობით მსოფლიოში დამკვიდრდებოდა მშვიდობა. და ბევრი თვლიდა, რომ ომი ადამიანში გამოაღვიძებდა ზნეობას, რომელიც თანამედროვე სამრეწველო სამყარომ უკან დასწია, მაგალითად, სამშობლოს სიყვარული, სიმამაცე, თავგანწირვა. ღარიბებს კი ომი ასარებდათ, რადგან მაგარებლით მგზავრობას შეძლებდნენ, სოფლებებს კი უხაროდათ, ფიქრობდნენ რომ დიდ ქალაქებში ჩავიდოდნენ და რაიონები 15

ფოსტიდან დარეკავდნენ, ან დეპეშას გაუგზავნიდნენ ცოლს – მე კარგად ვარ, იმედი მაქვს შენც კარგად ხარო. გენერლებიც მოუთმენლად ელოდნენ, რომ მათზე გაზეთებში დაწერდნენ, ხოლო ეთნიკური უმ-ცირესობის წარმომადგენლებს კი ის უსაროდათ რომ იბრძოლებდნენ უაქცენტო მეომრებთან ერთად და იმღერებდნენ სალაშქროსა და ძველ მხიარულ სიმღერებს. ყველა ერთად კი, ფიქრობდა, რომ სახლში დაბრუნდებოდა რთველის დროს, ან შობისთვის ხომ, ყველა შემთხვევაში.

გოგიერთი ისტორიკოსი მოგვიანებით ამბობდა, რომ მეოცე საუკუნე სწორედ 1914 წელს დაიწყო, როცა ომმა იფეთქა, ვინაიდან ეს იყო პირველი ომი ისტორიაში,

რომელშიც ამდენმა ქვეყანამ მიიღო
მონაწილეობა, დაიღუპა ამდენი
სალსი, როცა ჰაერში დაფრინავდ-
ნენ დირიქაბლები და აეროპლანები
და ბომბავდნენ ბურგს, ქალაქებს
და სამოქალაქო მოსახლეობას, წყ-
ალქვეშა ნავები ძირავდნენ სომალ-
დებს, ქვემეხები ისროდნენ კიდული
ცეცხლით ათი, ან ოცი კილომეტრი-
დან. გერმანელებმა გამოიგონეს
გაზი, ინგლისელებმა კი, ტანკები,
მეცნიერებმა კი, გამოიგონეს იზო-
ტოპები და ფარდობითობის ზოგა-
დი თეორია, რომლის მისედვითაც,
არაფერი იყო მეტაფიზიკური, იყო
მსოლოდ ფარდობითი. სოლო როცა,
სენეგალელმა მსროლელებმა პირ-
ველად დაინახეს თვითმფრინავი,
მოშინაურებული ჩიფი ეგონათ, და
ერთმა სენეგალელმა მეომარმა მკვ-
დარ ცხენს მოაჭრა სორცის ნაჭრები
და თვითმფრინავს ესროლა, თა-
ვისგან რაც შეიძლება შორს რომ

გერმანელებმა
გამოიგონებს
გაპი

გაეფყუებინა. მეომრებს კი ეცვათ
მწვანე და შენილბული უნიფორმები,
მტერს რომ არ დაენახათ, და ეს იმ
დროს სიახლე იყო, რადგან წინა
ომებში ჯარისკაცები ძალიან ფერად
უნიფორმებს ატარებდნენ – შორიდან
რომ კარგად დაენახათ. ამ დროს კი
ჰაერში, დაფრინავდნენ ღირიუაბლე-
ბი და აეროპლანები რაც ცხენებს
საშინლად აფრთხობდა. მწერლები
და პოეტები კი ეძებდნენ გზებს, რომ
აესხნათ და გამოეხატათ ყოველივე
ეს, რაც შეიძლება, კარგად და 1916
წელს მოიფიქრეს დადაიბმი, რადგან
მათ ყველაფერი შეშლილი ეჩვენე-
ბოდათ. რუსეთში კი, რევოლუცია
მოიფიქრეს. ჯარისკაცები კი ყელ-
ბე და მაჯაბე ნიშანს ატარებდნენ
თავის გვარით და პოლკის ნომ-
რით, გასაგები რომ ყოფილიყო ვინ
ვინ იყო და სად უნდა გაეგზავნათ
სამძიმრის დეპეშა. მაგრამ აფეთქე-
ბა, რომელიმე მათგანს თუ მოაგლე-

ჯდა თავს, ან სელს, ან იგი ნიშანს დაკარგავდა, სამსედრო შფაბი მას უცნობ ჯარისკაცად აცხადებდა. უცნობ ჯარისკაცებს თითქმის ყველა დიდ ქალაქში მარადიული ცეცხლი დაუწეს, სალსს რომ არ დავიწყებოდა ისინი, რადგანაც ცეცხლი ინახავს წარსულის რაღაც ხსოვნას. დაღუპულ ფრანგთა რიცხვი კი სულ 2681 კმ. იყო, ინგლისელებისა – 1547 კმ., დაღუპულ გერმანელთა – 3010 კმ. საშუალოდ, რომ ავილოთ თითო ცხედარი 172 სმ. სიგრძის, მთლიანად, მთელ მსოფლიოში 15508 კმ. დაღუპული ჯარისკაცი იყო. 1918 წელს კი მსოფლიოს გრიპის, ამბობდნენ ესპანურიო, ეპიდემია მოედო, რომელმაც დაახსლოებით 20 მილიონი ადამიანი იმსსვერპლა. პაციუისტები და ანტიმილიტარისტები მოგვიანებით ამბობდნენ, რომ ეს სალსიც ომის მსსვერპლი იყო, რადგანაც ჯარისკაცები და სამო- 19

სამყარო უფხუ-
რულისკენ მი-
ექანება

ქალაქო მოსახლეობა ანტისანი-
ტარულ პირობებში ცხოვრობდა,
თუმცა, ეპიდომოლოგები ირწმუნე-
ბოდნენ, რომ გრიპმა გაცილებით
უფრო მეტი სალსი იმსსვერპლა იმ
ქვეყნებში, სადაც ომი არ ყოფილა,
მაგალითად, წყნარი ოკეანის კუნ-
ძულებზე, ინდოეთში თუ შეერთე-
ბულ შტატებში, სოლო ანარქისტები
ამბობდნენ, რომ ასეც უნდა მომხ-
დარიყო, რადგანაც სამყარო დალპა
და უფსკრულისკენ მიექანებაო.

მაგრამ, სსვა ისტორიკოსები ამ-
ბობდნენ, რომ სინამდვილეში,
მეოცე საუკუნე უფრო აღრე დაი-
წყო, და მისი დასაწყისი სამრეწვე-
ლო რევოლუცია იყო, რომელმაც
დაანგრია ტრადიციული სამყარო,
რომ ყველაფერში დამნაშავე ლო-
კომოტივები და გემები იყვნენ. და,
სხვები კი ამტკიცებდნენ, მეოცე
საუკუნე მაშინ დაიწყო, როცა ცნო-

ბილი გასდა, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო. ზოგი იმასაც ამბობდა, შესაძლოა, ჩვენც მაიმუნისგან წარმოვიშვით, მაგრამ ნაკლებად, ვიდრე სსვანი, რადგან უფრო სწრაფად განვვითარდითო. შემდეგ, ხალხმა დაიწყო ენების შედარება და ფიქრი თუ ვისი ენა იყო უფრო სრულყოფილი და ვინ იყო ყველაზე წინ წასული ციკილიზაციის განვითარების პროცესში. უმეტესობა თელიდა, რომ ესენი ფრანგები იყვნენ, რადგანაც საფრანგეთში ბევრი საინტერესო რამ იქმნებოდა, და რომ, ფრანგებს ესერსებოდათ საუბრის წარმართვა, იყენებდნენ კავშირებით კილოს და ნამყოს წინარე წარსულის პირობით დროს, მომსიბლავად უღიმოდნენ ქალებს, სოლო ქალები ცეკვავდნენ კანკანს და მსაფვრები კი იგონებდნენ იმპერესიებს. გერმანელები კი ამბობდნენ, რომ ჭეშმარიტი ციკილიზაცია უნდა

ციკილიზაციის
განვითარების
პროცესი

იყოს უბრალო და სალსთან ასლოს, და რომ მათ შექმნეს რომანტიზმი, და ბევრი გერმანელი წერდა სი-ყვარულზე... და ველებზე ჩამო-წოლილიყო ნისლი. გერმანელები თვლიდნენ, რომ ევროპული ცივი-ლიბაციის ბუნებრივი მატარებლე-ბი იყვნენ, რადგანაც შეეძლოთ ბრძოლა, ვაჭრობა და ასევე მხია-რული დროსფარება მეგობრებთან. ფრანგები კი ყოყლოჩინები იყვნენ, ინგლისელები ქელმაღლები, ხოლო სლავებს ნორმალური ენაც კი არ ქონდათ, ენა ხომ ერის სულია, სლავებს კი არც ერი სჭირდებოდათ და არც სახელმწიფო, იმიტომ რომ მსოლოდ თავგზა აერეოდათ. ამაზე, სლავები ამბობდნენ,, რომ ეს არ იყო მართალი, რომ სინამდვილეში მათი ენა ყველაზე ძველი იყო და რომ მათ, ადვილად შეეძლოთ ამის დამტკიცება. გერმანელები ფრანგებს

ჭიაჭამიებს უძასდნენ, ფრანგები
კი გერმანელებს – კომბოსტოს-
თავიანებს. რუსები კი ამბობდნენ,
რომ მთელი ევროპა დაკანინდა და
რომ კათოლიკებმა და პროტესტან-
ტებმა ევროპა მთლიანად გარყვნეს
და წინადაღება პქონდათ თურქები
გაეყარათ კონსტანტინოპოლიდან
და შემდეგ, ევროპა მიეერთები-
ნათ რუსეთთან სარწმუნოება რომ
შესარჩენებულიყო.

ევროპა
დაკანინდა

პირველ მსოფლიო ომს ასევე, სან-
გრების ომსაც უწოდებენ, რადგან,
ომის დაწყებიდან რამდენიმე თვის
შემდეგ ურონტის საზი ჩაკვდა და ჯა-
რისკაცებმა თავი შეაფარეს დაჭაო-
ბებულ სანგრებს. ლამით ან დილ-
ით შეტევაზე გადადიოდნენ, რომ
ბრძოლით მოეპოვებინათ მგრის 20.
30, ან 50 მეტრი ტერიტორია. და ჯა-
რისკაცები მწვანე ან შენიდბულ უნი-

მეომრები
ერთმანეთის
წინააღმდეგ
იყენებდნენ
კულტურულ სუსტებას

ფორმებს აფარებდნენ, ერთმანეთს ბომბავდნენ და ერთმანეთს ესროდნენ. გერმანელებს ქონდათ მინომეტები, ფრანგებს კი – მორცირები, ასე რომ, მათ შეეძლოთ ერთმანეთის წინააღმდეგ გამოეყენებინათ კიდული ცეცხლი. და, როცა, რაზმი შეტევაზე გადადიოდა, მეომრებს უსდებოდათ მტრის სანგრებზე გადასტომა, მავთულსლართების გადაჭრა და თან სიფრთხილე, ფეხი არ დაედგათ ნაღმებზე. მტერი კი, ამ დროს, მათ ავფომაგიდან ესროდა. მეომრები ამ სანგრებში თვეებსა და წლებს აფარებდნენ. ეშინოდათ, მოიწყენდნენ, თამაშობდნენ კარტს და მიწისქვეშა გასასვლელებს სახელებს არქმევდნენ. ფრანგებმა მოიფიქრეს ასეთი სახელები: ლოკოკინასთან, ოპერის მოედანი, უილბლობა, დებერტირთან, მტრობა, თავსატეხი. გერმანელებმა კი თავის მსრი-

დან — გრეგხენი, ბრუნშილდა, მსუქანი ბერტა და სისხლიანი ძეხვი. გერმანელები ამბობდნენ, რომ ფრანგები დიდგულები არიან, ფრანგები კი ამბობდნენ, რომ გერმანელები არაცივილიზებულები არიან. და უკვე აღარავინ ფიქრობდა საშობაოდ სახლში დაბრუნებაზე და თავს მიტოვებულად და მოძულებულად თვლიდა. სამსედრო შგაბებიდან კი, შეტყობინება მოდიოდა, რომ ომი დასასრულს უასლოვდებოდა და ჯარისკაცები არ უნდა დაცემულიყვნენ სულით და მისცემოდნენ მელანქოლიას, არამედ უნდა ყოფილიყვნენ მოთმინებით და პოზიტიურად განწყობილნი. ერთმა იგალიელმა ჯარისკაცმა თავის წერილს მიაწერა: ვგრძნობ, რომ რაც კი რამ კარგი იყო ჩემში, თანდათან მფოვებს და დღითიღე ვხდები უფრო და უფრო პოზიტიური. ექ- 25

იმებისთვის დიდ გამოცანად იქცა,
სანგრებში ჭირის ეპიდემია რომ
არ გაჩნდა, რადგან ჯარისკაცებთან
ერთად ვირთხებიც ცხოვრობდნენ.
ვირთხები ანადგურებდნენ გვამებს,
ცოცხლებს კი სან ხელზე და სან
ცხვირზე კბენდნენ. სამსედრო შტა-
ბებში ეშინოდათ, რომ დაიწყებოდა
შავი ჭირი და მტერი დაიკავებდა
თავდაცვით პოზიციებს და ამიტომ,
ყოველ მოკლულ ვირთხაზე ჯილდო
დააწესეს. ჯარისკაცები ვირთხებს
ესროდნენ და კუდებს აჭრიდნენ,
დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთი
რომ ქონოდათ, საღამოს კი, ვირთხ-
ის კუდების საქმესთან დაკავშირე-
ბით გამოყოფილ სპეციალურ რწ-
მუნებულს აბარებდნენ, რომელიც
კუდებს ითვლიდა და ამბობდა, თუ
ვინ რამდენი გამოიმუშავა, მაგრამ
ფული არ მოსულა, რადგან არც ყო-
ფილა გამოყოფილი. ჯარისკაცებთ-
ან ერთად, ფილებიც ცხოვრობდნენ.

სანდახან, როცა მტერს ჩაუსაფრდებოდნენ, ესმოდათ როგორ იქექებოდა მოწინააღმდეგე, სვდებოდნენ, სად იმალებოდა მტერი და იმ მიმართულებით ხსნიდნენ ცეცხლს, ისროდნენ ყუმბარებს, მაგრამ არც ტილები და არც მტერი არ კლებულობდა.

როება მტერს
ჩაუსაფრდეულებოდნენ

მეოცე საუკუნეში სალხმა ტრადიციული რელიგიიდან გადაუხვია. როცა გაიგეს, რომ მაიმუნისგან წარმოიშვნენ, შეუძლიათ მაგარებლით მგზავრობა, ტელეფონით დარეკვა და წყალქვეშა ნავით წყლის სიღრმეში ჩაშვება, თანდათან დაშორდნენ რელიგიას, სულ უფრო და უფრო ნაკლებად დადიოდნენ ეკლესიაში და ამბობდნენ, რომ არავითარი ღმერთი არ არსებოდდა და რელიგია ადამიანებს უმეცრების წყვდიადში ამყოფებდა და ისინი მსარს უჭერდნენ პოზიტივიზმს. პოზიტივიზმი იყო

პოზიტივიზმი
27

რომ უფრო ადრე არაფერიც არ იყო. მორწმუნების ადასტურებდნენ, რომ ბიბლიაშიც სწორედ ასე წერიათ. პოპიტივიზმა, თანდათან, დაკარგა მიმჩიდველობა, ვინაიდან სალსმა არ იკოდა რა ეფიქრა პროგრესზე, წყალქვეშა ნავებზე, ატომურ ბომბზე და დაიწყო ფიქრი, ხომ არ სჯობდა ჩასწვდომოდნენ ფრანსცელენტალურს. გოგიერთი მეცნიერი, იმასაც ამბობდა, რომ მეცნიერული შესწავლა სრულიადაც არ უარყოფს ღმერთის არსებობას და თუმცა მეცნიერებას არ შეუძლია მოგვცეს უტყუარი მტკიცებულება ღმერთის, ან რომელიმე ბე ყოფიერების არსებობის შესასებ, მას შეუძლია ნიადაგი მოამზადოს მეცნიერულად დამტკიცებული პასუხისმომვების კითხვაზე, რომელიც კაცობრიობის წინაშე დგას, ანუ რომ ცხოვრების აჩრი და ღმერთის ჩანაფიქრი, ფაქტიურად, ერთი და იგივეა. ფილოსოფოსები

კი მსჯელობდნენ, ხომ არ შეიძლება ღმერთი ვირტუალურად მაინც არსებობდესო, ეს კი ოქსიმორონი იქნებოდა.

ვირტუალური
რეალობა

მეცსრამეტე საუკუნის დასასრულს სალსი ქალაქებში მოუთმენლად ელოდა ასალ ათასწლეულს, ეგონათ, რომ მეცსრამეტე საუკუნემ განსაზღვრა ყველა ის გზა, რომლითაც უნდა ევლო კაცობრიობას და რომ მომავალში ყველას შეეძლებოდა ელაპარაკა ტელეფონით და ემოგბაურა გემით, გადაადგილებულიყო მიწისქვეშ, ემგზავრა მოძრავი სახელურიანი თვითმავალ კიბებით და გასათბობად გამოეყენებინა სარისსიანი ნასშირი და ებანავა შესაძლოა, კვირაში ერთსელაც კი ელექტრომაგნიტური ტელეგრაფი და უკაბელო ტელეფონი ელვაზე უწრაფესად გადაიტანდნენ ადამიანთა აჩრებს და მისწრაფებებს სივრცეში 31

და ეს კაცობრიობას საშუალებას მის-
ცემდა მიეღწია პარმონიისთვის და
ეცხოვრა სიმშვიდესა და ერთობაში.
გრანდიოზულ მოვლენად იქცა, 1900
წელს, მსოფლიო გამოფენა პარიზ-
ში, რომელმაც, ახალი საუკუნის მი-
ზნაზე, ხოფბა შეასსა მომავალს და
იმ გზებს, რომლითაც ივლიდა კაცო-
ბრიობა, და მნახველები დადიოდნენ
მოძრავი ტროტუარით, აღტაცებული
იყვნენ გამოგონებებით და გაოცე-
ბას ვერ ფარავდნენ ხელოვნების
ახალი მიმართულებების გამო და
სალსს ეგონა, რომ მეოცე საუკუნ-
ები მოიშორა სილარიბე და კაფორ-
ლული შრომა, ხოლო ის შესაძლე-
ბლობანი, რომელსაც ელექტროობა
სთავაზობდა მათ, აღემაფებოდა
ყველაზე უფრო გიჟურ ოცნებებ-
საც კი. და ფიქრობდნენ, რომ ყვე-
ლას ექნებოდა სოციალური გარან-
ტიები და ერთი კვირის შვებულება
ანაზღაურებით, და იცხოვრებდნენ

მოხერსებულად და ჰიგიენურად
და დემოკრატიულად, და ქალებიც
იცხოვრებდნენ დემოკრატიულად,
შეეძლებოდათ არჩევნებზე წასვლა
და პოლიტიკური კანდიდატების არ-
ჩევა. მოუთმენლად ელოდნენ მეოცე
საუკუნეს და ამბობდნენ, რომ ეს იყო
კაცობრიობისთვის ახალი შესაძლე-
ბლობა და უნდა ვისწავლოთ წარსუ-
ლის შეცდომებიდან გაკვეთილებიო.
არჩევნებში ქალებმა სმა პირველად
1906 წელს მისცეს ფინეთში, ნორ-
ვეგიაში – 1913 წელს, დანიაში –
1915 წელს და ა. შ. თანდათან, მათ
მოუნდათ სწავლა, სიმწიფის ატეს-
ტაცის მიღება, პოლიტიკითა და
მეცნიერებითაც დაინტერესდნენ და
არმიაშიც იბრძოდნენ სამართლიანი
მსოფლიოსათვის. კაცების უმრავ-
ლესობა ქალების მოთხოვნებს ბო-
ლომდე არ ეთანსმებოდა და მი-
აჩნდა, რომ ქალებისთვის ოჯახურ
ცხოვრებას და მსუბუქ საოჯახო

წარსულის
შეცდომებშე
სწავლა

ქალი იყო
ალაშვიანი

სამუშაოს შესრულებას უფრო ქონდა აზრი. მამაკაცებს კი პირიქით, საზოგადოების ორგანიზების, ასევე, აბსტრაქტული აზროვნების, კოლექტივში ცხოვრებისა და მსიარული ღროსტარების არაჩვეულებრივი, თანდაყოლილი უნარი გააჩნიათო. მაგრამ ზოგი ქალი ფიქრობდა, რომ ეს არადემოკრატიული იყო, რომ ქალი პირველ რიგში იყო ადამიანი და უსამართლობა იქნებოდა, მათ მსოლოდ ბავშვები გაეჩინათ, მათი საფენები ერეცსათ ა. შ, არ ემუშავათ და დალოდებოდნენ, როდის მოიფანდა ქმარი სელფასს. ზოგი მამაკაცი, იმასაც ამბობდა, რომ სისარულით, სასლში უფრო დარჩებოდა, გარეცსავდა ბავშვის საფენებს და არ ივლიდა სამსახურში. შვედეთში, სადაც, ძლიერი იყო სოციალური პოლიტიკა, ბევრი მამაკაცი ფულს იმისთვის იღებდა, რომ მათი ცოლები სამსახურში დაღიოდნენ. ზოგიერ-

თი დემოკრატიული ქვეყნის პარლა-
მენტში კი ქალებისა და მამაკაცების
ერთი და იგივე რაოდენობა იყო და-
კანონებული. სხვადასხვა გამოკვ-
ლევების მისედვით, ბევრი ადამიანი
ფიქრობდა, რომ საუკუნის ყველაზე
დიდი მიღწევა იყო, კონტრაცეპტი-
ვის გამოგონება, რადგანაც ქალებს
უკვე შეეძლოთ სქესობრივი ურთ-
იერთობა ქონოდათ მაშინ, როცა
უნდოდათ, და აღარ შეშინებოდათ
დაფესმძიმების, ამან კი შესაძლე-
ბლობა მისცა მათ მიეღწიათ, რო-
გორც სექსუალური, ასევე ეკონო-
მიური დამოუკიდებლობისათვის,
მეტი პრეტენზით მოეთხოვათ სხვა-
დასხვა მნიშვნელოვანი თანამდე-
ბობები და თაგვის დანასვაზე გული
აღარ გასეთქოდათ, რადგანაც აღარ
ემორჩილებოდნენ მამაკაცების
მიერ ქალებზე შექმნილ სტერეო-
ტიპებს. სოციოლოგები ამბობდნენ,
რომ ქალების ტრადიციული მოდ-

კონტრაცე-
ტივის გამო-
ერნება

ელი დასავლეთის საზოგადოებაში საბოლოოდ დაძლეულია, ვინაიდან, ქალები, რომლებიც მთელი საუკუნეების მანძილზე ემორჩილებოდნენ ბუნებრივ წესებს, კონტრაცეპტივის მეშვეობით, გადავიდნენ ბუნების საწინააღმდეგო წესებზე და, რომ ქალთა ემანსიპაცია, ასე ვთქვათ, პარადოქსია იძულებით თავისუფლებაზე, ვინაიდან, რაც დრო გადის, ქალებს სულ უფრო და უფრო მეტი პასუხისმგებლობა და მოვალეობები ეკისრებათ, და იმას, რაც ადრე ითვლებოდა დიდ სოციალურ მონაპოვრად და პრივილეგიად ქალებისთვის, — ღამის მორიგეობის აკრძალვა, შვებულება, ბავშვთა მოვლისთვის და ა. შ. დღეს, ქალები აღიქვამენ ამას, როგორც ჩაგვრას.

საუკუნის
ლასახრული

36

მეოცე საუკუნის დასასრულს სალხმა, ზუსტად არც იცოდა, როდის უნდა აღენიშნათ ახალი ათასწლეუ-

ლი, – 2000 წელს, თუ 2001 წელს. ამას დიდი მნიშვნელობა იმ სალს-ითვის ქონდა, ვინც ქვეყნის დასას-რულს ელოდა. მაგრამ ხალსის უმ-რავლესობას არ სჯეროდა ქვეყნის დასასრულის მოსვლის, ამიტომ სულაც არ ენაღვლებოდათ ეს. სს-ვები, ქვეყნის დასასრულს კი ელო-დნენ, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ის, ერთ ჩვეულებრივ დღეს დადგე-ბოდა. ბოგი ქრისტიანი ამბობდა, რომ სინამდვილეში უკვე 2004 წელი იყო, რადგანაც იესო 4 წლით ადრე დაიბადა, ვიდრე ტრადიციით ით-ვლებაო. ებრაელების კალენდრის მისედვით კი უკვე, 5760 წელი იყო, მუსლიმური კალენდრით კი – ჯერ მსოლოდ 1419 წელი, იულიანის კალენდარი, კიდევ უფრო ჩამორჩე-ბოდა გრიგორიანურს და ამიტომაც 1917 წელს ოქტომბრის რევოლუ-ციამ ნოემბერში იფეთქა. და არც ბუდისტებს ენაღვლებოდათ, რადგან 37

ინი და იანგი

ბუდისტების კალენდრის მიხედვით უკვე ბუდოშაქრიანული ერის 2542 წელი იდგა. ბუდისტებს კი, უფრო ის აინტერესებდათ, თუ ვინ იქნებოდნენ შემდეგ ცხოვრებაში, გომბეშო თუ მაიმუნი. ბუდიზმა და დაოსიზმა, მეოცე საუკუნეში ბევრი მიმდევარი შეიძინა ევროპაში. ისინი გონგს სცემდნენ, სუნთქავდნენ დიაფრაგმით და წერდნენ მისტიკურ წიგნებს, ლაპარაკობდნენ ინჩე და იანგზე და ამბობდნენ, რომ მსოფლიო სავსეა საიდუმლოებებით, მაგრამ ეს მსოლოდ მოჩვენებითია, რადგან, სინამდვილეში ყველაფერი ჰარმონიულია. და თუ რომელიმეს უცნაური რამ შეემთხვეოდა, წიგნს წერდა, რადგან ინფორმაციის და მედიის ეპოქა დამდგარიყო და ყველას სურდა, რაღაც წიგნი დაეწერა. ქვეყნის დასასრულბე მეტად კი სალსს ეშინოდა ტერორისტული თავდასსმების და ელექტრონული

სისტემების ავარიების, რაც მწყობ-
რიდან გამოიყვანდა ტელევიზორებს
და ვიდეომაგნიფიფონებს, მიკრო-
ტალღურ ღუმელებს და ბანკომ-
ატებს, აეოროპორტებს, შუქნიშნებს,
მაგისტრალებსა და ქალაქებში
და ლიფტებს ახალ დასახლებებში.
ტერორისტული თავდასხმები, ძა-
ლგე მომრავლდა მეოცე საუკუნეში,
რაღაც ეს იყო მეთოდი, რომლი-
თაც გაფყობინებდნენ, რომ ვიღაც
რაღაცას ღრმად არ ეთანსმებოდა.
ყველაზე ცნობილი ტერორისტუ-
ლი თავდასხმა 1914 წელს მოხდა
სარაევოში, ავსტრიის ტასტის მემ-
კვიდრებე, რასაც მოჰყვა პირველი
მსოფლიო ომი და მეოცე საუკუნეც
დაიწყო. ელექტრონული სისტემების
ავარიებს, რის შესახებაც სპეციალი-
სტები აფრთხილებდნენ მოსახლეო-
ბას, ეწოდებოდა MILLENNIUM
BUG, და ეს შეიძლება მომსდარიყო
31.12.1999 შუალამეს, როცა თარიღი

ავარიები

იცვლებოდა 1.1.00 ბე, და ეს იმიტომ, რომ იმფორმაციკაში გამოყენებითი სუეროების უმრავლესობა იყენებდა წელიწადის ორობით გამოსატულებას და არსებობდა საშიშროება, რომ ელექტრონული სისტემები, მოახდენდნენ 2000 წლის იდენტიფიცირებას 1900 წელთან, და თითქოს, მეოცე საუკუნე და ავსტრიის ტასტის მემკვიდრის მკვლელობა, არც არასდროს ყოფილიყოს.

პირველი მსოფლიო ომის დროს დაიწყო სამხედრო პროპაგანდა, რადგან ომი ყველგან იყო, ზურგშიც, და შობისთვის რომ დამთავრებულიყო, სალსს უყოყმანოდ უნდა შეძლებოდა თავგანწირვა. ფრონტზე ბევრი მამაკაცი იბრძოდა და ქალებს უსდებოდათ მათ მაგივრად მუშაობა ქარსნებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ა. შ. და განათლების სამინისტროები იგონებდნენ

ბევრი მამაკაცი
იბრძოდა

პლაკატებს, რომლებიც მიმართავდნენ სამოქალაქო საზოგადოებას. ასე მაგალითად, ავსტრიელი ქალები პლაკატებზე ამბობდნენ WIR HALTEN DURCH! ბრიტანელი ქალები კი ამბობდნენ: WOMEN OF BRITAIN SAY-GO! და უნგრელი ქალები პლაკატებზე ამბობდნენ HA MAJD EGYSZER MINDNYAJAN VISSZAJOENNEK! იტალიელი ქალები კი პლაკატებზე ამბობდნენ SEMPRE AVANTI! და ფრანგი ქლები პლაკატებზე ამბობდნენ ILS SONT BRAVES NOS GARS! ამერიკელი ქალები კი პლაკატებზე გაიძახოდნენ GEE! I WISH I WERE A MAN! I'D JOIN THE NAVY! ყველაფერი ეს, კი, ნიშნავდა, არ დავნებდებით, წინ, ისინი ჩვენ დაგვიბრუნდებიან, წინ, მხოლოდ ჩვენ ბიჭებს არ ეშინიათ, კაცი რომ ვიყო, ასლავე მეზღვაური გავსდებოდიო. მალე, პლაკატებზე, ბავშვებიც გამოჩნდნენ. და ერთეულთ

არ დაეწება-
დებით

ინგლისურ პლაკატზე დასაფული
იყო კვერცხი, საიდანაც გამოდიოდა
თოთო ბავშვის საცოცავი ტანსაცმე-
ლი შაშსანითა და ხიშტით და კითხ-
ულობდა: აქ კიდევ არის რომე-
ლიმე ფრიცი? განათლების სამინ-
ისტროებში კი იმაზე ფიქრობდნენ,
თუ როგორ მიეღწიათ საბოლოო
გამარჯვებისთვის ყველაზე უფრო
კარგი გზით. და გერმანელები ამ-
ბობდნენ, რომ ფრანგები ჭამდ-
ნენ ბაყაყებს, რუსები კი – პატარა
ბავშვებს. ფრანგები კი, ყვებოდნენ,
რომ გერმანელები ჭამდნენ პატარა
ბავშვებს და შიგნეულობას. ქალები
კი წერილებს და ამასათებს უგბა-
ვნიდნენ ფრონტზე უცნობ ჯარის-
კაცებს, ჯარისკაცები წერილებს
პასუხობდნენ და აინტერესებდათ
ამ ქალების ასაკი. სანდასან, ისეთი
შემთხვევებიც იყო, როცა ჯარისკა-
ცი იღუპებოდა წერილის მიღებამდე

და მეთაური თავის ნაწილში, ებე-
ბდა იმავე სახელის მქონე ჯარის-
კაცს, რომლისთვისაც ჯერ არავის
მიეწერა. ქალები წერილებს აგზა-
ვნიდნენ და სამსედრო ქარხნებში
მუშაობდნენ, აკეთებდნენ ბომბებს
და საბრძოლო გაბებს. ინგლისში,
სამსედრო ქარხნებში, მუშაობდა
მილიონი ქალი, მათგან, საშუალოდ
18, ყოველდღიურად, ბრმავდებოდა,
დანარჩენი კი, კვდებოდა გამისგან
მოწამლული. ქალებს, რომლებიც
სამსედრო ქარხნებში მუშაობდნენ,
წითერი თმა და ფორთოსლისფერი
სახე ქონდათ და ხალხი მათ კანა-
რის ჩიტებს ეძახდა. და ექიმები თვ-
ლიდნენ, რომ ამ ქალების ორი მესა-
მედი უნაყოფო იქნებოდა ომის შემ-
დეგ. საბრძოლო გამს ხმარობდნენ
მფრის ჯარისკაცების დემორალ-
იზაციისთვის, მაგრამ მგრის ხაზის
გარღვევა ამ გამს არ შეეძლო. და
ის ჯარისკაცები, რომლებიც აირწი-

კინც კროლით
უსოლა ცურვა

ნაღის გაკეთებას ვერ ასწრებდნენ, ისე მოძრაობდნენ, თითქოს ისრჩვებიანო. ვინც კროლით იცოდა ცურვა, ისე მოძრაობდა, თითქოს კროლით ცურავსო, და, ვინც კროლით არ იცოდა, ბრასით ან ძალლივით ცურავდა და ცდილობდა გამოეცერა გაზიდან საღმე, სადაც სუნთქვა შეიძლებოდა.

პირველ მსოფლიო ომამდე ხალხი ქალაქებში იყენებდა ნავთის ლამპებს, სოფლებში – სანთლებს. თბებოდნენ შეშით ან ნასშირით, თუმცა, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და ქალაქებში დაიწყო შეღწევა ელექტროობამ, რომლის წყალობითაც ასალ საუკუნეში უნდა განსორციელებულიყო ყველაზე უფრო გიჟური ოცნებებიც კი. თავიდან სოფლებში ხალხს ეშინოდა ელექტროობის და ვერ სვდებოდა რისთვის იყო ის საჭირო, რადგან

რისთვის
იყო საჭირო
ელექტროობა

თითქმის არავის ქონდა სოფლებში რადიო და გრამოფონი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, კი, როცა დაიწყეს მაცივრების, სარეცხი მანქანების, საწური მანქანების და ტელევიზორების გაკეთება, სოფლებში თქვეს, რომ მოუსმენენ რადიოს და შესედავენ ტელევიზორს, რომ გაიგონ რა ხდება ქალაქებში. და მთავრობას თხოვდნენ, გაეყვანათ მათთან ელექტროობა. ინუინრები რადიოს უმავთულო ტელეჟონს უწოდებდნენ, და ზოგი სანშიშესული ადამიანი ფიქრობდა, რომ რადიო ტელეჟონივით იყო, და როცა რადიომიმღებს იყიდიდა, ეგონა, უკვე იმისთვისაც გადაიხადა, რომ ვინმეს დაერეკა და ეთქვა მისთვის სად იფეთქა ომმა. და, როცა ტელევიზორს პირველად უყურებდნენ, ფიქრობდნენ, ეს კინეგოსკოპი იყო, რომელიც მათ გამოფენა-ბაზრობაზე ნახეს, და რომ ვიღაც, მათ სასლში, 45

რძალი ან შვილიშვილი, იქვე, ას-
ლომასლო, სახელურს ატრიალებდა
და ესუმრებოდა მათ. ზოგიერთ სნი-
ერ ადამიანს, ჩვევად ქონდა კითხ-
ვებზე, რომლებსაც ტელე ან რადიო
წამყვანები სვამდნენ, პასუხის გაცე-
მა. მაგალითად, როცა ტელევიზორ-
ში ან რადიოში ამბობდნენ თქვენ
რას ფიქრობთ, ეს როგორ დამ-
თავრდა? პასუხობდნენ მაგი ნამ-
დვილად არ ვიცი, ან, როცა ტელე-
ვიზორში, ან რადიოში ამბობდნენ
როგორი იქნება სვალ ამინ-
დი? პასუხობდნენ ნეტა გაწვიმ-
დებოდეს ბოლოს და ბოლოს,
თორემ დაიღუპა მოსავალი. დიდი
წარმატებები იყო მიღწეული ჰიგიე-
ნის სფეროშიც, რადგან, პირველ
მსოფლიო ომამდე სალსი იშვიათად
ბანაობდა, ხოლო თუ ბანობდნენ,
მთელი ოჯახი, ან მთელი ოჯახი და
მეზობლები ერთად ერთ კასრში და

ა. შ. მდიდრებს ქალაქებში საკუთარი აბაზანები ქონდათ და შემდეგ, თან-დათან, ცხელი წყალიც მიეწოდებოდათ. მაგრამ სხვა სალსს ქალაქებსა და სოფლებში დიდხანს ეშინოდა ცხელი წყლის, ეჭვობდნენ, რომ ცხელ წყალში მიკრობები იყო. მართალია, ზუსტად არც იცოდნენ, რა იყო მიკრობები, მაგრამ ფიქრობდნენ, რომ ის იყო რაღაც, რაც ჯანმრთელ ცხოვრებას არ მიეკუთვნებოდა. და ექიმები, სალსის განათლების მიზნით, საგამანათლებლო საუბრებს აფარებდნენ, უხსნიდნენ მათ, რომ ცხელ წყალში არ იყო იმაზე მეტი მიკრობი, ვიდრე ცივ წყალში, მაგრამ ბოლომდე, ყველაფერი, გასაგები მაინც არ იყო, . და ასე, ნელნელა, საქმე იქამდე მივიდა, რომ სალსმა დაიწყო ბანაობა ქალაქშიც და სოფელშიც, სისტემატურად, თვეში ერთხელ, ორ კვირაში ერთხელ, და კვირაში ერთხელაც კი. და, საუ-

ექიმები აგარუბლნებს საგანმანათლებლო საუბრებს

ბიუსტეალგერ-
ის გამოგონება

კუნის დასასრულს, განვითარებულ
ქვეყნებში, უკვე ბანაობდნენ და
შსაპს იღებდნენ დღეში ორჯერ, ან
უფრო მეტჯერაც კი, და ყველას ქონ-
და კლობეტი და მოსახევი ტუალე-
ტის ქაღალდი. ტუალეტის ქაღალდი
გამოიგონა ერთმა შვეიცარელმა ქა-
ღალდის მწარმოებელმა 1901 წელს,
სწორედ იმ დღეს, როცა შვეიცარ-
ის მთავრობამ იტალიას გადასცა
ანარქისტი, რომელიც ეჭვმიტანილი
იყო იტალიის მეფებე თავდასსმაში,
და გამოიტანილი წერდნენ, რომ ეს
იყო მოკრძალებული, მაგრამ მნიშ-
ვნელოვანი გამოგონება. 1914 წელს
კი ერთმა ფრანგმა ქალმა გამოი-
გონა ბიუსტეალგერი და გამოიტანი-
ლი იუწყებოდნენ, რომ ბიუსტეალგერ-
ის გამოგონებამ ასალი ცხოვრების
დაწყების საშუალება მისცა ქალებს,
რომლებიც ოცნებობდნენ სპორ-
ტულ და თანამედროვე ცხოვრება-
ზე, სოლო კორსეფზე უარის თქმა,

კი, ძველი ცხოვრების აღსასრულის მაჩვენებელი იყო, რომელიც თითქოს და სხვადასხვა ცრურ-წმენების თასმებით იყო შებოჭილი. 1935 წელს კი ამერიკელებმა პატარა მკერდიანი ქალებისთვის მოიფიქრეს ბიუსტპალტერი, შიგ ჩამაგრებული პატარა ბალიშით. და, 1968 წელს, როცა ქალები, თავიანთი უფლებების დასაცავად დასავლეთში გამოსვლებს აწყობდნენ, მკერდიდან იგლეჯდნენ ბიუსტპალტერს, იმის დასამტკიცებლად, რომ მამაკაცებსა და ქალებს თანაბარი უფლებები ქონდათ. ერთ სულ მოსახლეზე კი წყლის მოთხოვნილებამ დღეში ათი ლიტრიდან ასორმოცდაათ ლიტ-რამდე აიწია და მთელ მსოფლიოში ნიადაგქვეშა წყლებმა დაიწყეს კლება და საშიშროება შეიქმნა, რომ ორმოცდაათი ან ასი წლის შემდეგ იქნებოდა წყლის ნაკლებობა.

ნიადაგქვეშა
წყლების კლება

ომის პირველ წელს, ან წელიწად-
ნასევარში, სანდასან ისეც ხდებოდა,
რომ ჯარისკაცები აღარ ესროდნენ
ერთმანეთს და რამდენიმე საათის
განმავლობაში, იდგა გამოუცხადე-
ბელი, დროებითი ზავი და ჯარის-
კაცებსაც თავი ისე ეჭირათ, თითქოს
ომი არც ყოფილიყოს. ვაკუასთან ვა-
ჩერებულ გერმანელებს გაწვრთნი-
ლი ძალი ყავდათ, რომელიც დარ-
ბოდა გერმანელების საბიდან ინგ-
ლისელებისკენ და უკან, და მოჰქონ-
და პური, სიგარეტები, შოკოლადები
და კონიაკი. გერმანელებს ქონდათ
სიგარეტები და შოკოლადი, მაგრამ
არ ქონდათ პური და კონიაკი, ინ-
გლისელებს კი, საკმაოდ ქონდათ
პურიც და კონიაკიც, მაგრამ ცოტა
ქონდათ სიგარეტი. პრედასთან,
ავსტრიელებმა კატა გაგზავნეს იტ-
ალიელებთან ბარათით, რომელზეც
ეწერა ვაგზავნით ჩვენს კატას სი-

გარით. სიგარა კატას ზურგზე თო-
კით ქონდა მიბმული. იტალიელებმა
სიგარა გააბოლეს, კატა მოკლეს და
შეჭამეს. 1914 წელს კი, შობის წინა
დღეს, როცა კარენსისთან იდგნენ,
გერმანელი და ფრანგი მეომრები
ერთად გალობდნენ ალილოს, სა-
დღეგრძელოებს სვამდნენ და ერთ-
მანეთს ანეკლოტებს უყვიროდნენ.
გერმანელები ფრანგებს ეკითხე-
ბოდნენ, მართალი თუ იყო, ისინი
რომ ბაყაყებს ჭამდნენ, ფრანგები
კი ეკითხებოდნენ გერმანელებს,
მართლა თუ იმრდებოდა ლუდის-
გან ულვაშები. სამსედრო შგაბებში
გამოუსადებელ ზავებს შემწყნარე-
ბლურად უყურებდნენ, რადგანაც ამ
გზით მათ შეეძლოთ ჯარისკაცები-
სთვის დასვენების საშუალება
მიეცათ და ამით შვებულებები დაე-
გოგათ. მოგვიანებით, გერმანიის
უმაღლეს სარდლობაში განსაჯეს,
რომ გულდასაწყვეტი იქნებოდა, არ

მუმრები გა-
ლიბლენენ ალი-
ლოს

გამოეყენებინათ გამოუსადებელი ბავები სამართლიანი პროპაგანდისა და მოწინაღმდეგისათვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით და დაიწყეს სააგიტაციო ფურცლებისა და ლია ბარათების ბეჭვდა, რომელსაც შემდეგ გერმანელი ჯარისკაცები დანაღმულ მინდვრებს იქით ავტოვნიდნენ, სიგარეტებთან ერთად. ამ ფურცლებზე ეწერა, რომ ინგლისელები ესმარებოდნენ ფრანგებს მსოლოდ დასანასად, ან კიდევ, რომ რუსეთის არმია უკვე აღარ არსებობდა და რომ რუსეთის არმადა ურალს იქით განდევნეს. ლია ბარათებზე კი გამოსასული იყვნენ ფრანგი ჯარისკაცები, რომლებიც გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნენ, ყველას ქონდა მჩემოკიდებული სასეები და სუფთა უნიფორმები.

იყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ ოცდა-

მეერთე საუკუნეს და ამბობდნენ, რომ ეს იყო კაცობრიობისთვის ახალი შესაძლებლობა, და რომ უნდა გავიაზროთ და შევაფასოდ წარსულის შეცდომები და შევქმნათ ისეთი ასალი ადამიანი, რომელიც უკეთესად უპასუხებს ასალ ეპოქას. და როცა სალსი წარსულის შეცდომებს გაიაზრებს, აღარ იქნება არავითარი ომები, არც ავადმყოფობები, არც წარღვნები და მიწისძვრები, არც შიმშილისგან დასოცილები და ტოტალიტარული რეეიმები, ვინაიდან, ასალი ადამიანი იქნება დინამიური, ტოლერანტული და პოზიტიური. მეოცე საუკუნეზე ამბობდნენ, რომ კაცობრიობის ისტორიაში ის ყველაზე უფრო სისხლიანი იყო, ხოლო ისინი, ვინც ოცდამეერთე საუკუნეს მოუთმენლად ელოდნენ, ამბობდნენ, რომ უარესი აღარ შეიძლება იყოს, სსვები კი პასუხობდნენ, რომ უარესი ყოველთვის შეიძლე-

ახალი ადამიანი

ბა იყოს, ან იყოს ასეთივე ცუდიო. ბოგი, ვინც ბიბლიას კითხულობდა, ამბობდა, რომ კაცობრიობა ჭკუას ვერ სწავლობს, და რომ ბიბლიაში ყველაფერია დაწერილი ანაგრამებით და პერმუტაციით, მაგალითად, ვინ ვის დაესხმება თავს, სად და როდის, და სად შეიცვლება მთავრობა, ვინ სად იქნება პრეზიდენტი და იქ წერია, მაგალითად, ნახევარი მიღიონი დაღუპული ვერდენთან, ასევე ციკლონი, ავადმყოფობა შიდსი და კომუნიზმის დაცემა რუსეთში. აღნიშნულია, ყველა თარიღი და წვრილმანი, უბრალოდ ყველაფერი, რაც მოხდა და რაც მოხდება, მაგრამ წინასწარ არაფერი არ შეიძლება ვიცოდეთ, ვინაიდან, არც ვიცით რას ვეძებთ, აი, რომ გვცოდნოდა რას ვეძებდით, ყველაფერს დროზე მოვნასავდით და ეს ამბებიც არ მოხდებოდა, თუმ-

ცა, მაშინ ამაზე ხომ აღარც იქნებოდა იქ დაწერილიო. ამბობდნენ, ალბათ უცნაურად კლერს მათთვის, ვისაც ეს არ ესმის, მაგრამ ჩვენ მის აზრს ჩავწედითო. ბოგი ამტკიცებდა, რომ ქვეყნის დასასრული ძალიან მალე დადგებოდა, სსვები კი—ალბათ ოდესლაცო, ანგროპოლოგები კი ამბობდნენ, რომ ქვეყნის დასასრული პიროვნებისთვის და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ვინაიდან შესაძლებელია ის აიგანოს შიშმა და აგრესიამ და სიკვდილს შეურიგდესო. ფსიქოლოგები კი ამბობდნენ, რომ მნიშვნელოვანია ინდივიდუუმმა დასარჯოს ეს აგრესია და ამისთვის ყველაზე უფრო კარგი საშუალებაა დაკავდეს პროფესიული სპორტით, რომლის დროსაც ხდება ამ აგრესიის დასარჯვა და ომთან შედარებით, გაცილებით ნაკლები მოკვდებაო.

ქუეყნის დასასრული

ფსიქოლოგები
ამბობდნენ
რა იყო მნიშვნელოვანი

ბომბაედნენ ქა-
ლაქებს

1944-1945 წლებში გერმანიის ჯარში
იბრძოდა ნახევარი მილიონი ქალი,
ზოგი მათგანი მუშაობდა სპეციალურ
განნაღმველ ნაწილებში, გერმანელ
ჯარის კაცებს უკანდახევა რომ
შეძლებოდათ. სსვებს კი სოციალ-
ნენ იმ თვითმფრინავებიდან, რომ-
ლებიც გერმანულ ქალაქებს ბომ-
ბავდნენ. სამოქალაქო თავდაცვაში
ოთხი მილიონი ქალი მუშაობდა,
მათ ცხედრები გამოქონდათ დაბომ-
ბილი სასლების ნანგრევებიდან, და
მიქონდათ და უბარმაზარ გათხრილ
საფლავებში ყრიდნენ, ეპიდემია
რომ არ დაწყებულიყო. ზოგიერთ
ქალაქში ქალებისთვის ცხედრების
დაწვის სპეციალურ კურსებსაც კი
აწყობდნენ. ეს კურსები ოთხი დღე
გრძელდებოდა და ეწყობოდა თხ-
უთმეტ-ოც ქალიანი ჯგუფებისთვის.
სწავლობდნენ როგორ გამოეყენე-
ბინათ ძვლების სამტვრევი მანქანა,
როგორ გაეთხარათ ორმო, სადაც

უნდა ჩაეყარათ გვამები და როგორ
გაემტკიცებინათ ნიადაგი ისე, რომ
იმ ადგილას შემდეგ შესაძლებელი
ყოფილიყო სეების დარგვა. სეებს
ქალაქებისთვის დიდი მნიშვნელობა
ქონდა, ვინაიდან ისინი უბრუნვე-
ლყოფდნენ უანგბადის რეგენერა-
ციას. ფერფლი კი, შეიძლებოდა სა-
სუქად გამოეყენებინათ, ბალებსა
და ბოსტნებში, რადაგანაც გერმანი-
აში ორგანული სასუქის ნაკლებობა
იწყებოდა. დაბომბილი სასლების
ნანგრევებში ცხედრები, სშირად,
ერთმანეთში იყვნენ გადასლარ-
თულები, ან, ხანდახან ორი ან სამი
მკვდარი ხელჩაკიდებული ან ჩას-
უტებული იყო. ასეთ შემთხვევაში
ისინი ხერხით უნდა გაეჭრათ, რომ
გაეცალკავებინათ. ერთერთ ქალს,
უარი უთქვამს ცხედრის გაჭრაზე
და ბრიგადის მეთაურს, რომელსაც
ნანგრევების მოწესრიგება ევალე-
ბოდა, ამ ქალის დასვრეფა უნდოდა, 57

უანგბადის რე-
გინერაცია

საბოტაქის გამო, მაგრამ ის ჯა-
რისკაცები, რომლებსაც ქალი უნდა
დაეხვრიფათ, იმ დროისთვის უკვე
გაქცეულები იყვნენ.

საბრძოლო გამებიდან იპრიფი
ყველაზე უფრო ქმედითი გამი იყო,
რომელმაც თანდათან განდევნა
სხვა საბრძოლო გამები, როგორ-
იც არის ქლორი, ფოსფენი, ქლორ-
პიკრინი, ციანიდმეავა და არსინი.
იპრიფს პირველი მსოფლიო ომის
შემდეგაც, კიდევ დიდსანს, იყ-
ენებდნენ წარმატებით. ამასობაში,
მეცნიერებმა გამოიგონეს სხვა სა-
ბრძოლო გამები ლუიზიფი, ტაბუნი,
ზარინი, ზომანი. საბრძოლო გამების
გამოყენება აიკრძალა სხვადასხვა
კონფერენციებზე 1899 და 1907, 1922
და 1925, 1946 და 1954, 1972, 1990 და
1992 წლებში. ფრონტებზე და ზურგში
კი მიმდინარეობდა აირსაწინააღ-
მდეგო სასწავლო შეტევები, ჯა-

რისკაცები და სამოქალაქო პირები
სწავლობდნენ როგორ ჩამოეც-
ვათ აირწინალები, რაც შეიძლება
სწრაფად ისე, რომ ფილტრში არ
შეეღწია მიწასა და ნანგრავებიდან
წამოსულ მგვერს. და 1915 წელს,
ფრანგებმა გამოიგონეს სპეციალ-
ური აირწინალი ცხენებისთვის, და
1922 წელს გერმანელებმა ასევე, სპე-
ციალური აირწინალი გამოიგონეს
ძალლებისთვის. საუკუნის ბოლოს
კი, ექიმებმა გამოიგონეს გამით
მოწამველის პრევენციული წამალი,
მაგრამ სშირად ისე სდებოდა, რომ
მოწამველის საწინააღმდეგო წამლე-
ბი იწვევდნენ ჰეპატიტს და ტუბერ-
კულობს, შაკის და მესსიერების ამ-
ოვარდნებს. მეორე მსოფლიო ომის
დროს, გერმანია აწარმოებდა 18000
ფონა საბრძოლო გაზს წელიწადში,
მაგრამ შემდეგ, გერმანელმა სტრატ-
ეგებმა იფიქრეს, რომ საბრძოლო
გამების გამოყენება შეაფერს ებდა

საბრძოლო
გამების გამოყ-
ენება

ჯარების, ჯერ, შეტევას, მოგვი-
ანებით კი, — მათ უკან დასევას.
საბრძოლო გამს გერმანელები იყ-
ენებდნენ ბოშებისა და ებრაელების
დასასოცად საკონცენტრაციო ბანა-
კებში და მათ გამოიგონეს, ასევე,
გამი სასელწოდებით ციკლონი,
რომელსაც შეეძლო დიდი რაოდე-
ნობით სალსის გაწყვეტა, სწრაფად
და იაფად. თავისი შემადგენლობით
ციკლონ B, შედიოდა სადეზინფექ-
ციონ ნივთიერებათა ჯგუფში და ის,
პირველად, გამოიყენეს 1940 წლის
თებერვალში ბუსენვალდის საკონ-
ცენტრაციო ბანაკში 250 ბოშა ბავშ-
ვბე, რომლებიც დაკავა ჩეხეთის
პოლიციამ ბრნოში. ამ ცდამ უჩვენა,
რომ ციკლონ B ამ მიზნისთვის გაც-
ილებით უფრო შესაფერისია, ვიდრე
სხვა გამზები.

60 მეოცე საუკუნის უდიდესი იმედგა-
ცრუება გახლდათ ის, რომ, საყოვ-

ელთაო სასკოლო განათლებას და
ტექნიკის და კულტურის განვითა-
რებას თურმე არ მიყავს ადამიანი
უკეთესობისა და უფრო პუმანურო-
ბისკენ, როგორც ეს მეცხრამეტე საუ-
კუნეში სჯეროდათ და რომ უამრავ
მანიაკს, რეცილივისტს და სერიულ
მკვლელს უყვარს სელოვნება, უს-
მენს ოპერას, დადის გამოფენებზე,
წერს ლექსებს, სწავლობს პუმანი-
ტარულ დისციპლინებს, მედიცინას
და ა.შ. ფილოსოფოსებს შორის კი
თანდათან უფრო და უფრო გავრ-
ცელდა აბრი, რომ მეოცე საუკუნეში
მთავრდება პუმანიზმის ეპოქა და
იწყება ახალი ეპოქა, რომელსაც
უწოდეს პოსტპუმანისტური, ვინაიდ-
ან ჯერ არ იყო ნათელი რა დეფინი-
ცია მიეცათ მისთვის. ისტორიკოსები
და ფილოსოფოსები თვლიდნენ, რომ
პუმანიზმი იყო სამწერლო კულ-
ტურა, რომელიც იძლეოდა საზოგა-
დოების, როგორც ლიტერატურული

დამთავრდა პუ-
მანიზმის უპოემა

გაერთიანების მართვის საშუალებას, მაგრამ 1918 წლის შემდეგ ჯერ რაღიოს და 1945 წლის შემდეგ, ტელევიზიის გამოჩენით და შემდეგ ოთხმოციანი და ოთხმოცდაათიანი წლების ტექნოლოგიური რევოლუციის მოსვლით, ეს ყველაფერი დასრულდა. და ბოლო დარტყმა, ჰუმანიზმს, მიაყენა ბიოტექნილოგიამო. ზოგი კი ამბობდა, რომ სწორედაც რომ ასლა ყველაფერი წესრიგშია, რადგან ჰუმანიზმი იყო დიდი სიცრუე კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში და საუკუნეების მანძილზე მან ვერ შეძლო ადამიანის ოპტიმიზაცია და ბიოტექნილოგია, ადამიანს სთავაზობს ოპტიმიზაციის ასალ შესაძლებლობებს, რადგანაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად გახდა შესაძლებელი ადამიანი დაფიქრდეს პრენატალურ სელექციაზე და რომ უახლოესი ამოცანა სამომავლოდ, სწორედ, ოპტიმიზაციის

შესაბამისი კოდის მოძებნა არისო. სხვები კი ამბობდნენ, რომ ეს არ იყო მართალი, რომ ჰუმანიზმა მოასდინა ადამიანის ოპტიმიზაცია იმ გაგებით, რომ ადამიანი პასუხისმგებელი გახდა თავის ქმედებებზე, და სწორედ ეს იყო დიდი პროგრესი. მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა, უფრო და უფრო მეტი ადამიანი ფიქრობდა, რომ პასუხისმგებლობა დაძლეული იყო, და იგი რეალურად, განდევნა მწარმოებლურობამ და პრაქტიკულობამ. და ასალი ადამიანი იქნებოდა არა პასუხისმგებელი, არამედ შემსრულებელი და ეს იქნებოდა ბუნებრივი, მაშინ როცა პასუხისმგებლობა იყო ჰუმანისტური გამონაგონი და ალიბი შეუსრულებლობის ჩასანაცვლებლად.

როგორ მოხ-
დეს ადამიანის
ოპტიმიზაცია

ასალი ადამი-
ანი

პირველი მსოფლიო ომის შემ-
დეგ, ევროპაში გაერცელდა კომუ-
ნიზმი და ფაშიზმი, რაღაც, ბევრი

ფიქრობდა, რომ ძველი სამყარო
მთლიანად დალპა და საჭირო იყო
ასალი გზების მოძებნა, და რომ დე-
მოკრატიულმა რეეიმმა ვერ აიც-
დინა მსოფლიო ომი, კაპიტალიზმა
კი მოახდინა ეკონომიკური კრიზისის
პროცესირება. კომუნისტები და ფა-
შისტები ამბობდნენ, რომ აუცილე-
ბელი იყო ასალი ტიპის ადამიანის
შექმნა, რომელიც იქნებოდა ამაყი
და ძლიერი, შრომისმოყვარე და პა-
ტიოსანი, დაჯილდოებული უდიდე-
სი სამართლიანობისა და კოლექ-
ტივიზმის გრძნობით. უმაღლესი
სამართლიანობა კი ნიშნავდა, რომ
ადამიანები არ იყვნენ აბსოლუ-
ტურად თანაბარნი, როგორც ამას
ამტკიცებდნენ დემოკრატიული რე-
ეეიმმები და მათი კონსტიტუციები
თვითეული მოქალაქის თანაბარ
უფლებებს აღიარებდნენ. კომუ-
ნისტებს და ფაშისტებს მიაჩნდათ,
რომ ადამიანთა უფლებები იყო

ერთგვარი შირმა, ბურუუაზიის ინ-
ტერესების დასაცავად, რომელიც
მუშებს ექსპლოატაციას უწევდა. და
ამბობდნენ, აუცილებლად საჭიროა
მსოფლიოს მოვაშოროთ ბურუუა-
ზიის სიდამპლე, შესაძლებელი რომ
გახდეს ძველი სამყაროს დანგრევა
და ახლის აშენებაო. ფაშისტები,
მაგალითად, ამბობდნენ, რომ ასალ
სამყაროში ყველა იქნებოდა მუშა,
ისევე, როგორც ერთ დროს ყველა
იყო გლეხი, კომუნისტები კი ამ-
ბობდნენ, რომ ასალ სამყაროში
საზოგადოება იქნებოდა უკლასო და
ყველა იმუშავებდა საერთო კეთილ-
დღეობისთვის. და კიდევ, იმასაც ამ-
ბობდნენ, რომ კომუნიზმი იქნებოდა
საბოლოო და კანონბომიერი ეტაპი
კაცობრიობის ისტორიაში. და რომ
დილიდან ადამიანები დაიწყებდნენ
ფიზიკურ შრომას, სადილის შემდეგ,
კი – გონიერივს. პირველი კომუნის-
ტური პარტია შეიქმნა 1918 წელს 65

საბჭოთა კავშირში, პირველი ფა-
შისტური ორგანიზაცია კი-იტალიაში
1919წელს და იტალიიდან გაურცელ-
და მთელს ევროპაში, ეს იმიტომ,
რომ სალსი გრძნობდა, პოლიტი-
კური სელისუფლება კორუმპირებუ-
ლი იყო, მრავალპარტიული სისტემა
კი არსებობდა მხოლოდ გადარ-
იცხული ფულით და მისგან არავინ
არაფერს იღებდა. კომუნისტებიც და
ფაშისტებიც მრავალპარტიულობის
წინააღმდეგი იყვნენ და ამბობდნენ,
რომ მრავალპარტიულობას და დე-
მოკრაფიას საზოგადოება მიყავს
დეგუნერაციისკენ და ფასულობათა
მოსპობისკენ. და, თუ ისინი სელისუ-
ფლებაში მოვლენ, ყველას მშვიდ
და ბეღნიერ ცხოვრებას შეუქმნიან,
იმ ადამიანების გარდა, რომლებიც
ამას არ იმსასურებენ, რომ საჭიროა
შეიქმნას საზოგადოებისჯანმრთელი
ბირთვისთვის თავისუფალი განვი-
თარების შესაძლებლობა და მოიშო-

რონ პარაზიტები, რომლებიც ძველ
ცხოვრებას ებლაუჭებიან და არ შეს-
წევთ რევოლუციური აზროვნების
უსარიო. გერმანიაში კი აღმოცენდა
რასიზმი, რომელიც იცავდა რასის
სიწმინდეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ
არიელები ნაკლებადმნიშვნელოვან
ერებს არ უნდა შერეოდნენ, რათა,
არ წაეხდინათ არიული სისხლი.
არიელების ცნობა შეიძლებოდა თე-
თრი კანის ფერით, ღია ფერის თმით
და თავის ქალის ფორმით, რომლის
სიგრძე, არ უნდა ყოფილიყო 75-ზე
ნაკლები, სიგანესთან შედარებით.
და დაჯილდოებული იყვნენ, ასევე,
შემოქმედებითი სულითა და კოლექ-
ტივიზმის გრძნობით. ნაცისტები ამ-
ბობდნენ, რომ ბუნება მკაცრი, მა-
გრამ სამართლიანიაო. და იმასაც
ამბობდნენ, ვისაც უნდა რომ იყოს
რევოლუციური იდეების, ფასეულო-
ბათა და უმაღლესი სამართლიანო-
ბის მაფარებელი, თავად უნდა იყოს 67

მკაცრი და სამართლიანი და ისტორია არის მარადიული ბრძოლა სიმართლესა და ტყუილს შორის და რომ ნაციზმი ნიშნავს სწორედ სიმართლეს. და ყოველმა ადამიანმა უნდა აირჩიოს რომელ მხარეს უნდა რომ დადგეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისტორიის ქარიშხალი აღვის პირისაგან მიწისაო.

ნაცისტებმა გამოიგონეს გაზის კამერები და ციკლონ B, რომელიც საშუალებას იძლეოდა სწრაფად და იაფად მოეკლა დიდი რაოდენობით ხალხი, და ეს იმ მიზეზით, რომ არიელი სალხი გადაგვარებისგან გადაერჩინათ. ნაცისტები თვლიდნენ, რომ არიელი სისხლი ყველაზე უკეთესია, ისინი კი, ყველაზე საუკეთესო არიელები არიან, ვინაიდან შეუძლიათ ბრძოლაც, ვაჭრობაც და მთელი გულით დროს ფარებაო. ნაცისტები ამტკიცებდნენ, რომ ევროპა დაკანინდა,

მაგრამ ისინი შეეწინააღმდეგებიან მის სრულ გასრწნას, ვინაიდან დიდი შეცდომა იქნება დაკარინებული ევროპის მიზოვება და მისი სრულ გასრწნამდე მიყვანა. და რომ აუცილებელია ევროპის გაწმენდა უვარვისი ხალხისგან, როგორიც არიან ბოშები და სლავები, სულით ავადმყოფები, პომოსექსუალები და ა. შ., მაგრამ პირველ რიგში, ებრაელები, ვინაიდან ებრაელებს უნდათ, რომ პატივი აყარონ ევროპასო. ხო და, გერმანიაში და მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში ებრაელებს ალყაში ამწყვევდნენ და საკონცენტრაციო ბანაკებში მიერეკებოდნენ, იქ კი აშიშვლებლნენ და აგზავნიდნენ სპეციალურად მოწყობილ შენობებში, რომელსაც გამის კამერებს უწოდებდნენ. ეს იყო დიდი დარბაზები, მარტო ერთი შესასვლელით, უფანჯრო, ჭერზე მილები გადიოდა და როცა დარბაზი ხალსით ივსებოდა,

69

იმ მიღებიდან გამს უშვებდნენ და
სალსი იგუდებოდა. გაგუდულ ადა-
მიანებს კი ოქროს კბილებს აძ-
რობდნენ. ზოგიერთს აძრობდნენ
ტყავს და ამ ტყავიდან აკეთებდნენ
აბაურებს მაღალი რანგის თვი-
ცრებისთვის და ცნობილი პოლიტი-
კური მოღვაწეებისთვის. და, ვიდრე
გამის კამერებში გააგზავნიდნენ,
მთლიანად პარსავდნენ თავს და ამ
თმით ლეიბებს ტენიდნენ, ან თო-
ჯინებისთვის პარიკებს აკეთებდნენ.
მეცნიერებმა კი, გამოიგონეს, რო-
გორ მიეღოთ გაგუდული ადამიან-
ების ცხიმიდან საპონი გერმანელი
ჯარისკაცებისთვის. 5 კილო ცხიმს
უმატებდნენ 10 ლიტრ წყალს და
ერთ კილო სოდას, ამ ნაბავს სარ-
შავდნენ ქვაბში სამ საათს, შემდეგ
აციებდნენ, ხოლო ზემოთ მოგდებულ
აპას აშორებდნენ, შემდეგ ჭრიდნენ
და ისევ სარშავდნენ და შემდეგი
გაციების წინ, ქვაბში უმატებდნენ

სპეციალურ სსნარს, საპონს მყრალი სუნი რომ არ ქონოდა. გდანსკში ერთი გერმანელი ჯარისკაცი გაგიედა. ომამდე მას ებრაელი საყვარელი ყოლია და არ იცოდა, ის ებრაელი რომ იყო, შემდეგ ის ქალი საკონცენტრაციო ბანაკში წაუყვანიათ, ოსვენციმში. მეგობრებმა სუმრობით უთხრეს, რომ საპონი, რომელსაც ის უკვე ერთი კვირაა სმარობდა, გაკეთებული იყო მისი შეყვარებულისგან და რომ ეს მათ გაიგეს გდანსკის ანაფომიის ინსტიტუტის დირექტორისგან. ჯარისკაცი გერმანიის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადააგზავნეს.

გდანსკში გერმანული ჯარისკაცი გაგიედა

დროთა განმავლობაში, მორწმუნეთა უმრავლესობამ აღიარა, რომ ბიბლია სიმბოლური უფროა, ვიდრე მეცნიერებული და რაც შეესება სამყაროს შექმნას, აქ ყველაფერი ნათელი და მარტივი არ არის, მა-

გრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ბიბლია არსებითად ალეგორია, ხოლო ალეგორია კი, სწორედაც რომ გასლავთ მსოფლიოს წესრიგისა და კაცობრიობის ბედის გასაღები და რომ ყველაფერი ემორჩილება ერთ ზეციურ ძალას. და რომ ყოველივე ამის უკან აუცილებლად რაღაც უნდა იყოსო. ერთნი ქმნიდნენ სექტებს და სჯეროდათ ყოველგვარი რაღაცების. ზოგნი კი აცხადებდნენ, რომ ადამიანი შეიძლებოდა გამხდარიყო ღმერთი, მათ სჯეროდათ საყოველთაო აღდგომის და ქმნიდნენ გენეალოგიის არქივს, რომ როცა ეს მოსდებოდა, ყველას ცოდნოდა ვინ ვინ იყო. მეორენი, არ ჭამდნენ სორცას, არ სვამდნენ სპირტიან სასმელებს, არ ეწეოდნენ და ელოდნენ ქრისტეს მალე მოსვლას, და მოუთმენლად ელოდნენ სამოთხეში მოსვედრას, სსვებს სჯეროდათ, რომ ყოველ

ადამიანში იყო უარული სინათლე
და თუ ისინი მედიტაციას მუდმი-
ვად მიმართავდნენ, სული წმინდა
დაანთებდა მათში ამ სინათლეს.
ჟყველაზე ცნობილები იყვნენ იელო-
ვას მოწმენი, ორმოცდაათიანელები
და ამიშები, რომლებიც არ ცნობდნენ
ელექტროობას, იყენებდნენ ნავთის
ლამპებს, დადიოდნენ შავ ფანსაც-
მელში და ამბობდნენ, რომ ტექნი-
კური პროგრესი ადამიანს ღმერ-
თისგან აშორებდა, ადამიანის ღმერ-
თისგან დაშორება კი ანგიქრისტეს
მიზანი იყო, რომელსაც უნდოდა,
ადამიანში სული ჩაეკლა. იელოვას
მოწმეებს არ სწამდათ სულის უკვ-
დავების, მაგრამ სჯეროდათ, რომ
სიკვდილის შემდეგ დედამიწაზე და-
ბრუნდებოდნენ და იცხოვრებდნენ
მარადიულ განცსრომაში და რომ
მათთან ერთად დაბრუნდებოდა
ბიბლიური ოცი პატრიარქი და, ომის
შემდეგ, კალიფორნიაში ააშენეს 73

ლმერთი არსებობს

მათთვის დიდი სასლი; ამ სალსის აზრით, ადამიანები დაივიწყებდნენ მიწიურ ენებს და ურთიერთობა ექნებოდათ რწმენისა და გონების ძალის მეშვეობით. საუკუნის ბოლოს კი, გავრცელდა აპოკალიპტური სექტები, რომელთაც უნდოდათ დაეჩქარებინათ აპოკალიპსის მოსვლა და შემდეგ ასალი და უკეთესი ქვეყნის აშენება, სადაც მხოლოდ ის მოხვდებოდა, ვისაც დროულად აესილებოდა თვალი. რაც უფრო მეტად კლებულობდა ქრისტიანების რიცხვი, მით უფრო მაგულობდა ხალსი, რომელთაც სწამდათ, რომ რაღაც ღმერთი კი არსებობს, მაგრამ ის სსვაგან უნდა მოძებნონ. და კიდევ, სსვა სალსს, ასევე სჯეროდა, რომ ცხოვრება დედამიწაზე, ან ყოველ შემთხვევაში ადამიანი, წარმოიშვა არამიწიერი ძალის ჩარევის შედეგად, რომ ვიღაც, უცხოპლანეტელები, ოდესლაც, დიდი სნის წინ, დაე-

შვენენ დედამიწაზე, აფმოსტეროში
მიმოასხურეს უანგბადი, ან გაანაყ-
ოფიერეს მაიმუნი, იმისათვის, რომ
შექმნილიყო შეგნებული არსების
წარმოშობის შესაძლებლობა. და,
1954 წელს, ერთმა ამერიკელმა
მოიგონა საიენტოლოგია და ამტ-
კიცებდა, რომ საიენტოლოგია
ერთადერთი ჰეშმარიფი გზა იყო
თავისუფლებისკენ და რომ მას შეე-
ძლო გაეთავისუფლებინა მთელი კა-
ცობრიობა. ის იმასაც ამბობდა, რომ
სამყარო ომერთმა კი არა, სალსმა
შექმნა, ოდესლაც, დიდი სნის წინათ,
იმ დროს, როცა, ყველა ადამიანი
ჯერ კიდევ უკვდავი სულიერი არსე-
ბა იყოო. სამყაროს შექმნის დროს,
შემდეგ, მომსდარა უბედურება და
სალსმა დაკარგა თავისი ძლიერე-
ბა და იმდენად გადაგვარდა, რომ
დაავიწყდა უკვდაი და სული რომ
იყო, მაგრამ საიენტოლოგიას შეე-
ძლო ადამიანებისა გათავისუფლება

მაგერითს
ბორეილები-
სგან გათავი-
სუფლება

მაგერითს ბორკილების, სივრცისა
და დროისგან და დასმარებოდა მათ
დაებრუნებინათ თავისთავის დაკ-
არგული შეცნობა, და ამით, დაკარ-
გული ძალაუფლებაც.

საუკუნის დასაწყისში, ბევრს სჯე-
როდა პოზიტივიზმის და ელექტ-
როენერგიის, გამოგონებების და
ბიოლოგიის, ძუძუმწოვართა ევო-
ლუციის და ფსიქოლოგიის და სო-
ციალური ფიზიკის, რომელსაც
სოციოლოგიას უწოდებდნენ და
მეცნიერებს მიაჩნდათ, რომ უას-
ლესი ცოდნისა და ცნობების გამოყ-
ენებით, რომელსაც თანამედროვე
მეცნიერება სთავაზობდა კაცობრი-
ობას, შესაძლებელი გახდებოდა,
ადამიანის ბუნება მიეყვანათ სრუ-
ლყოფილებამდე და აეშენებინათ
ახალი, უფრო რაციონალური და
პუმანური სამყარო. და, მეცხრამეტე
და მეოცე საუკუნის გარდატესის

პერიოდში გავრცელდა ევგენიკა, რომელიც სწავლობდა ადამიანთა გვარის სრულყოფისთვის საჭირო შესაძლებლობებს. ევგენიკები ამბობდნენ, რომ ადამიანთა გვარში, ჯანმრთელი და სრულფასოვანი პიროვნებების გარდა, არსებობდნენ, ასევე, არასრულფასოვნები და გიჟები, სისხლის სამართლის დამნაშავეები და ლოთები, მეძავები და ა. შ. და რომ ისინი ამუხრუჭებდნენ ადამიანთა გვარის განვითარებას. და მთავრობას სთავაზობდნენ, ისეთი კანონის შემოღებას, რომელიც უფლებას მისცემდა მათ მოქმედინათ ადამიანთა მოდგმის განვითარებისგან ისინი, ვისაც ბიოლოგიური დეფექტი ქონდა და იგანჯებოდა თანდაყოლილი, ან შთამომავლობითი მიღრეკილებებით ასოციალური ცხოვრებისკენ. ევგენიკები ამბობდნენ, რომ ბიოლოგიური დეფექტის მქონე პირები უნდა

რაიათა შენარჩუ-
ნებული იყოს
ჯანმრთელი
ბირთვი

იყვნენ სტერილიზებულნი, რათა
აღმოიფხვრას ნაკლი და შენარჩუ-
ნებულ იყოს ჯანმრთელი ბირთვი.
მათ, ასევე, შეადგინეს სტატისტიკა
და ამბობდნენ, რომ ოთხმოცდასამი
წლის ლოთ ქალს, მაგალითისთ-
ვის, შეიძლებოდა ყოლოდა სულ
894 შთამომავალი, მათგან 67 იქნე-
ბოდა სისხლის სამართლის დამნა-
შავე- რეციდივისტი, 7 მკვლელი, 181
მეძავი, 142 მათხოვარი და 40 გიეი,
სულ 437 ასოციალური ელემენტი.
და გამოიანგარიშეს კიდეც, რომ
საზოგადოებას ეს 437 ასოციალური
ელემენტი უჯდებოდა იმდენი, რამ-
დენიც დაჯდებოდა 140 შემოსავ-
ლიანი სასლის მშენებლობა. მოგვი-
ანებით, ნაცისტებმა გამოიგანეს
დასკვნა, რომ ამ პირების სტერილ-
იზაცია და კასტრირება და იძულე-
ბითი აბორტები და სპეციალიზებულ
დაწესებულებებში ყოფნა, საზოგა-
დოებას უჯდებოდა ფული, რომლის

გამოყენება შეიძლებოდა უფრო კარგად და უფრო ადვილი იქნებოდა ეს ასოციალური ელემენტები ადამიანთა მოდემისგან ევთანაზის გზით მოეშორებინათ. 200 000 ასო-ციალური ელემენტი იყო მოთავსებული საკონცენტრაციო ბანაკებში და მოკლული გაზის კამერებში, რამაც შესაძლებლობა მისცა ნაცისტებს გამოეცადათ გაზის კამერები, ჯერ კიდევ, ებრაელების საკითხის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. ასოციალური ელემენტები, საკონცენტრაციო ბანაკებში, მკერდზე აფარებდნენ შავ სამკუთხედს, ებრაელები კი, აფარებდნენ ყვითელ ვარსკვლავს. და პოლიტიკური პატიმრები, აფარებდნენ წითელ სამკუთხედს, და პომოსექსუალები, რომლებიც წარმოადგენდნენ სოციალური ელემენტების განსაკუთრებულ კატეგორიას, აფარებდნენ ვარდისფერ სამკუთხედს.

ასოციალურ
ელემენტები

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ
დაიწყეს ომში დაღუპულ ჯარის-
კაცებისთვის, ძეგლების დაღმა,
მათი სსოვნა რომ ყოფილიყო. და
ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ და-
ღუპულ ჯარისკაცთა ძეგლები, ჯერ
კიდევ, პირველ მსოფლიო ომამდეც
არსებობდა, მაგრამ ოციან წლებში
ისინი მახსოვრობის უნივერსალურ
სიმბოლოდ იქცნენ დასავლეთის
კულტურაში. მოქანდაკეებსა და
ქვისმთლელებს კი უსაროდათ ბევ-
რი შეკვეთები რომ ქონდათ. დაღუ-
პულთა ძეგლები უმეტესად, სტელა-
სა და ობელისკის სასით იქმნებოდა.
მათ თავზე იყო მამალი ან წმინდა
გიორგი ან დედა არწივი, იმის-
და მისედვით, თუ რა ეროვნების
იყვნენ ჯარისკაცები. შეაში მეო-
მარი იდგა იარაღით და სასის მშ-
ვიდი და შეუპოვარი გამომეტყველე-
ბით, ქვემოთ კი ქალები ბავშვები,

და ანტროპოლოგები ამბობდნენ,
რომ ეს დამახასიათებელი იყო ინ-
დოევროპული კულტურისთვის.
დაღუპულ მებრძოლთა სასელები,
ჩვეულებრივ, ამოტვიფრული იყო
ანბანის მიხედვით. ყველაზე უფრო
სშირად ძეგლებზე წერდნენ სამ-
შობლო, გმირები, ტანჯულები
და გახსოვდეს! ზოგჯერ ძეგლზე
ასეთი წარწერაც იყო წყეულიმც
იყოს ომი! ზოგიერთ ადგილას
ძეგლს უდგამდნენ იმ მეომრებსაც,
რომლებსაც, ომის დროს, ბრძანების
შეუსრულებლობის გამო სიკვდი-
ლი მიუსაჯეს, ან საკონცენტრაციო
ბანაკში გაგზავნეს. 1916 წელს კი,
უკენკურში, ჯარისკაცი სიკვდილით
დასაჯეს მსოლოდ იმისთვის, რომ
მას ფორმის შარვალი არ ქონდა და
უარი თქვა გაესადა შარვალი და-
ღუპული ამსანაგისთვის და თვითონ
ჩაეცვა, ვინაიდან ის ჭუჭყიანი და

უცნობი ჯარის-
კაცი

ყველა უხერი
დაიღუძა

სისსლით მოსვრილი იყო. 1920 წელს
კი, ფრანგებმა მოიფიქრეს უცნობი
ჯარისკაცის ძეგლი მარადიული ცე-
ცხლით, რომელსაც დიდი წარმატება
ქონდა ინგლისში, ბელგიაში და იტ-
ალიაში და ასევე ახალ ქვეყნებში,
რომელთაც ჯერ არ ქონდათ ისტო-
რია, ჩესოსლოვაკიაში, იუგოსლა-
ვიაში და ა. შ. უცნობი ჯარისკაცი
შეიძლებოდა გამხდარიყო მეომარი,
რომელსაც აფეთქებამ თავი მოა-
გლიჯა, ან მტრის ტყვიამ დაუმსხვრია
საიდენტიფიკაციო ნიშანი, ან ჯარის-
კაცი, რომელიც მიწაში ჩაიმარსა, ან,
რომელიც ჭაობში ჩაისრჩო. ერთი
ბელგიელი ჯარისკაცი, კურტესთან
(Gourtai) მუხლებამდე ჩავარდნილა
ჭაობში, ის ვერ ამოათრია ოთხმა
ამხანაგმა, ყველა ცხენი დაეღუპათ
და როცა ორი დღის შემდეგ უკან
იხევდნენ იმავე გზით, ის ჯარისკაცი
ისევ ცოცხალი იყო, მაგრამ ჭაობი-
დან მოსჩანდა მხოლოდ მისი თავი

და ის უკვე აღარ ყვიროდა.

და როცა ნაცისტებმა ომი წააგეს, გამარჯვებულმა ქვეყნებმა საერთაშორისო სასამართლო მოაწყეს და იურისტებმა დაიწყეს ფიქრი, რა დაერქვათ ებრაელების საკითხის საბოლოო გადაწყვეტილებისთვის, ბოშათა და სლავების განადგურების ათასნაირი გეგმებისათვის და ა. შ. და მოიგონეს ცნება გენოციდი. ისტორიკოსები თვლიდნენ, რომ მეოცე საუკუნეში მოხდა დაასლოებით სამოცი გენოციდი, მათგან ყველა არ შემორჩა ისტორიის მეხსიერებას. ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ ისტორიული მეხსიერება არ წარმოადგენს ისტორიის ნაწილს და რომ, მან ისტორიის სფეროდან ფსიქოლოგიის სფეროში გადაინაცვლა, რამაც წარმორშვა მეხსიერების ასალი სასეობა, ანუ მეხსიერება არა შემთხვევების შეს- 83

ასებ, არამედ თვით მესსიერების
შესახებ. მესსიერების ფსიქოლო-
გიზაციის შედეგად, სალსში გაჩნდა
შეგრძნება, რომ მათ თითქოს ვალი
უნდა მოისადონ წარსულის წინაშე,
მაგრამ გაუგებარი იყო რა და ვის
წინაშე. ებრაელების საკითხის საბ-
ოლოო გადაწყვეტილების მიღებას,
მოგვიანებით, უწოდეს პოლოკოს-
ტი, ან შოა, რაღანაც ებრაელე-
ბი ამტკიცებდნენ, რომ ეს არ იყო
უბრალოდ გენოციდი, არამედ იყო
კიდევ უფრო სსვა რამ, რომელიც
გენოციდს სცილდებოდა და ადა-
მიანური გაგების მიღმა იდგა და
ამტკიცებდნენ, რომ ლაპარაკი იყო
ამ მოვლენის ებრაულ სპეციფი-
ურობაზე. ბევრს კი ეგონა, რომ
ებრაელები ცდილობდნენ გენოცი-
დის მითვისებას და ამბობდნენ, რომ
ნებისმიერი გენოციდის მსსვერპლი
აღიქვამს თავის გამოცდილებას,
როგოც ადამიანური გაგების მიღმა

მდგარ მოვლენას და ებრაელები კი
ცდილობენ შეცვალონ ისტორიული
სინამდვილე მისი რეპრეზენტაციით
და პარადოქსულად ხელს უწყობენ
იმას, რომ ხალხის უმრავლესობა
პოლოკოსტს აღიქვამს, როგორც
დრამატულ სცენას ფილმიდან. გო-
გიერთი რაბინი იმასაც კი ამბობდა,
რომ ებრაელები შემთხვევით და
შეცდომით არ მოხვედრილან საკონ-
ცენტრაციო ბანაკებში, რომ მოხდა
სულების რეინკარნაცია, რომელთ-
აც სხვა ცხოვრებაში შესცოდეს და
ცოტა თუ დარჩა ღვთისმოშიში და
შეუბლალავი მიწიერ ცხოვრებაშიო.
ისტორიკოსები კი ამბობდნენ, რომ
დასავლეთის საზოგადოება გადავი-
და ისტორიის, როგორც მესსიერების
გაგრძელების ფრადიციული გაგე-
ბიდან, მესსიერების ისეთ გაგე-
ბაზე, რომელიც პროეცირებულია
ისტორიის წყვეტილობისკენ. სხვა
რაბინები კი ამბობდნენ, რომ პო-

ლოკოსტის დროს ღმერთი განმარტოვდა და, რომ, ეს არ იყო მისგან სასჯელი როგორც ასეთი, არამედ სამყაროს დაბრუნება მის საწყის მდგომარეობაში, ვიდრე ღმერთი წესრიგს დაამყარებდა და უკუნეთი იდგა უფსკრულის პირას. ერთი ებრაელი ქალი კი ომს იმის წყალობით გადაურჩა, რომ შტრუტოფის მოედანზე ვიოლინობე ასრულებდა არიებს მხიარული ქვრივიდან. ისტორიკოსები კი, ამბობდნენ, რომ გაიგივების საუკუნე საბოლოოდ დამთავრდა, ვინაიდან ისტორიოგრაფია შევიდა ეპისტემოლოგიურ ერაში. ებრაელი საკითხის საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაზე ფიქრი ნაცისტებმა ჯერ კიდევ 1940 წელს დაიწყეს, როცა გაჩნდა აზრი მთელი ევროპელი ებრაელების მადაგასკარზე გადასახლების შესახებ. ევროპაში უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ ის ებრაელები, რომელთაც

გავლენიანი და მდიდარი ნათესავები ყავდათ ამერიკასა და არგენტინაში, და, ნაცისტები იმედოვნებდნენ, რომ ებრაელი, რომელთაც გავლენიანი და მდიდარი ნათესავები ყავდათ ამერიკასა და არგენტინაში, იქნებოდა დაახლოებით 10000, და მათ მოთავსებას აპირებდნენ სპეციალურ საკონცენტრაციო ბანაკებში, და დაახლოებით 9 მილიონი ებრაელი კი უნდა ყოფილიყო დეპორტირებული მაღაგასკარზე, სადაც, ვარაუდობდნენ, მოეწყოთ რეზერვაციები შიდა თვითმართველობით, და ებრაელები იცსოვრებდნენ იქ თავისიანებთან ერთად და ნელნელა გადაგვარდებოდნენ, რაღანაც ბუნებამ ისინი გააძევა თავის წიაღიძას და არიული სისხლის ნაკადის გარეშე, რომელსაც ისინი ევროპაში სვამდნენ, საბოლოოდ ამოწყდებოდნენ. ებრაელების მაღაგასკარზე გადასახლების იდეა პირველად 1905

ებრაელები
მაღაგასკარზე

წელს გამოჩნდა, ვენის ეკიზეგეტის
წიგნში, რომელიც სწავლობდა ძველ
აღთქმასა და ბოოლოგიას და გამოი-
გონა ახალი დარგი და უწოდა მას
თეომოლოგია. იგი იმ დასკვნამდე
მივიდა, რომ ღმერთი არ არსებობს,
სამყარო კი შექმნეს ადამიანთა
მოდგმის ღმერთებმა, რომლებსაც
შეეძლოთ ელექტროსიგნალების
გაგზავნა და გააჩნდათ ფელეპატი-
ის უნარი, და იყვნენ უკვდავნი და
სულიერნი, მაგრამ დროთა განმა-
ვლობაში ისინი შეერივნენ ადამი-
ანებს და ცხოველებს და გასდნენ
მოკვდავნი. და ის იმასაც ამბობდა,
რომ ღმერთებთან და ღმერთკაცების
პირველ თაობასთან ყველაზე ახ-
ლოს იყვნენ არიელები, რომ მათში
ასლაც შეიძლებოდა აღმოგვეჩინა
ელექტრული ძალის ნარჩენები და
ფელეპატიური ნეიტრონები და წინა-
დადება შემოჰქონდა გადაესახლე-
ბინათ ებრაელები მადაგასკარ-

ზე, გერმანიაში კი დაეარსებინათ ZUCHTKLOSTER აღმზრდელობითი მონასტრები, სადაც გერმანელ ქა-ლებს გაანაყოფიერებდნენ საჯიშე არიელები, და ამგვარად ისევ მი-იღებდნენ ღმერთკაცებს, რომელთაც ექნებოდათ ტელეპატიური ურთიერ-თობის უნარი გონიერი ძალითა და ელექტრული იმპულსებით. ბოლოს, ნაცისტები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ მადაგასკარზე დეპორტაცია ფული ღირდა, რომელიც შეიძლებო-და გამოეყენებინათ საომარი მოქ-მედებების მსარდასაჭერად და 1942 წელს დაადგინეს, რომ ებრაელ-თა საკითხის საბოლოო გადაწ-ყვეტილების მიღება ნიშნავს მომა-ვალში, ებრაელების ყველანაირი სერსით განადგურებას.

ურთიერთობა

სალსი მოგზაურობდა დალექულ
სატვირთო ვაგონებით, რომლებიც
დასურული იყო მთელი გზის განმა-

ვლობაში, ტუალეტში ვერსად წასვი-
დოდი და თუ ვინმე კვდებოდა, გვა-
მი ვაგონშივე რჩებოდა. ზოგიერთი
საკონცენტრაციო ბანაკი შრომისთ-
ვის იყო განკუთვნილი, სხვები კი
ებრაელების გასანადგურებლად,
საშიშროებას რომ უქმნიდა არიულ
რასას. როცა ხალხი სიკვდილის
ბანაკში მოყავდათ, გერმანელები
მათ ორ ან სამ ჯგუფად ყოფდნენ,
ქალები და კაცები ცალ-ცალკე, და
სან ბავშვებიც ცალკე. უბრძანებდნენ
გაშიშვლებას და ტანსაცმელი მიქონ-
დათ. ხანდახან, გერმანელები, როცა
ასალი მუშები, თარჯიმანი, ან ახ-
ალგაბრდა, ლამაზი მოახლე სჭირდ-
ებოდათ, ვინმეს ამოარჩევდნენ,
დანარჩენებს კი გაზის კამერებში
აგზავნიდნენ. გზას მატარებლიდან
გაზის კამერებამდე, კაცები უნდე-
ბოდნენ ათ წუთს, ქალები კი საათის
მეოთხედს, ვინაიდან მათ ხშირი და
ხარისხიანი თმა ქონდათ და მის

შეჭრას უფრო დიდი დრო სჭირდებოდა. მოჭრილი თმით, შემდეგ, ლეიბებს ტენიდნენ, ან აკეთებდნენ თოჯინებისთვის პარიკებს. იმისათვის, რომ სალსს საღვურზე, ხმაური არ აეტესა, ეუბნებოდნენ, რომ ჯერ ყველა მიდიოდა აბანოში, ხანდახან ბილეთებსაც ურიგებდნენ, ვითომ, აბანოს სალაროში უნდა წარედგინათ. ირგვლივ სახლებზე კი წარწერები ეკიდა ბუფეტი, სალარო, ტელეგრაფი და ა.შ. და ხალსსაც თუმცა ეშინოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა, რომ საღვურზე იმყოფებოდნენ და სხვა ადგილას წაიყვანდნენ, ხოლო, გახდა და თმის შეჭრა საჭირო იყო ჰიგიენის დაცვის თვალსაზრისით, რადგან გერმანელები ძალიან გრუნავდნენ ჰიგიენაზე, და ას კილოგრამ თმაში სამმართველო სახელმწიფოსგან იღებდა რეისის ხუთ მარკას. ჩგერმანელები ამბობდნენ,

გერმანელები
გრუნავდნენ
ჰიგიენაზე

რომელიც იმ პერიოდში თურქეთის
არმიაში მსასურობდა ინსტრუქტო-
რად, 66 ფოტო ჩამოიტანა გერმანი-
აში, რომელზეც აღბეჭდილი იყო
სომხური გენოციდის ამსახველი
მომენტები, და გადააგმავნა ისინი
გერმანიის იმპერატორთან, თან მი-
აწერა, რომ ჯობდა მოკავშირეები
უფრო კარგად შეერჩიათ, ვინაიდ-
ან თურქეთის სირცხვილი მათგეც
გადმოდიოდა. 1928 წლიდან 1949
წლამდე კი რუსეთმა ექვსი მილ-
იონი არარუსი ეროვნების ადამია-
ნის დეპორტაცია განახორციელა,
სომხების, თათრების, ლიქველების,
ესტონელების, უკრაინელების, პო-
ლონელების, გერმანელების, მოლ-
დაველების, ბერძნების, კორე-
ელების, კალმიკების, ქურთების,
ინგუშების და ა. შ. და მათგან 30%
გმირი დაიღუპა, 20% კი, ერთი წლის
შემდეგ დაიხოცა. მოგვიანებით,
კომუნისტები ამბობდნენ, რომ ეს

დეპორტაცია კი არა, არამედ გეო-
გრაფიული სივრცის ოპტიმიზაცია
და ასალი, ზენაციონალური საზოგა-
დოების შექმნისკენ გადადგმული
პირველი ნაბიჯები იყო, სადაც
მნიშვნელოვანი იქნებოდა არა თუ
ვინ სად ცხოვრობდა, არამედ ის, თუ
რამდენად მონდომებით მუშაობდა
ის საყოველთაო კეთილდღეობი-
სათვის. და 1934 წელს კომუნისტებმა
მოიგონეს რეზერვაცია ებრაელები-
სთვის და ყველა საბჭოთა ებრაელს
მოუწოდეს იქ გადასახლებულიყვნენ
საცხოვრებლად. რეზერვაცია მდე-
ბარეობდა ჩინეთისა და ხაბაროვეს-
კის მსარის საზღვარზე და ბამ-
თარში ტემპერატურა ეცემოდა 40
გრადუსამდე, კომუნისტები კი ირწ-
მუნებოდნენ, რომ ეს რეზერვაცია კი
არა, არამედ ავტონომიური ოლქი
იყო, სადაც ებრაელებს შეეძლებო-
დათ ყოფილიყვნენ თავისიანების
გარემოცვაში და ექნებოდათ თვით-

**ლტოლებისა
ბანაკები**

მმართველობა. 1944 წელს კი ყაზახ-
ეთში და ყირგიზეთში გადაასახლეს
477000 ჩეჩენი 12525 პირუტყვისთვის
განკუთვნილ ვაკონებით, და 190000
ჩეჩენი დაიღუპა გზაში შიმშილისა და
ყინვისგან, 1999 წელს კი საეჭვო ჩე-
ჩენებისთვის მოიფიქრეს სპეციალური
ბანაკები და მათ დროებით გადაადგ-
ილებულთა, ან ლტოლებისა ბანაკე-
ბი დაარქვეს. 1948 წელს კი ებრაული
წარმოშობის ჟურნალისტებს, ინ-
ჟინრებს და ექიმებს ბრალი დასდეს
კოსმოპოლიტიზმში, სიონიზმში და
ბურუუაზიულ აზროვნებაში და მათი
უმრავლესობა მოკლეს, დანარჩენი
საკონცენტრაციო ბანაკებში გააგზა-
ვნეს. სომხური გენოციდის მსსვერ-
პლთა რაოდენობა ერთი, ერთნახე-
ვარი მილიონი ადამიანი იყო, მაგრამ
თურქები ამბობდნენ, რომ სომხური
გენოციდი არ იყო ნამდვილი გენო-
ციდი და ასე ფიქრობდა ებრაელების
უმრავლესობაც.

საინტოლოგები ამბობდნენ, რომ
ადამიანი, ძირითადად, კარგი იყო,
მაგრამ ზოგი ადამიანი სხვას ჯობდა
და ადამიანებს ყოფდნენ ოთხ ჯგუ-
უად. ყველაზე კარგები იყენენ საინ-
ტოლოგები, ვინაიდან მათ იცოდნენ
ის, რაც არ იცოდნენ სხვებმა. მეორე
ჯგუუში, ხვდებოდა კაცობრიობის ის
ნაწილი, რომელსაც ჯერ თვალი არ
ქონდა ასელილი, კაცობრიობის ერთ
მესუთედს კი შეადგენდნენ ადამი-
ანები, რომელთაც ეძახდნენ უსია-
მოვნებათა პოგენციურ წყაროს, POTENTIAL TROUBLE SOURCES, ეს-
ენი, იყვნენ ადამიანები, რომლებიც
ამბობდნენ, რომ საინტოლოგები
გარეკილები არიანო. და, კაცობრი-
ობის ორნახევარ პროცენტს შეად-
გენდნენ SUPPRESSIVE PERSONS,
ანუ, ისინი ვისაც სიმართლის ჩასმო-
ბა უნდოდა და კაცობრიობას გათა-
ვისუფლების საშუალებას არ აძლევ-
და. საინტოლოგებმა მოიფიქრეს ამ 97

პირთა ამოცნობის 72 მეთოდი, რათა, იმ დროს, როცა ძველი სამყაროს სულიერი გარდაქმნა მოხდებოდა, მათ ვერ შეძლებოდათ სხვებთან შერევა. ხოლო, ვისაც კაცობრიობის გათავისუფლება არ სურდა, საინტოლოგებმა მათ გამოსააშკარავებლად შექმნეს უსაფრთხოების სპეციალური რაზმები, რომლის წევრებად იღებდნენ ერთი მილიარდი წლის ვადით. საინტოლოგები ამბობდნენ, რომ კაცობრიობა, აღრე თუ გვიან, გათავისუფლდებოდა, მაგრამ ეს შეიძლებოდა გაგრძელებულიყო კიდევ რამდენიმე სანს. ისინი კიდევ ამბობდნენ, რომ, ადამიანს შეეძლო მიეღწია თავის შეცნობისთვის, უკვე მიწიერი ცხოვრების დროს, და ამ გზით უზრუნველეყო თავისი დაბრუნება სულიერებასა და უკვდავებაში, მაგრამ ჯერ აუცილებელი იყო დროისა და მატერიის ბორკილებისგან გათავისუფლება. ბორკილები-

სგან გათავისუფლებულ ადამიანს შეეძლებოდა დროში ემოგბაურა 75 მილიონი წლით უკან და შეეცნო ყველა ის ტრავმა, რომელიც მან მთელი ამ ხნის მანძილზე გადაიტანა. სწორედ ეს ტრავმები იყო დამნა-შავე, ენერგიას რომ კარგავდა ის. და თუ მას, ამ ტრავმების გამო, დაკარ-გული ენერგიის დაბრუნება უნდოდა, მაშინ, ჯერ თავის ცნობიერებიდან უნდა ამოეგდო ენგრამები, რომლე-ბიც ადამიანური მესსიერების კვალს ინახავდნენ. ენგრამების მოშორებით, ის თავისუფლდებოდა მესსიერებისა და თავისი ადამიანური დანიშნულე-ბებისგან და შეძლებდა ემოგბაურა დროში და ცოდნა შეეძინა.

პირველი კანონი, არასრულფასო-ვანი და ასოციალური ელემენტების სტერილიზაციის შესახებ, გამოვიდა 1907 წელს შეერთებულ შტატებში. კანონი, გამოუსწორებელ დამნაშა-

სტერილიზაცია

ვეთა და სულით ავადმყოფთა სტერ-ილიბაციის უფლებას იძლეოდა, 1914 წელს კი, ფსიქიატრების ინიციატი-ვით კანონი გავრცელდა რეციდი-ვისტ-ქურდებსა და ალკოჰოლისტე-ბზეც, 1923 წელს კი, მისურის შტატში ამ კანონის გამოყენება გაავრცელეს განგური და ინდიური წარმოშობის ქათმის ქურდებზეც, რაღაც ითვ-ლებოდა, რომ თეთრი წარმოშობის ქათმის ქურდებს შეეძლოთ კიდევ გამოსწორების გზაზე დამდგარი-ყვნენ და ცხოვრებას შეერთებოდ-ნენ ბეჯითი და შეგნებული შრომით. და 1929 წელს სტერილიბაციის შეს-ახებ კანონი მიიღეს შვეიცარიასა და დანიაში, 1934 წელს კი – ნორ-ვეგიაში, 1935 წელს კი, – ფინეთსა და შვედეთში და შვედეთში, ეს კანონი მოქმედებდა 1975 წლამდე და 13810 შვედ კაცსა და 48995 ქალს ჩაუტარ-და სტერილიბაცია სასამართლოს გადაწყვეტილებით. კათოლიკური

ტრადიციების მქონე ქვეყნებში ევგენიკური კანონები არ მოქმედებდნენ, ვინაიდან კათოლიკები ევოლუციის თეორიის, სტერილიზაციისა და აბორტის წინააღმდეგი იყვნენ და ამბობდნენ, რომ არავის ქონდა უფლება ადამიანს წაართვას ის, რაც მას ღმერთმა მიანიჭაო, პროგესტანტები კი ამაზე პასუხობდნენ, რომ აბროვნება ვითარდება და პროგრესის უკუგდება დამასასიათებელია კათოლიკებისთვის და ისინი ამაზე უკვე ოთხასი წელია ლაპარაკობენ გამუდმებითო. კომუნისტურ ქვეყნებში, ექიმების საკმაო რეკომენდაციები არსებობდა არასრულფასოვნების სტერილიზაციის შესასებ, იუგოსლავიაში და ჩუმინეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ასევე, ჩუმად, სტერილიზაცია გაუკეთდა ალბანელ და ბოშა ქალებს, ვინაიდან ამ ქვეყნის მთავრობები თვლიდნენ, რომ ალბანელები და ბოშები

ნაბიჭერები

მსჯავრის
დაღება

ძალიან მომრავლდნენ სოციალისტურ ბანაკში. გერმანიაში, კანონი სტერილიზაციის შესახებ, მიიღეს 1933 წელს, როცა სათავეში მოვიდნენ ნაცისტები, და პირველები, ვისაც სტერილიზაცია გაუკეთეს, იყვნენ ბავშვები, RHEINLANDBASTARDE,

ეგრეთწოდებული რაინის ნაბიჭერები, გერმანელი დედის და ბანგი მამების შვილები საფრანგეთის არმიიდან, რომელსაც იმ სანად, რაინის მხარე ქონდა ოკუპირებული. და 514 რაინელი ნაბიჭვარი იყო სტერილიზებული და სულით ავადმყოფთა საავადმყოფოებში გაგზავნილი, ამ ნაბიჭერების დედებს კი, მტერთან თანამშრომლობის გამო, მსჯავრი დასდეს და რავენსბრუკის საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნეს. რავენსბრუკის ბანაკი სპეციალურად ქალების საკონცენტრაციო ბანაკი იყო, სადაც, მოვაიანებით, აგზავნიდნენ აგრეთვე ქალებს, რომლე-

ბიც, სახელმწიფოს ძირს უთხრიდნენ
სამსედრო ტყვეებთან და მუშებთან
ურთიერთობით, ტყვეები ოკუპირე-
ბული მიწებიდან იყვნენ და მუშ-
აობდნენ გერმანულ ქარსნებსა და
ფაბრიკებში და 92350 ქალი დაიღუპა
რავენსბრუქში. დახაუს საკონცენ-
ტრაციო ბანაკში კი გერმანულ ექ-
იმთა განკარგულებაში იყო დაბალი
წნევის კამერა, სადაც სწავლობდნენ
ეპილეფსიანი ბავშვების ქცევებს და
ცდილობდნენ დაედგინათ, რა გან-
სხვავება იყო თანდაყოლილ და
შეძენილ ეპილეფსიას შორის. და,
1910 წელს ამერიკელებმა მოიგონეს
ევგენიკური სტატისტიკური სამსახ-
ური, და 1922 წელს, ამ სამსახურის
სელმძღვანელმა ამერიკის მთავ-
რობას გაუგზავნა იმ მოქალაქეთა
სია, რომელთაც არ გააჩნდათ სო-
ციალური ადაპტაციის უნარი, რაც
აუცილებელი იყო ჯანმრთელი და
სრულფასოვანი საბოგადოების

მოქალაქენი
ადაპტაციის
უნარის გარეშე

შენარჩუნებისათვის. სია დაყოფილი იყო 10 ჯგუფად, სხვადასხვა სოციალური და სამედიცინო კრიტერიუმების შესაბამისად და აქ შედიოდნენ ის მოქალაქენი, რომლებიც დამოკიდებული იყვნენ საზოგადოებაზე, მოქალაქენი, რომელთაც არ ქონდათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ან საკმარისი შემოსავალი, ვისაც ქონდა თანდაყოლილი დეუქეტები, ან ქრონიკული და გადამდები დაავადებები, მოქალაქენი ძლიერ დაქვეითებული მსედველობით, ან სერიოზულად დარღვეული სმენით, მაწანწალები, გიუგები, ფსიქოპათები, დამნაშავენი, მეძავები, ჰომოსექსუალები, სიუილისიანები, ლოთები, ნარკომანები, ტუბერკულიოზიანები და ეპილეფსიანები. ექიმები, ასევე, ოკვლევდნენ, იყო თუ არა განსხვავება აღამიანებისა და ბოცვერის ეპილეფსიას შორის, რომლებსაც სამმართველო ვენი-

დან იწერდა. ვენაში კი პირიქით, ანაგომიის ინსტიტუტისა და მედიცინის ფაკულტეტებისთვის გვამებს მაუთპაუზენის საკონცენტრაციო ბანაკიდან იწერდნენ. გვამები უნდა ყოფილიყო ახალი, დაბიანების გარეშე და ანაგომიის ინსტიტუტი წელიწადში დაასლოებით 460 დაუბიანებელ გვამს უკვეთავდა, რომელთა უმრავლესობა განკუთვნილი იყო გასაკვეთად, ანაგომიაში მეცა-დინეობის დროს. ნორვეგიაში კი ომის შემდეგ, მარგოსელა დედებს, რომელთა კაცები გერმანელები იყვნენ, ბავშვები წაართვეს და სულითავადმყოფთა დაწესებულებაში გააგზავნეს. და ბევრი ბიოლოგი და გენეტიკოსი, ფსიქიატრი და ანგროპოლოგი თვლიდა, რომ ევგენიკა, ელექტროობასთან ერთად წარმოადგენს ადმიანის შესასებ თანამედროვე მეცნიერების უმაღლეს მიღწევას, და იმის მსგავსად, რო-

ანაგომიაში
მეცადინება

სტერილი-
ლიბაციას აზრი
არ ქონდა

გორუ ელექტროობამ შეცვალა ადა-
მიანთა მატერიალური პირობები,
და საშუალება მისცა მსოფლიოს შე-
სულიყო ასაღ ეპოქაში, ევგენიკაც
რადიკალურად შეცვლის საზოგა-
დოების ბიოლოგიურ საფუძველს და
მსოფლიოს საშუალებას მისცემს შე-
ვიდეს ასაღ ერაშიო. თუმცა, ზოგი-
ერთი ევგენიკოსი კი ამბობდა, რომ
აზრი არ ქონდა სტერილიზაციას, და
მათ გამოთვალეს, რომ ოცდაორი
თაობა იყო საჭირო რათა, გიუების
და ფსიქოპათების საერთო რაოდე-
ნობა შემცირებულიყო 0,9 %-ით,
და კიდევ ოთხმოცდაათი თაობა
უნდა შეცვლილიყო, რომ გიუებისა
და ფსიქოპათების რიცხვი საზოგა-
დოებაში შემცირებულიყო ერთი
მეასიათასედით. და ისინი თვლიდ-
ნენ, რომ კაცობრიობის გამოსაჯა-
ნმრთელებლად საჭირო იყო უფრო
ქმედითი საშუალების გამოძებნა.

ქალთა ემანსიპაციამ და კონტრა-
ცეპიამ, ფამპონებმა და ბავშვის
ერთჯერადმა საფენებმა, ბავშვები
შეამცირა ევროპაში, მაგრამ მოიმა-
ტა სათამაშოებმა, საბავშვო ბალებ-
მა, სასრიალოებმა, ასაძრომებმა,
ძალებმა და გაზუნებმა და ა. შ.
სოციოლოგები ამბობდნენ, რომ
ოჯახში ბავშვი გახდა ყურადღების
ცენტრი, ხოლო, დროთა განმავ-
ლობაში კი – მისი ყველაზე გავლე-
ნიანი წევრი. ბავშვებს კი უნდოდათ
ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები,
ქონიდათ ინდივიდუალობა და არ
გაეცვითათ უფროსი ძმის ქუდი, თუ
უეხსაცმელი, მათ უნდოდათ ასალი
ქუდი და უეხსაცმელი, უანქრები
და კუბიკები, დათუნიები და თო-
ჯინები. ევროპის ქვეყნებში მეოცე
საუკუნეში თორმეტიათასსუთასით
მეტ თოჯინას აწარმოებდნენ, ვი-
დრე მეცხრამეტე საუკუნეში, და მათ
აკეთებდნენ არა სისგან ან ნასერს-

ბავშვებს : უ-
ასილათ ყო-
ფილიყვნენ და-
მოუკიდებლები

ისგან, არამედ სელოვნური მასა-
ლებისგან, და დროთა განმავლობა-
ში ისინი უკვე ამბობდნენ აღუს და
ლაპარაკობდნენ და თანდათან სულ
უფრო დამოუკიდებელი გასდნენ.
მაგალითად, მათ შეეძლოთ ეთქვათ
დილა მშვიდობისა და არ მიდა
ჭამა 80გ თოჯინას შეეძლო,
კირილი, ჭამის შემდეგ ამორწყევა,
ან არიებიდან ნაწყვეტების შეს-
რელება. ყველაზე ცნობილი თოჯინა
ბარბი იყო, მისი წარმოება დაიწყეს
1959 წელს. სიმაღლით 30 სმ- ის,
დიდი მკერდით, მრგვალი თეძოე-
ბით და ვიწრო წელით და ის პირვე-
ლი თოჯინა იყო, რომელიც დიდი-
ვით იქცეოდა. მანაც მაღე ისწავლა
ლაპარაკი და ამბობდა საღამოს
შეხვედრა მაქვს ჩემს მეგობარ-
თან, ან რა ჩავიცვა ბალბე რომ
წავალ? ან არ გინდა წამომყევ
და კაბა ვიყიდოთ?. თავიდან ბარ-

ბის ეცვა ბალერინასავით, მსახიობი-
ვით ან მანეკენივით, მოგვიანებით
კი, როგორც ბორტგამცილებელს,
მასწავლებელს, ვეტერინარს, ბი-
ზნეს-ქალს, კოსმონაუტ-ქალს, ან
პრეზიდენტობის კანდიდატს. 1986
წელს კი გამოჩნდა თოჯინა ბარბი
საკონცენტრაციო ბანაკის პატიმრის
ფანსაცმელში, ზოლიანი კოსტუმითა
და ზოლიანი ქუდით. ყოფილ ტყვეთა
სსვადასსვა გაერთიანება პროფესიებს
გამოთქვამდა და ამბობდა, რომ
ეს იყო მსსვერპლთა ტანჯვისა და
სსოვნის დაცინვა, მწარმოებლები
კი უარყოფნენ და ამბობდნენ, რომ
პირიქით, ეს იყო შესაფერისი მეთო-
დი ახალგამრდებისთვის გაეცნოთ,
როგორ აწამებდნენ საკონცენტრა-
ციონ ბანაკებში, და, გოგონა, რო-
მელიც თოჯინას იყიდიდა ზოლიან
კოსტუმში, თავის თავს გააიგივებდა
მასთან, და როცა გაიზრდებოდა,
უფრო გაიგებდა, როგორი იყო ეს

გაურთიანება
პროფესიების
გამოიქვამდა

**თაობების
გაფრთხილება**

წამება. 1998 წელს კი, გერმანელებმა მოიფიქრეს, ბერლინში, აღემართათ ჰოლოკოსტის მსხვერპლთა უბარმაბარი მემორიალი, რომელიც შორიდანაც გამოჩნდებოდა, ვინაიდან მემორიალის ფუნქციას წარმოადგენდა, გარდა რომელიმე დადებითი ისტორიული შემთხვევის სოფბის შესხმისა, აგრეთვე, მომავალი თაობების გაფრთხილებაც. ბოგი ფიქრობდა, რომ ხელოვნების ეს სასე არ იყო ის შესაფერისი მეთოდი, რომლითაც შეიძლებოდა ჰოლოკოსტის გამოხატვა, ვინაიდან ის ვერავითარ ესთეთიკურ ჩარჩოებში ვერ ჯდებოდა, თუმცა სხვები ფიქრობდნენ, რომ იდეალური პროექტი იქნებოდა ისეთი, რომელიც გამოხატავდა ჰოლოკოსტის გამოხატვის შეუძლებლობას. და ოთხას ოთხმოცდათხუთმეტმა მსატვარმა გააგზავნა სსვადასსვა პროექტი,

რომ ეჩვენებინათ მომავალი თაო-
ბებისთვის როგორ უნდა გამოიყ-
ურებოდეს გაფრთხილება. ერთმა
გადაწყვიტა გაეკეთებინა დიდი
რვაფერიანი ექვსკუთხედი, რომელიც
თავისი ღერძის გარშემო იბრუნებ-
და, მეორემ, მოიფიქრა უბარმაზარი
რუსული კარუსელი რომელზედაც
მბრუნავი პატარა კარეტების მა-
გივრად ჩამოკიდებული იქნებოდა
ვაგონები საკონცენტრაციო ბანაკე-
ბიდან, სხვა კი სთავაზობდა აე-
შენებინათ დიდი ავტოსადგური წი-
თელი ავტობუსებით და სამგზავრო
მიმართულებებით, რომელზედაც
საკონცენტრაციო ბანაკები იქნე-
ბოდა აღნიშნული, როგორც ბოლო
სადგური, ერთმა კი შესთავაზა
აღემართათ ფოლადის ოცდაცსრა-
მეტი ბოძი, რომელზედაც იქნებოდა
წარწერა რატომ სხვადასხვა ენაზე
WARUM?, WAARUM?, VARFOR?,

რუსული კა-
რუსული

WHY?, POURQUOI?, PERCHE?,
DLACZEGO?, CUR?, KUIDAS?,
MIKSI?, MIERT?, ZAKAJ?, KODEL?,
HVORFOR?, JIATI?, PSE?, NICIN?

და ა. შ. ბოგი ფიქრობდა, საჭირო
იყო არა მარტო ჰოლოკოსტის ამ-
სახველი ძეგლი, არამედ, ყველა
გენოციდის, ვინაიდან, მსოლოდ
ასეთ ძეგლში იქნებოდა გამოხატ-
ული ისტორიის ცოცხალი სსოვნა.,
მაშინ როცა საწინააღმდეგო შემთხ-
ვევაში მიიღებდნენ ფოლადისა თუ
რკინის გროვას, რომელიც რამდენ-
იმე ათეული წლის შემდეგ არავისთ-
ვის არაფრის მთქმელი იქნებოდა,
სოლო ბოგი ისტორიკოსი ამბობ-
და, რომ მემორიალების აღმართვა
სადაო საკითხია, ვინაიდან რომე-
ლიმე ამბის სსოვნის შენასვა, თა-

ვისთავად არ არის გარანტია, ეს

შემთხვევები არ გამეორდესო და
მოყავდათ ხსოვნის შენასვის მაგ-
ალითები, რომლებსაც სალსი ასალ

მისთვის. ადამიანები, ერები, საზოგადოებები, მეცნიერები გამუდმებით ისწრაფვიან საზოგადოების სრულყოფისაკენ და ამის გამო ისინი ხშირად სასტიკ დანაშაულს სჩადიან ერთმანეთის მიმართ, ანუ, საბოლოოდ, საკუთარი თავის მიმართ.

“ეკროპეანა” დღეიდან უკვე ოცდაერთ ენაზეა თარგმნილი.

გიული ლეუსავა

ნორმანდიაში 1944 წელს დაღუპული
ამერიკელები კარგად მოსული ბიჭე-
ბი იყვნენ, სიმაღლით, დაასლოებით
– 173 სმ. ერთმანეთის მიყოლებით
ერთ რიგად რომ დაგეწყოთ, ერ-
თის ფეხებთან მეორის თავი, სულ
38 კილომეტრი გამოვიდოდა. გერ-
მანელებიც, მოსული ბიჭები იყვნენ,
ყველაზე მაღლები კი, პირველ
მსოფლიო ომში, სენეგალელი მს-
როლელები ყოფილან, სიმაღლით
176 სმ-ის. ამიტომაც მათ მოწინავე
ხაზზე აგზავნიდნენ გერმანელებს
რომ შეშინებოდათ მათი. ხალხი
უფრივით ცვივოდათ ომში, ამ- 13

კონფლიქტებამდე და ომებამდე მი-
ყავდა.

ებრაელები, რომლებმაც პოლო-
კოსტი გადაიტანეს, ამბობდნენ, რომ
ძეგლები, მუზეუმები და ა.შ. მნიშ-
ვნელოვანია, მაგარამ ყველაფერს
სჯობია უშუალო მოწმეო, და და-
დიოდნენ სკოლებში მოსწავლეე-
ბისთვის რომ მოეყოლათ, თუ რა
გადაიტანეს. საკუთარ თავს ეკითხე-
ბოდნენ, როგორ შეენარჩუნები-
ნათ პოლოკოსტის სსოფლა სიკედი-
ლის შემდეგ და ყოფილი ტყვე
ებრაელების შვედურმა გაერთიანე-
ბამ ურჩია გადაეცათ მოწმის უფლე-
ბა ვინმე ასალგაზრდა კაცისთვის,
რომელიც ზეპირად შეისწავლიდა
ყველაფერს, ივლიდა სკოლებში და
მოუყვებოდა მოწაფებს, რომ ის
იცნობდა ერთს, რომელმაც მსგავსი
რამ გადაიტანა და გარდაცვალე-
ბამდე ისიც გადასცემდა ამ უფლებას

სსვა ახალგამრდას ა.შ. 1945 წელს კი ებრაელებმა საზოგადოებრიო-ბას მიმართეს მოთხოვნით პალესტინაში შექმნილიყო ისრაელის სას-ელმწიფო, სადაც ებრაელები იქნებოდნენ თავისიანების გარემოცვაში და ახალი ჰოლოკოსტის შიში აღარ ექნებოდათ. და იბრძოდნენ ისინი არაბებისა და ინგლისელების წინააღმდეგ, რომლებსაც იმ პერიოდში ოკუპირებული ქონდათ პალესტინა და აწყობდნენ თავდასხმებს და არალეგალურ ემიგრაციულ აქციებს. 1939 წელს ინგლისმა გამოაცხადა კვოტები გადასახლებაზე, რომელიც ამცირებდა გადასახლებულ ებრაელთა რაოდენობას 75% ით, და მიიღეს კანონი, რომელიც ებრაელებს მიწის ყიდვას უკრძალავდა. 1947 წლის ივლისში კი პალესტინის ნაპირს მიადგა გემი გერმანიიდან გადმოსახლებული არალეგალური ებრაელებით, ინგლისელებმა კი, ისინი უკან გაა-

ბრუნეს. 1938 წელს შვედეთის მთავრობამ მოსთხოვა გერმანიის სახელმწიფო ორგანოებს ებრაელების საზღვარგარეთის პასპორტებზე აღენიშნათ დიდი ბეჭდური J, შვედპოლიციელებს საზღვარზე რომ შეძლებოდათ ეცნოთ ის ებრაელიც კი, რომელიც არ გამოიყურებოდა როგორც ებრაელი. იმ გემს, რომელიც პალესტინას მიადგა, სახელად EXODUS ეწოდებოდა, ძველი აღთქმის ერთერთი წიგნიდან და მასზე 4500 ებრაელი იყო, მათ საკონცენტრაციო ბანაკები გადაიტანეს და აღთქმულ ქვეყანაში უნდოდათ დაბრუნება. ნოემბერში კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ სმა მისცა ისრაელის სახელმწიფოს დაარსებას. და ევროპიდან ბევრი მიდიოდა ისრაელში სანასავად, თუ როგორ იქმნება ახალი სახელმწიფო. ევროპელი ახალგაზრდობა კი ჩადიოდა სოფლის მეურნეობის კომუნებში სა-

მუშაოდ, რომლის სახელი იყო KIB-BUTZIM და სადაც ყველა საერთო კეთილდღეობისთვის მუშაობდა. და ყველაფერი იყო საერთო და ყველა ერთად მღეროდა სიმღერებს. ის-რაელის ტურისტული სააგენტოები უშვებდნენ პლაკატებს, რომელზე-დაც ასალგაბრდა ადამიანები სე-რიობული სახეებით შეპყურებდნენ მზეს, რომელიც იერუსალიმის თავზე ამოდიოდა, ქვემოთ კი ეწერა ფუჭი არ იყო ჩვენი ტანჯვა და გამოიყენეთ შეღავათიანი ფასები.

სექსოლოგები ამბობდნენ, რომ თო-ჯინა ბარბი, პატარა გოგონების ქალური თვითშეგნების ჩამოყალი-ბებაში, პირველი ინსტრუმენტი გას-და და რომ წარმატება, რომელიც ამ თოჯინას ქონდა, ამტკიცებდა ბავშვთა სექსუალობის არსებო-ბას. ბავშვთა სექსუალობაზე ბევრს

ლაპარაკობდნენ მეოცე საუკუნეში, როცა გამოირკვა, რომ პატარა გოგოებს უნდოდათ ბავშვი ყოლოდათ მამისგან და ეს ბავშვი გამოდიოდა როგორც პენისის შემცვლელი, იმიტომ, რომ გოგოებს პენისიც უნდოდათ რომ ქონიდათ, და თოჯინა კი, ერთდროულად, შეცვლიდა მამისგან ბავშვსაც და პენისსაც. დიდხანს, მხოლოდ, გოგო-თოჯინებს აკეთებდნენ, მაგრამ, შემდეგ დაიწყეს ბიჭი თოჯინების გაკეთებაც, გოგო თოჯინებს ფეხებს შორის პატარა ლარი ქონდათ, ბიჭ თოჯინას კი – ჩიგი. სამოცდაათიან წლებში კი, დაიწყეს შავი და მუქი ფერის თოჯინების გაკეთება, თუმცა, მათ ძირითადად, თეთრი მშობლები ყიდულობდნენ, უნდოდათ დემონსტრირება, რომ არ იყვნენ რასისტები. რასიზმი მეცსრამეფე საუკუნის თეორია იყო, რომელიც აცხადებდა, რომ ადამიანთა რასებს გააჩნდათ

თოჯინები
ჩიგით

თავიანთი უცვლელი თვისებები და
განვითარების სხვადასხვა სფალიაზე
იმყოფებოდნენ, და რომ ყველაზე
განვითარებულები თეთრები იყვნენ,
რომელთაც ქონდათ საბოგადოე-
ბის ორგანიზაციის, აბსტრაქტული
აზროვნებისა და მეცნიერებში მხ-
იარულების თანდაყოლილი ნიჭი.
რასისტს კი უწოდებდნენ ადამიანს,
რომელსაც ეშინოდა, რომ რასების
აღრევა საფრთხის ქვეშ დააყენებ-
და თეთრების თავისებურებას და
გამოაცლიდა გენეტიკურ პოტენ-
ციალს, რაც თეთრებს კაცობრიობის
სათავეში ყოფნის შესაძლებლო-
ბას აძლევდა. ის ადამიანები, ვისაც
ებრაელები არ უყვარდათ, არ იყვნენ
რასისტები, არამედ იყვნენ ანტი-
სემიტები, რადგანაც ებრაელები,
ბუსტად რომ ეთქვათ, არ მიაჩნდათ
არასრულფასოვნებად, როგორც
მაგალითად, განგები, ინდიელები,
ბოშები და ა. შ. არამედ, მიაჩნდათ,

უფრო ბუნების შეცდომად. სიტყვა
ანტისემიტი, მეცხრამეტე საუკუნის
ბოლოს გამოჩნდა და ნიშნავდა იმ
ადამიანს, რომელსაც არ უნდოდა,
ებრაელები დაპატრონებოდნენ
მსოფლიოს და მოუწოდებდა თა-
ვის მოქალაქეებს წინააღმდეგობა
გაეწიათ ამისთვის. რასიზმი, მნიშ-
ვნელოვან სოციალური პრობლემად
იქცა მეორე მსოფლიო ომის შემ-
დეგ, ვინაიდან მდიდარ ევროპულ
ქვეყნებში დიდი ეროვნული უმცი-
რესობანი დასახლდნენ, რომელიც
საზოგადოებას უნდა შეეწოვა. არ-
სებობდა ეროვნებათა უმცირესობის
შერწყმის ორი პოლიტიკური მოდ-
ელი, ინტეგრაცია და ასიმილაცია.
ინტეგრაციას ანსორციელებდნენ ის
ქვეყნები, რომელთაც სჯეროდათ,
რომ სამოქალაქო საზოგადოებაში
შესაძლებელი იყო სხვადასხვა კულ-
ტურის მოდელის თანაარსებობა და
რომ სჯობდა ისინი არ შერეოდნენ

მოწოდება წი-
ნააღმდეგობა
გაუწიათ

ერთმანეთს და შეენარჩუნებინათ
თავიანთი თავისებურებანი, ხოლო
ასიმილაციას ანსორციელებდნენ ის
ქვეყნები, რომელთაც სწამდათ უნი-
ვერსალიზმის და მიაჩნდათ, რომ
არსებობდნენ ბესაბოგადოებრივი
ინტერესები, რომელსაც ეთნიკური
და კულტურული თავისებურებანი
უნდა დაემორჩილნონ. ასიმილაციურ
მოდელს დიდხანს თითქოს, უფრო
დიდი წარმატება ქონდა, ვიდრე ინ-
ტეგრაციულს, რადგან, იმ ქვეყნებში,
სადაც ამ პოლიტიკას აფარებდნენ,
მაგალითად ამერიკა ან ინგლისი,
არ იყო რასობრივი კონფლიქტები,
მაგრამ საუკუნის ბოლოს, როცა
ლაპარაკი დაიწყო გლობალიზაცი-
აზე და მონდიალიზმზე, უნივერსალ-
იზმი მოდიდან გამოვიდა და ყველას
უნდოდა ყოფილიყო თვითმყოფადი,
ეამაყა თავისი რასით, არა რასის
გაგებით, არამედ, ცივილიზაციის,
ეცხოვრა ტრადიციების შესაბამის-

უნივერსალ-
იზმი მოდიდან
გამოვიდა

ად, დაბრუნებოდა თავის ფესვებს
და ა. შ.

მეოცე საუკუნეში სექსი ძალიან
მნიშვნელოვანი გახდა ევროპაში,
უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე რე-
ლიგია და თითქმის ისეთივე მნიშ-
ვნელოვანი, როგორც ფული. ყვე-
ლას უნდოდა ქონოდა სექსი ყველა
ხერხით, და ზოგი მამაკაცი კო-
კაინით იზელდა სასქესო ორგანოს,
ერექცია რომ გაესანგრძლივები-
ნა, თუმცა კოკაინის ყველანაირი
მეთოდით გამოყენება აკრძალული
იყო. მეორე მსოფლიო ომის შემ-
დეგ კი ფილმებში ისეთი სცენებიც
გამოჩნდა, სადაც ფილმის გმირები
სექსით იყვნენ დაკავებულები, რაც
მანამდე ითვლებოდა შეუფერე-
ბლად, რადგანაც ხალსს ჯერ ისევ
სწამდა ღმერთის. სექსის სცენებს კი
უმეტეს შემთხვევაში გამოსაგავდ-
ნენ მინიშნებებით, ასე მაგალითად, 121

პრობლემები
ერექციასთან
დაკავშირებით

აჩვენებდნენ საწოლს, საათს, ცას, ან მოულოდნელად ბნელდებოდა. ქალებს კი ყოველთვის უნდოდათ ორგაზმი, ეს კი კაცებს ანერვიულებდა, მათ პრობლემები ეწყებოდათ ერექციასთან დაკავშირებით, და მიმართავდნენ სხვადასხვა აფროდისიაკებს, დადიოდნენ ფსიქოანალიტიკოსებთან, გაერკვიათ რაში იყო საქმე, ხომ არ გადაეჭანათ რამე ტრავმა ბავშვობაში, რომლის შესახებაც თვითონაც, შეიძლება, არ იცოდნენ. ფსიქოანალიზი მოიგონა ერთმა ვენელმა ნევროპათოლოგმა 1900 წელს, რომელსაც სურდა ფსიქიური პროცესების შესწავლა და სუბიექტების დაღვენა არაცნობიერის დასმარებით და ნევროზებს, ისტერიულობას და ა.შ. სთვლიდა სექსუალური ტრავმების სიმპტომებად, გადატანილს ბავშვობაში და მან მოიფიქრა ასალი მეთოდები და ტერმინები, როგორიცაა ტკბობის

კორექცია, გათავისუფყლება ნარევისგან ან ცენზურა, ეგო, სუპერეგო, ლიბიდო და კომპლექსი, რომელიც შეიძლება იყოს კასტრაციული ან ოიდიპოსეული. 1938 წელს კი იგი ნაცისტებისგან ლონდონში გაიქცა, მისი ოთხი და კი, საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა. ხოლო, როცა პაციენტი იგებდა მიზებს, თუ რატომ იყო დათრგუნული ან განერვიულებული, მაშინვე მშვიდდებოდა, რადგან ეს ნორმალური იყო. კომუნისტები ამბობდნენ, რომ ხალსს, რომელიც კომუნისტურ საბოგადოებაში ცხოვრობს არ სჭირდება სექსი, ვინაიდან ყველაზე დიდი სისარული ადამიანმა უნდა მიიღოს კარგად შესრულებულ სამუშაოსგან, კაპიტალისტურ საბოგადოებაში კი ხალხი არ განიცდის სისარულს თავისი შრომისგან, რადგანაც მათ ექსპლოატაციას უწევენ, და ამიტომაც იყენებენ ისინი ყველანაირ სუბსტიტუტებსო. კო-

ტებობის
კორექცია

სოციალისტური
ბანაკის ერ-
თიანობა

მუნისტები კიდევ ამბობდნენ, რომ
კლასობრივი შეგნების გარეშე სე-
ქსმა არ შეიძლება მოუფანოს ადა-
მიანს სიამოვნება, ის დაუსრულე-
ბლად რომ გრძელდებოდესო კიდეც.
კომუნისტებს უშინოდათ, სალსს
ფსიქოანალიზმე სიარული და სუბ-
სტიტუტების მიღება რომ დაეწყო,
სოციალისტური ბანაკის ერთიანობა
საფრთხის ქვეშ დადგებოდა. და არ
უნდოდათ სალსს წაეკითხა დეკა-
დენტური ლიტერატურა, ჩაეცვა მყ-
ვირალა ტანსაცმელი, ეფარებინა
ექსცენტრული თმისვარცხსნილობა,
დაეღეჭა საღეჭი რეზინი და ა.შ.
საღეჭი რეზინი გამოიგონა ერთმა
ამერიკელმა აფთიაქარმა, და ევ-
როპაში მისი გაყიდვა 1903 წელს
დაიწყეს, თუმცა ყველაზე ფართო
გავრცელება მან მოიპოვა ორმოც-
დათიან-სამოციან წლებში. საღეჭი
რეზინას ძირითადად ასალვაზრდე-
ბი ღეჭაედნენ, და ამით ისინი თავის

დამოკიდებულებას გამოსაფავდნენ
საზოგადოების მიმართ, და მათ ჯერ,
პლომბი არ ქონდათ კბილებში.

ორმოცდაათიან წლების ფილმებში
გმირები სექსით იყვნენ დაკავებ-
ულები ძირითადად, პურის ყანებ-
ში, რაღაც პურის ყანებიც და ას-
ალი ცხოვრებაც ასალგამრდებს
ეკუთვნოდა, და ისიც ახალგამრდა
გმირებს ელოდა. ქარი თავთავებს
აშრიალებდა, პორიზონტზე კი მჩე
ჩადიოდა და ქალებს მკერდი ებერე-
ბოდა. სამოციან წლებში კი ფილმის
გმირები სექსით იყვნენ დაკავებ-
ულები აბვირთებული ოკეანის სანა-
პირობე, რაღაც ეს რომანტიკული
იყო. ქვიშა ეკვროდათ კანზე და
მოსჩანდა მათი უკანალი, და წყლი-
დან ორთქლი ამოდიოდა. სამოციან
წლებში, შეიქმნა პორნოგრაფიუ-
ლი ფილმებიც, რომლის გმირებიც
თითქმის განუწყვეტლივ დაკავე-

ქარი
თაცთაუებს
აშრიალებლა

როგორ მიექით-
ათ ახალგამრ-
და მაყურებლის
უკრადლება

ბული იყვნენ სექსით სსვადასსვა
ადგილას. ასალგამრდა გოგონები-
სთვის განკუთვნილ უურნალებში
გამოცდილი ქალი რედაქტორები
უსსნიდნენ მათ როგორ გაეკეთები-
ნათ სწორედ ფელაცია და ა.შ. სოლო
ბიჭებისთვის განკუთვნილ უურნა-
ლებში კი, გამოცდილი რედაქტორი
კაცები, უსსნიდნენ მათ, თუ როგორ
აეცილებინათ ნააღრევი ეაკულაცია
და როგორ ჩამოეცვათ პრეზერვა-
ტივი ისე, რომ ზედმეტი ყურადღება
არ მიექციათ. სარეკლამო სააგენ-
ტოები იგონებდნენ პრეზერვატივის
რეკლამას და ფიქრობდნენ, როგორ
მიექციათ ასალგამრდა მაყურებლის
ყურადღება და ერთმა კომპანიამ
მოიფიქრა სარეკლამო რგოლები,
სადაც, რეკლამებში სექსით იყვნენ
დაკავებული სსვადასსვა ზღაპრის
გმირები, ფიფქია, კონკია, ვირის
ტყავი და შეპერებადა. მსატვრულ
ფილმებში, რაც დრო გადიოდა,

სულ უფრო და უფრო მეტ სექს
გვიჩვენებდნენ, მაგრამ კრიტიკოსე-
ბი ამბობდნენ, რომ ეს რაღაც სსვა
იყო, ვიდრე სექსი, როგორც ასეთი,
რომ ეს იყო მისი რეპრეზენტაცია.
და, როცა რომელიმე მხატვრულ
ფილმში ბევრი სექსი იყო ნაჩვენე-
ბი, ისინი ამბობდნენ, ეს ფილმი
გამოსატავს ჩვენს ენტომოლოგიურ
მიღებას სიყვარულის მიმართ და
რომ ეს სწორია, რადგან ასე უფრო
კარგად შეიძლება დაუფიქრდეთ სე-
ქსის როლზე, არა მხოლოდ ანტრო-
პოლოგიურ, კულტურულ ან პოლი-
ტიკურ კონტექსტში, არმედ ადამია-
ნის ცხოვრებაშიც. სამოცდაათიან
წლებში, ფილმის გმირებს სექსი
ქონდათ, ძირითადად, მანქანებში,
ეინაიდან ეს ორიგინალური იყო
და ცხოვრების ტემპი მუდმივად
იზრდებოდა, და ასალგაბრდა მაყ-
ურებელს, რომელსაც მანქანა არ
ყავდა, შეეძლო წარმოედგინა, თუ

სხიურულის
ტემპი იმდება

რა ელოდა მას ცხოვრებაში. მამაკაცები სულ უფრო და უფრო სშირად იყვნენ ქვემოთ, ქალები კი ზემოდან ისხდნენ მათზე, იმიტომ რომ ამ დროისთვის ისინი უკვე ემანსიპირებულნი იყვნენ. ხოლო, ოთხმოციან წლებში გაჩნდა სექსი ტელეფონით, და კაცები რეკავდნენ სხვადასხვა ნომრებზე, სადაც ქალები ყურმილში ჩასჩურჩულებდნენ, ვგრძნობ რომ ვსველდები, ან კიდევ უფრო ღრმად შემოდი, ან, შეიძლება მოვსინჯო? და ა. შ.

ფსიქოანალიზი დასავლეთ ევროპაში ძალიან გავრცელდა სამოციან და სამოცდაათიან წლებში, მის სეანსებზე დადიოდნენ ადმიანები, რომლებიც ავად არ იყვნენ, მაგრამ თავს დაუცველად და მიტოვებულად გრძნობდნენ და სურდათ გაეგოთ, სომ არ ქონდათ რამე ტრავმები.

და, როცა პაციენტი გადალახავდა
სირცხვილს და მოეშვებოდა, თა-
ვის ბავშვობის შესახებ უყვებოდა
ფსიქოანალიტიკოსს და ამას უწო-
დებდნენ გადატანას, ვინაიდან მან
ბოლოს და ბოლოს აღიდგინა ის,
რაც ბავშვობაში მესსიერებიდან
ამოიგდო, და არ იცოდა, რომ სუ-
ლიერ ცხოვრებაში ყველაფერი
ცოცხლობს, და თუ ერთხელ რაიმემ
ჩაიქროლა, მსოლოდ დროებით შეი-
ძლება მესსიერებიდან ამოვარდეს,
მაგრამ სადღაც ეს რაღაც მაინც
ცოცხლობს., და ამგვარად, პაცი-
ენტი ფსიქოანალიტიკოსს სიტყვიერ
კვალბე აყენებდა, რომელსაც შეი-
ძლებოდა ის შემდეგ გაყოლოდა.
მესსიერებიდან ამოგდება სდებოდა
მაშინ, როცა ბიჭს ან გოგონას ისე-
თი ლგოლვა ქონდა, რომელიც ეწი-
ნაალმდეგებოდა ზნეობრიობას, და
ის, თავის სურვილს ქვეცნობიერში
დევნიდა. მაგრამ როცა გაიჩარდა

აშოუარლნა

და მომწიფება, შესაძლოა, ესიზმ-
რებოდა რაღაც უცნაური სიზმრები,
და აქედან გამომდინარე, როგორც
სჩანს იყო ტრავმირებული. ოიდიპო-
სის კომპლექსი კი იყო მაშინ, როცა
გოგონას უნდოდა დედის მოკვლა
და მამასთან დაწოლა, ხოლო ბიჭები,
მამის მოკვლა და დედასთან და-
წოლა, თუმცა კარგად იცოდნენ,
რომ ეს არ შეიძლებოდა. ოიდიპო-
სის კომპლექსთან დაკავშირებით,
სპეციალისტებს შორის კამათი
იყო, ვინაიდან ზოგი ფიქრობდა, ის
იყო უნივერსალური, სხვები კი ამ-
ბობდნენ, რომ ის მხოლოდ ზოგი-
ერთ კულტურაში გვხვდებაო, მაგ-
ალითად, ვენაში და ა.შ. 1918 წელს
კი ბუდაპეშტში ჩატარდა კონგრესი,
რომელიც მიეძღვნა ფსიქოანალიზს
და მის როლს ომის დროს, და ფსიქ-
იატრთა უმრავლესობა შეთანხმდა,
რომ სამხედრო ნევროზი ისეთივე
წარმოშობისაა, როგორიც, მშვიდო-

ბიან დროს. და, სხვა და სხვა ფსიქ-იატრი სთავაზობდა ემკურნალათ ნევროზი ელექტროშოკით მანამდე, სანამ ისინი არ იტყოდნენ, რომ სრულიად ჯანმრთელები იყვნენ. მაგრამ, ამას სხვა ფსიქიატრები არ ეთანხმებოდნენ და თვლიდნენ, რომ ელექტროშოკი კიდევ უფრო ღრმად გადასწევდა ტრავმას ქვეცნობიერში და არ მოარჩენდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ზოგი ჯარისკაცი მხოლოდ იგონებს, თმი საგიუეთში რომ გადაიგანოს და სხვა გიუებთან ერთად ითამაშოს კარტი ფულზე ან სიგარეტზე.

პირველი მსოფლიო ომის დროს ძალიან განვითარდა ჰუმანიგარული ორგანიზაციები და საქველმოქმედო საზოგადოებები, ვინაიდან პირველი მსოფლიო ომი ნოვაგორული იყო ბევრი თვალსაზრისით, მასში მონაწილე მსარეებს თავის განკარ-

ჯარისკაცები
ივანეცბლიუს
ტრაგებები

საქველმოქმ-
ედო სამოგა-
ლოებები

გულებაში ქონდათ შეიარაღების და
განადგურების უამრავი საშუალება,
აუცილებელი სამსედო ბეგარა კი
საშუალებას აძლევდა მათ ომში
გაეგზავნათ ჯარისკაცების დიდი
რაოდენობა. ხოლო შორსსასროლი
ქვემეხები, დირიქაბლები და აერო-
პლანები საშუალებას იძლეოდა
ეომათ სამოქალაქო მოსახლეობის
წინააღმდეგ და წარმატებით ემო-
ქმედათ მტრის ზურგშიც, მტერი
მორალურად რომ გაეტესათ. და
1905 წელს თორმეფმა სასელმწი-
ფომ სელი მოაწერა დეკლარაციას,
სადაც ვალდებულებას იღებდა დას-
მარებოდა დაჭრილ ჯარისკაცებს,
იმისდა მიუხედავად, თუ ვის მხ-
არებე იბრძოდნენ ისინი, რადგანაც
ჯარისკაცი არა მარტო რომელიმე
ეროვნული ერთეულის წარმომად-
გენელია, არამედ, ასევე, ინდივიდუ-
ალური ერთეულიც არის. ზოგიერთი
გენერალი ამას არ ეთანსმებოდა,

ურთხილობდა ინდივიდუალური ერთეულის გაგებასთან დაკავშირებით და ამბობდა, რომ ჯარისკაცები სამშობლოს შვილები არიან და მათ ყური უნდა უგდონ მის ბრძანებასო. პაციფისტები და ჰუმანისტები კი ამბობდნენ, რომ ინდივიდუური ლოიალური უნდა იყოს კაცობრიობის მიმართ და არა სამშობლოს მიმართო, თუმცა ზოგიერთი ჰუმანისტი თვლიდა, რომ თუ სამშობლო განსაცდელში იყო, იგი თავად სდებოდა კაცობრიობის წარმომადგენელი. და 1929 წელს, სხვადასხვა ქვეყნებმა, სელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელშიც ვალდებულებას იღებდნენ კარგად მოქალაქეობის სამსედო ტყვეებს და რომ მათ შეძლებოდათ წერილების და ამანათების მიღება მშობლებისგან და ცოლებისგან და საქველმოქმედო საზოგადოებებისა და ჰუმანიტარული ორგანიზაციებისგან. 133

1941 წელს კი, საბჭოთა მთავრობამ განაცხადა, რომ არ სურდა, ჰუმანიტარული ორგანიზაციები საბჭოთა სამსედრო ტყვეებს წერილებისა და ამანათების მიღებაში დასმარებოდნენ, და საბჭოთა გენერლები ტყვეებს დებერტინებს უწოდებდნენ, რომლებმაც საბჭოთა ჯარისკაცის წოდება მიითვისეს, ვინაიდან საბჭოთა ჯარისკაცი მოკვდება და ტყვედ არ ჩაბარდება. ჰუმანიტარული ორგანიზაციები სამსედროებს პირველ სამედიცინო დასმარებას უფარებდნენ, არმიას წამლებით და ბინგით ამარაგებდნენ და ტყვეების ბანაკებში დადიოდნენ ინსპექციის ჩასატარებლად, რათა დარწმუნებულიყვნენ, ტყვეებს კარგად ეპურობოდნენ.

ყველაზე ცნობილი იყო წითელი ჯვარი. და 1942 წელს, შვეიცარიის წითელი ჯვრის წარმომადგენელებმა, საკონცენტრაციო ბანაკებში, გამოისახეს კამერების არსებობის შეს-

ახებ გაიგეს, მაგრამ გადაწყვიტეს საზოგადოებისთვის ამის შესახებ არ შეეტყობინებინათ, რადგან ეშინოდათ, გერმანელები ამას ჰუმანიტარული ორგანიზაციების დისკრედიტაციისთვის გამოიყენებდნენ და აუკრძალავდნენ ტყვეთა ბანაკებსა და საავადმყოფოებში შესვლას. გერმანელებმა კი წითელი ჯვრის წარმომადგენლებისა და სხვადასხვა საერთაშორისო კომისიებისთვის, გადაიღეს დოკუმენტური ფილმი ტერებინას საკონცენტრაციო ბანაკის ცსოვრების შესახებ. ფილმში თამაშობდა 270 მსახიობი, 1600 ბავშვი და მოზრდილი სტატისტი, რომელთა შორის არ იყვნენ ქერა ადამიანები, და ეს იმიტომ, რომ ქერა ადმიანები არ გავდნენ ებრაელებს. ფილმს ეწოდებოდა რა შესანიშნავი იყო ტერებინაში, და ფილმში ებრაელები დაღიოდნენ კაფეში, მოყავდათ

*So schon war es in
Tezeczin*

ბოსტნეული ბოსტნებში, მერცხალი-
ვით სტებოდნენ საცერაო აუგებში,
დაღიოდნენ ბანკში ფულისთვის და
ფოსტაში, ამანათების მისაღებად
და უსმენდნენ ოპერას და ქალაქის
სამკითხველოში დისკუსიებს მარ-
თავდნენ ევროპული ცივილიზაციის
მნიშვნელობის შესასებ. და, როცა
ფილმის გადაღება დამთავრდა,
გერმანელებმა თორმეტი უგანრიგო
ტრანსპორტის მეშვეობით ყველა,
ვინც ფილმში თამაშობდა, სასიკვ-
დილო ბანაკ თსვენციმში გააგზა-
ვნეს. და, როცა საბჭოთა სამსედრო
ტყვეები ომის შემდეგ სახლში დაბ-
რუნდნენ, მთავრობამ ისინი საკონ-
ცენტრაციო ბანაკებში გააგზავნა,
რათა მათ ბეჯითი შრომით გამო-
ესყიდათ ომის დროს გამომედავნებ-
ული საბრძოლო თავგანწირვის
ნაკლებობა. და მაშინ, როცა წინა
ომებში სხვადასხვა დაავადებისა და
ეპიდემიისაგან კვდებოდა სუთჯერ

მეტი ჯარისკაცი, ვიდრე ბრძოლისას, პირველი მსოფლიო ომის დროს ჸუმანიტარული დახმარებისა და ქირურგიის წინსვლის წყალობით, ახალი შეიარაღებითა და ა. შ. მკვდრების ეს შეფარდება, საწინააღმდეგოდ შეიცვალა. და ესეც უკვე ნოვატორული იყო.

რაც უკვე ნოვატორული იყო.

კომუნისტები და ნაცისტები ამბობდნენ, რომ აუცილებელი იყო ისეთი სამყაროს შექმნა, რომელიც შეესაბამებოდა ბუნებრივ წესრიგს მსოფლიოში. მოგვიანებით, ისტორიკოსები და ანტროპოლოგები ამბობდნენ, რომ კომუნისტებმა და ნაცისტებმა რელიგიური რწმენა რევოლუციური რწმენით შეცვალეს და რომ სალხი მიმართავდა კომუნიზმს და ნაციზმს ერთი და იგივე სურვილებით, მათგან ყველაზე ძლიერი იყო გამორჩეულებთან მიკუთვნების გრძნობა, რომელთა 137

სელშიც კაცობრიობის ბეჭი უნდა ყოფილიყო მომავალში. ნაცისტები ფიქრობდნენ, რომ მომავალი პარმონიული სამყარო შეიქმნებოდა ძლიერი, თავგანწირული და სოლიდარული პიროვნებებისგან. საერთო ინტერესები და ურთიერთ კეთილი განწყობა დაბრკოლება იქნებოდა გახრწნისთვის, სადამ-დეც ძველი სამყარო მიიყვანეს ჰუ-მანისტებმა და განმანათლებლებმა. კომუნისტები კი თვლიდნენ, რომ ასალ სამყაროში ნებისმიერი მოქალაქე შეიძლება შეცვალოს სხვამ და ხალსი იქნება მონოლითური, განუყოფელი მთლიანობა, და არა-ვის არ ექნება საკუთარი ინტერესები, რადგანაც ყველაფერი საერთო იქნება, და ეს შეაჩერებს გახრწნას, სადამდეც მიიყვანეს ძველი სამყარო მმართველი კლასების ეგო-ისტურმა ინტერესებმათ. ერთნიც და მეორენიც აცსადებდნენ ტერორის

აუცილებლობას, ვინაიდან მხოლოდ
ამ გზით იქნებოდა წარმატებული
ბრძოლა დემოკრატიასთან, რო-
მელიც ყველაფერს ანგრევდა, ხალხი
პომოსექსუალებად, ანარქისტებად,
მუქთასორებად, სკეპტიკოსებად,
ინდივიდუალისტებად, ალკოჰოლ-
ისტებად და ა.შ. გადააქციაო და, ისი-
ნი გამოდიოდნენ პომოსექსუალების,
მუქთასორებისა და ლოთების წი-
ნააღმდეგ, და კომუნისტურ რუ-
სეთში ლოთების ბავშვებს ყოველ
კვირა დღეს მოედანზე უნდა ევლოთ
ფირფიტით სელში წარწერით მამა,
ნუ სვამ, მე მინდა ჩემი ადგილი
მქონდეს ახალ სამყაროში. ნა-
ცისტურ გერმანიაში კი ლოთებს
მოედანზე უნდა ევლოთ ფირფიტით
სელში ყველაფერი გავანიავე, და
ოჯახს არაფერი დარჩა. და თუ
ლოთები არ გამოსწორდებოდნენ,
მათ საკონცენტრაციო ბანაკებში

პომოსექსუ-
ალები და ა.შ.

აგზავნიდნენ, საერთო კეთილდღეობისთვის რომ ემუშავათ. ჩერმანულ საკონცენტრაციო ბანაკებში შესასვლელთან ეკიდა ლობუნგი მუშაობა გაძლევს თავისუფლებას და საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებში შესასვლელთან ეკიდა ლობუნგი მიზანდასახული შრომით გეგმის შესრულებისკენ და გამარჯობის მაგივრად, კომუნისტები ამბობდნენ დიდება შრომას, ვინაიდან დარწმუნებული იყვნენ, რომ შრომა მიშვნელოვანი იყო, და თუ ყველა იმუშავებდა, კომუნიზმი გაიმარჯვებდა მთელ მსოფლიოში. ის ხალსი კი რომელიც დიდება შრომას მაგივრად ამბობდა გამარჯობას, ან, დიდება ლმერთს, ეჭვს ბადებდა და მებობლები ამბობდნენ, რომ ისინი ცუდი პატრიოტები არიანო.

როცა ნაცისტებმა 1933 წელს არჩევნებზე გაიმარჯვეს და სელისუ-

ულებაში მოვიდნენ, ბევრი ისეთი
კანონი მიიღეს, რომელიც ებრაე-
ლებს სხვადასხვა რამეს უკრძალა-
ვდა. ებრაელებს არ შეეძლოთ დაე-
კავებინათ საჯარო თანამდებობები,
ემუშავათ ჯარში, იუსტიციაში ან
მასობრივი ინფორმაციის საშუალე-
ბებში, მათ ეკრძალებოდათ სიარუ-
ლი საცერაო აუგებსა და კინოთე-
აფრებში, ხოლო პარკებში დაჯ-
დომა შეეძლოთ მხოლოდ იმ სკამე-
ბბე, რომლებიც განკუთვნილი იყო
მხოლოდ მათთვის და შეღებილი
იყო ყვითლად, ერთი შესეღვითაც
რომ ეცნოთ. ებრაელ ბავშვებს არ
შეეძლოთ სკოლაში და კარუსელზე
სიარული, და ნაცისტებს იმედი ჰქონ-
დათ, ებრაელები მიხედებოდნენ,
რომ გერმანიაში არ სურდათ მათი
ყოფნა და სხვაგან წავიდოდნენ. ნა-
ცისტებმა, ასევე, მოაწყვეს გადაგვა-
რებული სელოვნების გამოფენა, EN-
TARTETE KUNST, სადაც გამოფე- 141

გადაგეარებუ-
ლი ხელოვნება

ნილი იყო ებრაელი ან მოებრაელო
მსატვრების და მოქანდაკეების,
გადაგვარებული და გაუკულმართე-
ბული ნაწარმოებები გერმანელი
ხალსი რომ გაეფრთხილებინათ იმ
საშიშროების შესასებ, რომელიც
თან ახლდა ხელოვნების არაჯან-
საღ გაგებას. ნაცისტები თვლიდნენ,
რომ ხელოვნება მნიშვნელოვანია,
და რომ გადაგვარებული ხელოვნე-
ბა პირველი ნაბიჯია საზოგადოე-
ბისკენ, სადაც ყველაფერი გასდება
გადაგვარებული, და სწორედ ამის
შესახებ უნდოდათ გაეფრთხილე-
ბინათ გერმანელი ხალსი. ისინი,
ასევე, აწყობდნენ დემონსტრაციებს
და სპარტაკიალებს აღეგორიებითა
და ადამიანის სხეულის სურათე-
ბით და ამბობდნენ, რომ გერმანე-
ლებს არ შეეძლოთ ხელოვნების
გარეშე ცხოვრება, ვინაიდან ხე-
ლოვნება გერმანელ ხალსში ის-
ევეა ჩამჯდარი, როგორც ნაჯასი

თავის ფარში, და იწვევდნენ გერ-
მანელ მუშებს გერმანულ ოპერე-
ბზე და აწყობდნენ სვლებს და ა.
შ. და ამბობდნენ, რომ გერმანული
სელოვნება არ უნდა იყოს დამალ-
ული მუზეუმებსა, გალერეებსა და
ბურჟუაზიულ სალონებში, ვინაიდან
სელოვნება ყველას ეკუთვნისო. და
1935 წელს მიიღეს კანონი, რომელიც
კრძალავდა შერეულ ქორწინე-
ბას ებრაელებსა და გერმანელებს
შორის, რათა არიული სისხლი და
გერმანული სელოვნება გადაერჩი-
ნათ ებრაელობის დამღეპველი გავ-
ლენისგან. ებრაელებს კი საყელოზე
და ბურგზე ექვსქიმიანი ვარსკვლავი
უნდა ეტარებინათ, არ უნდა ემგზა-
ვრათ ავტობუსით და ტრამვაით და
არ უნდა გაერეცხათ სარეცხი არი-
ულ სამრეცხაოებში. და, 1938 წლის
ნოემბრის ერთ ღამეს გერმანიის
საიდუმლო პოლიციის წევრებმა
დაარბიეს ებრაელების მაღაზიე-

გერმანული
ხელოუინება

ბი, ცეცხლი წაუკიდეს სინაგოგებს, აწამებდნენ, ან კლავდნენ ქუჩაში შემსევედრ ყოველ ებრაელს, რათა დაეშინებინათ ისინი და ამით დაეჩქარებინათ მათი წასვლა გერმანიიდან. და ამასთან დაკავშირებით, პროპაგანდის მინისტრმა განაცხადა, რომ ეს იყო გერმანელი სალსის პასუხი, გერმანელ სამსედრო აფაშებზე თავდასსმაზე, რომელიც ერთმა პოლონელმა ებრაელმა განასორციელა პარიზში. ამ ღამეს, შემდეგ, ბროლის დამე დაარქვეს, რადგანაც ებრაელების მაღაზიების 7200 ვიგრინა ჩაიმსხვრა და ქუჩებში უამრავი ნამსსკრევი ეყარა. გერმანიის მთავრობამ კი ებრაელებს კოლექტიური ჯარიმა დააკისრა ერთი მილიარდი რეისის მარკის ოდენობით იმიტომ, რომ მათ გამოიწვიეს გერმანელი სალსის სამართლიანი რისსვა. და შვეიცარიის მთავრობამ გერმანიის სახელმწიფო ორგანოებს მოსთხოვა

ებრაელების საბლვარგარეთის პა-
სპორტებზე აღენიშნათ მთავრული
ასო J, შვეიცარიის პოლიციელებს
საბლვარზე რომ შეძლებოდათ, ეც-
ნოთ ის ებრაელიც კი, რომელიც
ებრაელს არ გავდა. და, იმ ქვეყნებ-
ში, სადაც ძლიერი იყო გერმანული
უმცირესობა, პოლონეთში და ჩეხო-
სლოვაკიაში, ომის შემდეგ მოაწყეს
მათი მასიური გადასასლება, და
ბრნოში გერმანელებს მაჯაბე თე-
თრი სამაჯური, დიდი ასომთავრუ-
ლი N უნდა ეტარებინათ, მათ არ
შეეძლოთ ემგბავრათ ტრამვაით ან
ტროლეიბუსით. შვეიცარიის მთავ-
რობას კი ეშინოდა, რომ გერმანიის
მთელი ებრაელები გადასასლდე-
ბოდნენ შვეიცარიაში და ამით იქ
დაირღვეოდა ეთნიკური თანაარსე-
ბობისა და ეროვნულ კონსენსუსის
პრინციპები. გერმანელებად კი ით-
ვლებოდნენ ის ებრაელებიც, რომ-
ლებიც ომამდე ჩაწერილები იყვნენ 145

ახალგამრდები

სასელმწიფო დაწესებულებებში გერმანელებად, ან ქონდათ გერმანული გვარები, და ის ებრაელებიც, რომლებსაც, მართალია, ჩესური გვარი ქონდათ, მაგრამ არ ლაპარაკობდნენ ჩესურად, ასო J, ნიშნავდა JUDE ებრაელს, სოლო შვეიცარიის კონფედერაციის საყრდენი ბოძები კი, ეთნიკური თანაარსებობა და ნაციონალური კონსენსუსი იყო.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დემოკრატიულ ქვეყნებში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ასალგამრდობამ, რადგანაც შეიქმნა მომსმარებელი საზოგადოება, როცა ასაგამრდები სედავდნენ მათთვის საინტერესო რაღაცის რეკლამას, უნდოდათ, რომ ის მშობლებს ეყიდა მათთვის. მომსმარებელ საზოგადოებაში ასალი თაობები ბავშვებს მაფერიალურად უზრუნველყოფილებს გრძიდნენ, მათ ქონდათ ქუდები და ფეხსაც-

მელები, ცარცი და კონსტრუქტორები, და მშობლებს დასცინოდნენ, როცა ისინი ყვებოდნენ, როგორ დადიოდნენ სკოლაში ფესშიშველა, ქუდი საერთო ქონდათ ძმებთან და ა.შ.. და, როცა ახალგაზრდები გაიზარდნენ, თქვეს, რომ მომსმარებელი საზოგადოება ადამიანს ამონებს და საჭიროა ახალი სამყაროს შექმნა, სადაც არავინ იქნება დამონიტული. და სამოციან წლებში ახალგაზრდებმა ამბოსი დაიწყეს მომსმარებელი საზოგადოების და დამონების, ომებისა და რასიზმის და ა. შ. წინააღმდეგ. პირველად ახალგაზრდები აჯანყდნენ შეერთებულ შტატებში, რადგან, იმ დროს ამერიკელები ომს აწარმოებდნენ ვიეგნამში და ყველაზე უფრო პროგრესულები იყვნენ სამომსმარებლო საქმეში, და ქონდათ აბაზანა და ტელეფონი და არ უყვარდათ ზანგები, მაშინ როცა ახალგაზრდები ამბობდნენ, 147

ამერიკულები
ყველაზე უფრო
პროგრესულები
და უყვნენ

რომ ბანგები კაცობრიობას ამდი-
დრებენო. ვიეტნამის ომი ისტო-
რიაში პირველი სატელევიზიო ომი
იყო, მსგავსად მეორე მსოფლიო
ომისა, რომელიც პირველი რაღიო
ომი იყო ისტორიაში, ბანგებს კი, არ
შეეძლოთ მაღალი პოსტები დაეკა-
ვებინათ არმიაში, დამჯდარიყვნენ
არა მათთვის განკუთვნილ ადგილზე
ავტობუსში და შესულიყვნენ თეთრი
მოქალაქეებისთვის განკუთვნილ
ტუალეტში. ზოგ ტუალეტში შესვლა
მხოლოდ თეთრ მოქალაქეებს შეე-
ძლოთ, ბანგებს კი სსვა უნდა მოე-
ძებნათ, ზოგიც გაყოფილი იყო ორ
ნაწილად, ერთზე ეწერა თეთრე-
ბი, მეორეზე ფერადები, ვინაიდან
წარწერა განგები, შეიძლება მათ
გულში მოხვედროდათ. სახელმ-
წიფო სკოლებიც ორი სასის იყო,
ცალკე თეთრების და ცალკე შავები-
სთვის, კარუსელებიც და კიბეებიც

საბავშვო მოედნებზე, საღომებიც და სკამებიც პარკებში, და ბოგიერთ ქალაქში საფელეულონო ჯიხურებიც. ასიმილაციურ იმიგრაციული მოდელის მიმდევრები ამბობდნენ, რომ ეს სეგრეგაციის გამოსატულებაა, რომელიც ინტეგრაციული პოლიტიკის კანონზომიერი შედეგია, ხოლო ინტეგრაციული მოდელის მიმდევრები კი ამბობდნენ, რომ ეს სეგრეგაცია კი არა, დიფერენციალიზმია, ისე კი, ზანგები თავისიანებთან უკეთესად გრძნობდნენ თავს, და თეთრ მოქალაქეთა საზოგადოება მათ არც სჭირდებათო.

განკუბი
უკეთესად
გრძნობენ თავს

როცა სალსმა ღმერთისადმი რწმენა დაკარგა, გმების ძიება დაიწყო, როგორ გამოესაფათ მსოფლიოს აბსურდულობა და მოიფიქრეს ფუტურიზმი და ექსპრესიონიზმი, დადაიზმი და სიურეალიზმი, ეგზისტენციალიზმი და აბსურდის თეატრი. დადაისტ-

ებს კი უნდოდათ, ბოლო მოელოთ
სელოვნებისთვის და ისეთ რაღაცეე-
ბს იყენებდნენ სელოვნებაში, რასაც
ადრე არ სმარობდნენ, მავთულები
და ასანთი, ლობუნგები და საგაზე-
თო სათაურები, საფელეფონო წიგნი
და ა.შ., და ამბობდნენ, რომ ეს იყო
ასალი და აბსოლუტური სელოვნე-
ბა. ფუტურისტები წერდნენ ლექსებს,
რომელშიც ბევრი გაუგებარი სიტყ-
ვა იყო, მაგალითად, კარაბუკ ბუკ
ბუკ დუმ დუმ დუმ, და პროპაგან-
დას უწევდნენ ექსპრესიულ ფიპო-
გრაფიას, ექსპრესიონისტები და და-
დაისტები ლექსებს წერდნენ ახალ,
გაუგებარ ენებზე, რათა ეჩვენები-
ნათ რომ ყველა ენა თანასწორია,
გასაგებიც და გაუეგებარიც, მაგალი-
თად, BAMBLA O FALLI BAMBLA
სიურეალისტები კი, თავის მხრივ,
პროპაგანდას უწევდნენ ავტომა-
ტურ დამწერლობას და გაუსვეთელ

მეტაფორუბს, მაგალითად წერდნენ,
ჩემი საცობის აბაზანა ისეთია,
როგორც შენი მატლის თვალე-
ბი და განმარტავდნენ, რომ ამ ლექ-
სის აზრი ავტომატურად იღვრება
წყაროსავით და ეს, თანაბრად, რო-
გორც ფიზიკური, ასევე მეტაფიზიკუ-
რიც არისო. ეგზისტენციალისტები
კი ამტკიცებდნენ, რომ მეტაფიზიკა
დაცემას განიცდის და ყველაფერი
სუბიექტურია, თუმცა ობიექტურობა
მაინც არსებობს, და აქ ჩვენ არას-
წორედ ვუდგებით საკითხს, რადგან
ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერ-
სუბიექტურობა არისო. ლაპარა-
კია იმაზე, რომ ყველაფერი იყოს
აუთენტური, და რომ ისტორია და
მისი მოძრაობა გამომდინარეობს
ფილოსოფიური კითხვისგან, შეუ-
ძლია თუ არა ადამიანს ჭეშმარიტი
ურთიერთობანი, და თუ შეუძლია,
მაშინ ისტორია შეიძლებოდა ყო-

ფილიყო უფრო გონივრული, ვიდრე
აქამდე, განასლებული რომ ყოფილ-
იყო ტრანსუელენტური ინსტანციაო.
და ლინგვისტები კი ამბობდნენ,
რომ კომუნიკაცია არის მსოლოდ
დეკონსტრუკციის მეთოდის საკითხი
და რომ დეკონსტრუკცია შესაძლე-
ბელია სსვადასსვა ხერხით. სან-
შიშესული სალსი კი ამბობდა, რომ
ურთიერთობის საქმე ცუდად არის,
ვინაიდან ხალსს აღარ შეუძლია
ერთმანეთის თვალებში შესედვა და
თვალს არიდებენ, შემთხვევით თუ
შესედეს ვინმეს თვალებში, და რომ
დღეს, თვალებში მსოლოდ უსინათ-
ლოებს უყურებენო.

პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა
ცხრა მილიონ ნახევარი მამაკაცი
და ექვსასი ათასი ქალი. და ექვსი
მილიონი მამაკაცი და ორასი ათა-
სი ქალი გახდა ხეიბარი. და შვიდმა
მილიონმა ქალმა დაკარგა ქმარი,

და ცსრა მილიონში ბავშვები და-
კარგა მამა. და ქვეყნები იყვნენ ვა-
ლებში, და მთავრობები ბეჭდავდნენ
ფულს, რომლითაც არაფრის ყიდვა
არ შეიძლებოდა, და იზრდებოდა
ინფლაცია, და გერმანიაში ინფლა-
ცია 1923 წელს გაიზარდა 2,3 მილ-
იონ პროცენტით, და ერთი კვერცხი
ღირდა დაასლოებით 810 ბილიონი
მარკა, და, როცა ვინმე ფურნის
პურის საყიდლად მიდიოდა, ფული
ურმით მიქონდა. და ბევრს უნდოდა
ძირეულად შეეცვალა ძეელი სა-
მყარო და შედიოდნენ კომუნისტურ
და ფაშისტურ პარტიებში. სხვები კი
იგონებდნენ ომამდელ ევროპას და
ენატრებოდათ ის დრო, რომელსაც
LA BELLE EPOQUE შეარქეს, ანუ
მშვენიერი ეპოქა. ოქროს ხანა
იყო ხანა, როცა განვითარებულ
სამრეწველო ქვეყნებს თავსაყრე-
ლად ქონდათ ყველაფერი, ხოლო

თქმოს ხანა

კოლონიურ მაღაზიებში იყიდებოდა ეგზოტიკური ხილი, შოკოლადი და რასათ ლუსუმი და სალსი ფიქრობდა, რომ ახალი საუკუნე სამუდამოდ დაემშვიდობებოდა სიღარიბეს და მძიმე შრომას და ხალსი იცსოვრებდა კარგ პირობებში და ჰიგიენურად, და რომ სავალდებულო სასკოლო განათლება ადმიანს უკეთესს და უფრო ადამიანურს გახდიდა. მშვენიერ ეპოქაში ადამიანები უფრო მოკრძალებით ექსეოდნენ ერთმანეთს, და დამნაშავენიც უფრო თავაზიანები იყვნენ და არ ესროდნენ პოლიციელებს, ხოლო ახალგაზრდები პატივისცემით და ფამილიარობის გარეშე იყვნენ ერთმანეთის მიმართ და ქორწილამდე არ ქონდათ სექსი, და თუ რომელიმე ახალგაზრდა კაცი ქალიშვილს, რომელიც სამუშაოდან სახლში ბრუნდებოდა, გააუპატიურებდა მინდორში, და ის დაფეს-მძიმდებოდა, ქალი ბავშვს საბავშვო

სასლში აგზავნიდა, სადაც მასზე
გრუნავდნენ სახელმწიფო სარჯბე,
და, თუ ვინმე საჭესთან მჯდომი ქა-
თამს გადაუელიდა, ის მანქანიდან
გადმოდიოდა და ქათმის საფასურს
იხდიდა. და, მამაკაცები ქუდს იხ-
დიდნენ და არ უყურებდნენ იმ ქალს,
ვისთანაც მისალმება არ უნდოდათ,
ინგლისში კი მამაკაცები იცდიდნენ,
სანამ ქალი ნიშანს მისცემდა, რომ
შეიძლებოდა მასთან მისალმება,
საფრანგეთში კი მამაკაცები ხელ-
თათმანზე ეამბირებოდნენ ქალებს,
ქალები კი ცხვირსახოცს ძირს აგ-
დებდნენ, რომელსაც მერე მამაკ-
აცები იღებდნენ და თავის დაკვრით
უბრუნებდნენ მას, და ქალები არ
ეწეოდნენ, იმიტომ რომ ეს ითვლე-
ბოდა უსამსობად, კაცები კი ეწეოდ-
ნენ სიგარებს და ყალიონს, ყნო-
სავდნენ თუთუნს და დრო და დრო
სელს ისვამდნენ ულვაშჩე. კვირაო-
ბით კი ხალსი დადიოდა ეკლესიაში

ნაკლებად ყნო-
საყდნენ თუ-
მუნს

წირვაზე, ქალაქიდან კი, რკინიგზით
მიდიოდნენ სააგარაკო ადგილებში,
და ქალბატონებს ესურათ მაქმანები-
ანი ჩაჩები, ბატონებს კი – კუბოკ-
რული ბრიჯები, ერთმანეთს ბურთს
ესროდნენ და იცინოდნენ, და ამაზე,
შემდეგ, სურეალისტები და ფსიქო-
ანალიტიკოსები ამბობდნენ, რომ
ის ბურთი არსებითად, სექსუალური
სიმბოლო იყო. ომის შემდეგ იმატა
ქორწინებაისგარეშე შვილებმა,
უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებ-
მა და საგიუეთებმა, სამაგიეროდ,
ნაკლებად ყნოსავდნენ თუთუნს,
რადგან ის არაპიგიენური იყო.

იელოვას მოწმეებს სჯეროდათ,
რომ ქრისტე დედამიწაზე უკვე
მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს დაბ-
რუნდა, რომ ის უჩინარია და მისი
დანახვა შეეძლოთ მხოლოდ რჩეუ-
ლებსა და ხელდასმულებს. საუკუ-
ნის დასაწყისში მათ გამოთვალეს,

რომ წარმართული ეპოქა 1914 წელს დასრულდებოდა და დაიწყებოდა მიღენიუმი, და მაშინ, მორწმუნებს შეეძლებოდათ მიეღწიათ ცხონებისთვის, შემდეგ კი ყველას გამოეცხადებოდა ქრისტე. და როცა, 1914 წელს დაიწყო, პირველი მსოფლიო ომი, ისინი ამბობდნენ, ეს იმას მოასწავებს, რომ ცაში დიდი ბრძოლა მოხდა, საფანა მიწაზე ჩამოაგდეს, და აქედან მომდინარეობს მეოცე საუკუნის უბედურება, რომ ეს არის ღმერთის მიერ გამოგბავნილი უკანასკნელი გამოცდა, და უკანასკნელი შესაძლებლობა მათ-თვის, ვისაც უნდა რომ გადარჩესო. პირველი მსოფლიო ომი დაიწყო, როცა სარაევოში ავსტრიის ერცჰერცოგებები თავდასხმა მოხდა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ საიდუმლო ორგანიზაცია შავი ხელის შეთქმულები. შეთქმულებმა გაგეთ-

მიღენიუმი

შეთქმულები

ში ამოიკითხეს რომელი გზით გაივ-
ლიდა ერცჰერცოგი რატუშისკენ, სა-
დაც მას ელოდებოდა ბურგომისტრი
სიტყვით და ფურშეტით, დადგნენ
სანაპიროს ორივე მსარეს, ჯიბეში
ყუმბარებითა და რევოლუციებით
და უცდიდნენ, როდის ჩაივლიდა
ერცჰერცოგი. და ავსტრიამ ომი გა-
მოუცხადა სერბებს, და გერმანელებ-
მა ომი გამოუცხადეს რუსებს და
ფრანგებს და ბელგიელებს და ა.შ.
მსოფლიოს დასასრული დანიშნული
იყო 1925 წლისთვის, მაგრამ როცა
არაფერი არ მოხდა, იელოვას მოწ-
მეებმა თქვეს, რომ ამას არ ქონდა
მნიშვნელობა, არამედ მნიშვნელო-
ბა ქონდა იმას, თუ ვინ მოხვდე-
ბოდა ცაში. და გამოთვალეს, რომ
გამორჩეული ადამიანი 144000 იქნე-
ბოდა, ისინი იცხოვრებდნენ ცაში
და იქიდან დაიწყებდნენ დედამი-
წის მართვას. სოლო ისინი, ვინც
მათი მოძღვრება სიცოცხლეშივე

მიიღო, იცხოვრებდნენ დედამიწა-
ზე მარადიულ ნეტარებაში, მანამ
არ დაიწყებოდა ასალი სამყარო.
ასალი სამყარო, ძველი სამყაროს
დასასრულის შემდეგ უნდა მოსუ-
ლიყო, რის შესახებაც თქვეს, რომ
ის ახლოვდებოდა, მაგრამ გუსტ
თარიღს უკვე აღარ ასახელებდნენ.
და ავსტრიის პოლიციამ, რომელმე-
დაც ამბობდნენ, რომ საუკეთესო
იყო მსოფლიოში, ხუთი მთავარი
შეთქმული დააკავა და სასამართ-
ლოს გადასცა და მათ სამუდამო
პატიმრობა მიუსაჯეს. შეთქმულები
სასჯელს ტერებინას ციხეში იხდიდ-
ნენ ჩეხეთში, სამი მათგანი ომის
დროს მოკვდა, და დარჩენილი ორი,
ომის შემდეგ, ეროვნული გმირი
გახდა, ერთერთი მათგანი კი ბეჭ-
გრადის უნივერსიტეტში ფილოსო-
ფიას ასწავლიდა და 1937 წელს იუ-
გოსლავის მთავრობას შესთავაზა
ქვეყნიდან გაესახლებინა კოსოვოს

ძეგლი სა-
მყაროს დასახ-
რული

ალბანულები, ვინაიდან ამ ეთნოსის
ადგილი იუგოსლავიაში არ იყო. და,
როცა ის 1990 წელს გარდაიცვალა,
სერბებმა კოსოვოში ალბანური
სკოლები დასურეს და აკრძალეს
ალბანური გაზეთები და დაშალეს
ალბანური პოლიტიკური გაერ-
თიანებები და შექმნეს სახალხო მი-
ლიცია, რომლის ამოცანა იყო ალ-
ბანულებისთვის ეგრძნობინებინათ,
რომ იუგოსლავიაში მათი ყოფნა არ
უსაროდათ. მყველაბე უტყუარი სე-
რსი, რითაც ამას ალბანულებს მი-
ახვედრებდნენ, იყო ტერორისტული
აქტები, სახლების გადაწვა, მაღაზ-
იების გაძარცვა და ა. შ. და დასავ-
ლეთის ქვეყნებმა გადაწყვიტეს,
რომ ხდება გენოციდი, და დაიწყეს
საჰაერო თავდასხმები სერბეთზე,
რომ აეძულებინათ სერბეთის მთავ-
რობა დაეწყო მოლაპარაკება. სა-
ჰაერო თავდასხმები გრძელდებოდა
სამოცდათვრამეტი დღე, და ეს იყო

პირველი საერთაშორისო სამსედრო
კონფლიქტი, ევროპაში 1945 წლის
შემდეგ, და პირველი ომი, რომლის
დროსაც არ დაღუპულა გამარჯვე-
ბულის არცერთი ჯარისკაცი, და
სამსედრო სტრატეგია ამბობდნენ,
რომ ეს იყო იმედის მომცემი შემთხ-
ვევა მომავლისთვის, რომ მომავალ
ომებში აღარავინ დაიღუპებოდა,
მტრის გარდა.

იმედი
მომავალში

ფსიქიატრები ამბობდნენ, რომ
პირველმა მსოფლიო ომმა ბევრში
გამოიწვია იმ ტრავმების გაღვი-
ძება, მანამდე ქვეცნობიერში რომ
ქონდათ მიმაღული, და ოციან და
ოცდაათიან წლებში სალხი გასდა
ნევროსტენიული, რადგან არ იყვნენ
ადაპტირებული შინაგან, თუ გარეგან
მდგომარეობასთან, და, სამოციან
წლებში, ევროპაში, ქალების 25%
და კაცების 15% იყო ნევრასტენიუ-
ლი, და ჟურნალისტები ამბობდნენ, 161

კულტურული
სელილება
საბოგადოებაში

რომ ეს იყო საუკუნის ავადმყოფობა. სამოცდაათიან წლებში, კვლავ დაიწყო მატება დეპრესიით გაწამებულ ადამიანთა რაოდენობამ, და საუკუნის ბოლოს ყოველი მესუთე ადამიანი ევროპაში იყო დეპრესიული. სოციოლოგები ამბობდნენ, რომ ნევროზები და დეპრესია ასახავს კულტურულ ცვლილებებს მეოცე საუკუნის დასავლეთის საზოგადოებაში. და, რომ ნევროზი ასასიათებს საზოგადოებას, რომელშიც დომინირებს დისციპლინა, იერარქია და საზოგადოებრივი აკრძალვები, და, რომ ეს დანაშაულის გრძნობის პათოლოგიური გამოვლინებაა. დეპრესია, კი არის უუნარობისა და სიცარიელის შეგრძნების პათოლოგიური გამოვლინება. და, რომ თავიდან, ეს ადამიანები ნევროსტენიულები იყვნენ, იმიტომ, რომ აკრძალული რამის გაკეთება სურდათ, არადა, არ შეეძლოთ, ვინაიდან ის აკრძა-

ლული იყო, მაგრამ, როცა აკრძალვას არღვევდნენ, თავს დამნაშავედ გრძობდნენ. მოგვიანებით კი, თითქმის ყველაფრის გაკეთების უფლება რომ მიეცათ, დეპრესიულები გახდნენ, რადგანაც არ იცოდნენ, მაინც, რისი გაკეთება სურდათ, და ახალი პათოლოგიური სუბიექტები ხდებოდნენ, ფსიქიატრები კი ამბობდნენ, რომ პათოლოგიური სუბიექტები, ამ დროის განმავლობაში, მთლიანად შეიცვალნენ. და სოციოლოგები კი ამბობდნენ, რომ დეპრესია კომპენსაციაა იმ სამყაროს სანაცვლოდ, რომელშიც ინდივიდუალური თავი-სუფლება აღარ არის იდეალი, რომლისკენაც სიმწრით მიისწრაფვი, არამედ, ის გახდა დაბრკოლება, რომლის გადალასვაც სიმწრით გიხდება. და, რომ ნევროზი იყო შიში, აკრძალვების დარღვევის გამო, დეპრესია კი არის დათრგუნვა, თავისუფლების სიმძიმის გამო. ბოგს 163

პათოლოგიური
სუბიექტები
შეიცვალნენ

კი უნდოდა, ყველაფერში დაენასა
რაღაც აზრი და იტანჯებოდნენ ეგ-
ბისტენციალური ფრუსტრაციისგან..
ფსიქოლოგები ამბობდნენ, რომ
ცხოვრების აზრის ძიება გამოწვეუ-
ლია აუცილებლობით, რომ
გამოდევნოს მისგან სიცარიელე და
სიკვდილი, და ეს იძლევა უფრო ინ-
ტენსიური ცხოვრების საშუალებას.
ოთხმოციანი წლების ბოლოს კი
ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო
ორგანიზაციამ განაცხადება, რომ
დეპრესია ყველაზე გავრცელებული
პათოლოგიაა დასავლეთ სამყარო-
ში. მაგრამ, ამასობაში, შეერთე-
ბული შტატებიდან დაიწყო ასალმა
საბოგადოებრივმა აკრძალვებმა
შემოღწევა, არ შეიძლებოდა, მაგ-
ალითად, მოწევა, დამარილება,
პომოსექსუალებზე ანეკდოტების
მოყოლა, უქმად ყოფნა და ა.შ. და,
პირიქით, ნებადართული იყო ბევრი
რამ, რაც აღრე იკრძალებოდა. და

ასე და ამრიგად, ერთნი იყვნენ ნევ-
როსტენიულები, მეორენი დეპრესი-
ულები, ზოგი კი იყო ნევროსტენი-
ულიც და დეპრესიულიც ერთდროუ-
ლად და იღებდნენ ფსიქოფროპულ
წამლებს, ფსიქოანალიტიკოსები კი
ამბობდნენ, რომ ხალხი ბოროტად
იყენებდა ფსიქოფროპულ წამლებს
და არასაკმარისად რეგულარუ-
ლად დაღიოდნენ ფსიქოანალიზტე-
ბა, რომ წამლებს გრავმები უფრო
ღრმად გადააქვთ არაცნობიერში,
და ადამიანის მორჩენა შეუძლია მს-
ოლოდ შიშის და დათრგუნვის ვერ-
ბალიზაციას და თვითშეგნების შეძე-
ნას.

დაირგუსტის
ვერბალუმაცია

ოქროს ეპოქაში ადამიანები იყვნენ
რასისტები, მაგრამ ჯერ ამას ვერ
სვდებოდნენ, მათ აინტერესებდათ
განგები, პაპუასები და ა.შ., და ზო-
ოლოგიური ბალები დიდ ქალაქებ-
ში, აწყობდნენ ეთნოგრაფიულ 165

კანაკები ისხდ-
ნენ ქოხის წინ

ექსპოზიციებს ველურებით, რომ-
ლებიც ბამბუკის ქოხის წინ ისხდნენ
თეძოებზე შემოსვეული ფყავებით
და სელით აკეთებდნენ სსვადასხ-
ვა ნივთებს, და სალსი მიღიოდა
სანახავად, როგორ ცხოვრობდნენ
პაპუასები, აშანტე და ბულუკები
და ესროლნენ მათ კონფეტებს და
შაქრის ნაფეხებს. ეთნოგრაფიულ
ექსპოზიციებს წარმატება პქონდა,
ვინაიდან სალსს სურდა ენახა რო-
გორ ცხოვრობდნენ მსოფლიოს სსვა
მხარეებში და 1900 წელს მსოფლიო
გამოფენაზე პარიზში, განვითარე-
ბულ ქვეყნებს ტექნიკურ სიახლეებთ-
ან, ასალ სელოვნებასა და ასალ არ-
ქიტექტურასთან ერთად გამოყვანი-
ლი ყავდათ, ასევე, აბორიგენები თა-
ვიანთი კოლონიებიდან, ნუბიელები,
და დაპომელები, და კარიბები და
მალაელები და კანაკები. კანაკები
ისხდნენ ბამბუკის ქოხის წინ, ფყავე-
ბით თეძოებს გარშემოსვეული და

კაუით სესავდნენ ქვის შუბს, თუმცა,
ადრე სელში ერთხელაც არ ჭერიათ
არც კაუი, არც ქვის შუბი, რადგანაც
ესენი პატარა მოხელეები იყვნენ
კოლონიალური ადმინისტრაციიდან,
საფრანგეთის მთავრობამ სახელმ-
წიფო ინტერესებიდან გამომდინ-
არე მოახდინა მათი რეკრუტირება.
და მსოფლიო გამოფენის დახურვის
შემდეგ კოლონიურმა მუზეუმმა ისი-
ნი ტურნეთი გააგზავნა ბელგიაში,
გერმანიასა და დანიაში, კანაკები
კი მუზეუმის დირექტორს წერილებს
წერდნენ და ეკითხებოდნენ როდის
შეეძლებოდათ სახლში დაბრუნება
და თავიანთი ფუნქციების შესრულე-
ბა, მაგრამ პასუხი არ მოდიოდა, და
ერთ დღესაც, კანაკები ვაგონიდან,
რომლითაც გერმანიაში მოგზაუ-
რობდნენ, გაიქცნენ, საფრანგეთში
დაბრუნდნენ და ფარულად ჩასხდ-
ნენ გემში, რომელზეც ამბობდნენ,
რომ ასალ კალედონიაში მიცურავ-

**მეზღვაურები
ამაყები იყვნენ**

და, მაგრამ სინამდვილეში გემი მიემართებოდა ლიბანში. და როცა მეზღვაურებმა კანაკები ფრიუმოში ნახეს, იცნეს, რომ ეს ის კანაკები იყვნენ მსოფლიო გამოფენიდან, და ძალიან ამაყები იყვნენ, კანაკებმა, სწორედ, მათი გემი რომ აირჩიეს, და მეზღვაურებს მიქონდათ მათთან საჭმელი, და არ აძლევდნენ მუშაობის უფლებას, და ეკითხებოდნენ, თუ რამდენ ქვის შუბს აკეთებენ წელიწადში ასალ კალედონიაში. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ეთნოგრაფიული ექსპობიციები თანდათან შემცირდა, რადგან, შეერთებული შტატების მსარებელი იბრძოდა 1700000 ზუღუსი, ხალხი მიეჩვია მათ და უკვე ნაკლებად აინტერესებდა ისინი.

ასალგაბრდები ამბობდნენ, რომ რასიგმი ძველი სამყაროს გადმონაშთია, და საჭიროა ასალი სამყაროს მოფიქრება თავიდან, და,

რომ ტელევიზორი და მაცივარი ნაკლებად მნიშვნელოვანია, უიღრე სიყვარული და ბედნიერება. და მათ არ სურდათ მოესმინათ მშობლები-სგან თუ რა ესწავლათ, რომ ეკრძა-ლებათ მოწევა, სექსი და გრძელი თმის ფარება და ა.შ. და 1968 წელს, დასავლეთ ევროპაში იფეთქა სტუ-დენტურმა მღელვარებამ, სტუდენტე-ბი აგებდნენ ბარიკადებს, დადიოდ-ნენ ფაბრიკებში და არწმუნებდნენ მუშებს, რომ აუცილებელია საზოგა-დოების ძირეული შეცვლა, კედლე-ბზე აწერდნენ ლურჯი დარჩება ნაცრისფერი, ვიდრე ვინმე არ მოიფიქრებს ლურჯს და იყა-ვით რეალისტები, მოითხოვეთ შეუძლებელი და აკრძალულია აკრძალვა, და ძალაუფლება წარმოსახვას. ისინი იკავებდნენ აუდიტორიებს და თეატრებს, ეწეოდ-ნენ, იყენებდნენ სექსის სხვადასხვა

ახალგამრდებს
უნდოდათ სე-
ქსი

სერსს და კამათობდნენ პოლიტიკაზე. სამოციანი წლები ისტორიაში აღინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებებით, ვინაიდან შეიქმნა მატერიალური კეთილდღეობა, და ქალებსაც კონტრაცეპტივებით შეძლოთ ესარგებლად, და ასალგაბრდები საბოგადოების მნიშვნელოვან ნაწილად იქცნენ, და თანდათან ასაკოვანი მოქალაქეებიც დაკავდნენ სპორტით და ასალგაბრდულად დაიწყეს ჩაცმა, და სექსის დროს იყენებდნენ ყველა სერსს, და გამოთქვამდნენ გაუცვეთელ და არაფორმალურ ამრებს, და თუ ვინმე არ იყო ასალგაბრდა, სულით მაინც, ის ძველ სამყაროს მიეკუთვნებოდა. სოციოლოგები ამტკიცებდნენ, რომ ბურუაზიული საბოგადოება გაქრა და ის შეცვალა საბოგადოების ასალმა ფორმამ, რომელსაც უწოდებდნენ ადოლესცენტურს, და ამბობდნენ, 170 რომ ეს მოწმობს დასავლეთის

საზოგადოების განვითარებაში რა-
დიკალურ გარდაფეხსას და, რომ
ამაზე დაფიქრებაა საჭირო. ზოგი-
ერთი ფილოსოფოსი კი ამტკიცებდა,
რომ ახალგაზრდობის კულტი კაცო-
ბრიობის აზროვნების ისტორიაში
არის ერთერთი ყველაზე დიდი სი-
სულელე და ნიშანდობლივია, რომ
ამით მოვიდნენ ფაშისტებიც და კო-
მუნისტებიც, ხოლო დემოკრატიული
საზოგადოებები კი ისე გასულელდ-
ნენ, რომ ფაშისტებისგან და კომუ-
ნისტებისგან გადაიღეს ახალგაზრ-
დობის კულტიო, თუმცა, სხვანი ამ-
ბობდნენ, რომ ასევე უნდა იყოს, რომ
ახლგაზრდობა შესაძლოა სულე-
ლია, მაგრამ, სამაგიეროდ დინამი-
ურია, და ეს კი უკვე პოზიტიურიაო.
სოციოლოგები თვლიდნენ, რომ
პოზიტიურობა, იქცა ახალ ფასეუ-
ლობად დასავლეთ ცივილიზაციაში,
მან შეცვალა ტრადიციული ჰუმან-
ისტური ფასეულობანი, რომლებიც

ახალგაზრდობა
დინამიურია

უკვე აღარ პასუსობდნენ საზოგა-
დოების მდგომარეობას. პოზიტიუ-
რად ყოფნა, ნიშნავდა, რომ სალხი
ნდობით შესედავდა მომავალს და
დაკავებული იქნებოდა სპორტით,
იცსოვრებდა ჯანმრთელი და ჰარ-
მონიული ცხოვრებით, სისტემატუ-
რად ივლიდა ექიმთან და იცოცს-
ლებდა ღრმა მოხუცებულობამდე,
მონდომებით იმუშავებდა, პენსიით
გაერთობოდა და ასალგაზრდულად
ჩაიცვამდა. და უკვე არავის უნდო-
და ყოფილიყო გაჭირვებული, და
ყველას უნდოდა ქონოდა მაცივარი
და უკაბელო ტელეფონი, ძალლი
და კატა, კუ და ვიბრაფორი, ევლო
სპორტზე და ფსიქოანალიტიკოსთან.
კათოლიკე ფილოსოფოსები ამ-
ბობდნენ, რომ ყველაფერი ეს შეუ-
ძლიათ პროგესტანტებს, რადგანაც
ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ
მაფერიალურ წარმატებას ღმერ-

თმა თქვა, ხელი გაანძრიე და
დაგეხმარებიო, მაშინ როცა კათო-
ლიკებს უფრო სწამდათ ღმერთს
ვინც უყვარს, განსაცდელსაც მას
უმზადებსო, თავის მხრივ, პროტეს-
ტანტი ფილოსოფოსები ამბობდნენ,
რომ კათოლიკური ეკლესიის დაცე-
მა ამტკიცებს იმას, რომ მას აღარ
შეუძლია ფესი აუწყოს ეპოქას, აბ-
როვნება კი ვითარდება, ხოლო
პროტესტანტები თანამედროვენი
არიან, მათ პასტორებს შეუძლიათ
ითხოვონ ცოლი და სექსი დაიკ-
მაყოფილონ და ამიტომ, უკეთესა-
დაც გაავრცელონ ქრისტიანული
აბროვნება საზოგადოებაში, რო-
მელიც ნიპილიგმა მოიცვაო. სალსს
კი ქალაქებში ძალლები და კატები,
კუები და ზღვის გოჭები მოყავდათ
სასლში, რადგან, უენო ქმნილება
გაუცხოებულ სამყაროშიც არ გა-
გყიდის. და ამ ძალლებს და კატებს

აბროვნება ეთ-
იარდება

უკნო ქმნილება
არ გაგყიდის

ქონდათ თავისი საპარიკმასეროები
და სილამაზის სალონები, სპორტუ-
ლი დარბაზები და სარეაბილიტაციო
ცენტრები, მორგები და სასაფლაოე-
ბი და ა.შ. ხოლო ვიეტნამის ომიდან
დაბრუნებულმა ამერიკელმა ჯა-
რისკაცებმა უული შეაგროვეს და
4100 ამერიკელ ძალს, რომელებიც
ვიეტნამში, დემოკრატიისა და თა-
ვისუფლებისთვის ბრძოლაში დაიღ-
უნენ, ძეგლი დაუდგეს. განვითარე-
ბულ ქვეყნებში შეიქმნა ფერმები,
რომელსაც სოფლის მუზეუმები, ან
სოფლის კუთხეები ეწოდებოდა, და
ხალსი ქალაქებიდან ჩამოდიოდა,
რომ ენასათ როგორ გამოიყერე-
ბოდა ცხენი და ცხვარი ან ძროსა,
რაღაც სოფლის ცხოველები თან-
დათან გაქრნენ ქალაქებიდან. და
სხვა ცხოველებიც, ზღარბები და
ჭოტები, ვასაკები და პეპლები
და სოჭოებიც შემცირდა გზებზე
და ეკოლოგები ამბობდნენ, რომ

ყველაფერში დამნაშავე დაბინძურებული აფმოსფერო და პესტიციდები, ამონაბოლქვი გაზები და ა.შ. იყო, და ბოგიერთი ეკოლოგი, ღამლამობით თავს ესხმოდა სამედიცინო და ფარმაკოლოგიურ კვლევით ცენტრებს, სადაც მიმდინარეობდა ცხოველებზე ცდები, და ათავისუფლებდნენ მაიმუნებს და ბოცვერებს, ზაზუნებს და ძალლებს, გველებს და ბაყაყებს. და, სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ფიქრობდა, რომ აუცილებელი იყო ცხოველთა დაცვა, და აყალიბებდნენ ცხოველთა დაცვის საზოგადოებებს. ხანდასან დათვის ან თვალშავას ტანსაცმელს ჩაიცვამდნენ და ქუჩაში მანიურესტაციებს აწყობდნენ მონადირეების წინააღმდეგ, კორიდის წინააღმდეგ და ცხოველებზე სამეცნიერო ექსპერიმენტების წინააღმდეგ და ამბობდნენ, რომ არა-ჰუმანურია ცხოველების მოკვლა. ბოგიერთი მათგანი ვეგეტერიანელი

იყო და იკვებებოდა სტაფილოთი და ა. შ. მონაცემთა მიმღებები, ცხოველებზე იმიტომ ნადირობენ, რომ ტრადიცია შეინარჩუნონ, ტრადიციები იკარგება, და თანამედროვე ქვეყანაში ტრადიციას დიდი მნიშვნელობა აქვსო, და ყოველ წელს რომელიმე მონაცემები გახსის მაგივრად, სხვა მონაცემებს კლავდა, და დანარჩენი მონაცემები ფულს ჩამოდიოდნენ და ქვრივისთვის ყიდულობდნენ ახალ სარეცხის მანქანას ან სახლისთვის საჭირო სხვა რამეს.

ოქტომბერის სანაში, ქალაქებში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ თხები, ქათმები და ა.შ. მამაკაცები ვირგინულ სიგარებს ეწეოდნენ, ხელს ულვაშებე ისვამდნენ, ხოლო ქუჩებში დაღიოდა ელექტრო ტრამვაები, ოთხთვევალა ეტლები, ეტლები და ცხენებშებმული ობინიბუსები. ცხენებს

ქალაქში იყენებდნენ ტვირთის გა-
დასაბიდათ, ვინაიდან სატვირთო
მანქანები თითქმის არ არსებობდა,
ასევე იყენებდნენ მათ არმიაშიც და
ეანდარმერიაში. პირველ მსოფლიო
ომში ბევრი ცხენი დაიღუპა, განსა-
კუთრებით აღმოსავლეთ ფრონტზე,
სადაც იბრძოდნენ რუსი, გერმანელი
და ავსტრიელი ცხენოსანი ჯარები,
1916 წელს კი გერმანელი ჯაშუშები
რუმინეთის არმიის საჯინიბოებში
შეიპარნენ და ფურაქში ჩანასასის
ქოთაო ჩადეს, და 3055 რუმინული ცხ-
ენი მოკვდა. დასავლეთის ფრონტზე
ცხენებს, ძირითადად, იყენებდნენ
დაბევრვაში და ტყვიამურქევევების
და თოვების, პროდუქტების და სან-
გრების გასაკეთებელი დაფების გა-
დასაბიდათ და ცხენოსანი ჯარი ყოვ-
ელთვის მზადყოფნაში იყო, რაღვან,
გენერლებს იმედი ჰქონდათ, ქვეითი
ჯარი როცა გაარღვევდა მგრის
საჩს და მწყობრიდან გამოიყვანდა 177

ტყვიამფრქვევთა ბუღეებს, ცხენო-
სანთა ჯარი გადამწყვეტ გავლენას
იქონიებდა ომის შედეგზე, მტერის
გაბედული გარშემორტყმით, და
1915 წელს, ფრანგებმა გამოიგონეს
ცხენებისთვის სპეციალური აირწინ-
ალები. ქალაქში და არმიაში ცხენე-
ბი ომის შემდეგ შემცირდა, საჯინი-
ბოების უმეტესი ნაწილი დაისურა,
ან გადაკეთდა საბავშვო ბალებად,
ვინაიდან საჯინიბოების არქიტექ-
ტურა პასუხობდა საბავშვო ბალების
მოთხოვნებს. მეორე მსოფლიო
ომის დროს არმიების უმრავლე-
სობამ შეამცირა ცხენების რიცხვი,
წითელი არმიის გარდა, რომელსაც
საბრძოლო მჩალყოფნაში რვაასი
ათასი ცხენი ყავდა და უცდიდა, რო-
დის გაუთავდებოდა გერმანელებს
ბენზინი ან თავს როდის ამოყოფდა
ჭაობებში. იმ დროისთვის, გერმანი-
აში და ევროპის სხვა ქალაქებში,
საჯინიბოების უმრავლესობა გაუ-

ქმდა, ან იყენებდნენ სხვა მიზნებისთვის, ხოლო ბირკენაუ-ს საკონცენტრაციო ბანაკში საჯინიბოებს იყენებდნენ ბარაკებადაც, და ერთ საჯინიბოში 52 ცხენი, ან 1000-1200 პატიმარი ეფეოდა.

მეოცე საუკუნეში მნიშვნელოვანი იყო ტრადიციების დაცვა და ბუნებისკენ მიბრუნება, რაღაც, მას წინააღმდეგობა შეეძლო გაეწია იმ გნეობრივი კრიზისისთვის, რომელიც სშირ მოვლენად იქცა, მას შემდეგ რაც ხალხს გაუჩნდა ლოკომოტივები და გემები და ქარსნები, და აღარ შეეძლოთ ჰარმონიული ცხოვრება და მსოფლიო აივსო ძალადობით, სიღარიბითა და უსამართლობით.

1906 წელს კი, გერმანელ და ავსტრიელ ასალგაბრდა ანარქისტების ჯგუფი, რომელსაც ნამდვილი ცხოვრება ცივილიზაციით შეუერილი უნდოდა რომ ეპოვა, შეიკრიბა

გნეობრივი
კრიზისი

და გადასასლდა შვეიცარიაში, სა-
დაც შექმნეს კომუნა, და უწოდეს
MONTE VERITA, და ბუნებრივ ჰარ-
მონიას იქმნიდნენ ნატურიზმითა და
ვეგეტარიანელობით, აფარებდნენ
გრძელ თმას, სეკვავდნენ კოცონოს
გარშემო და წარმოთქვამდნენ იდეე-
ბს. ასე, ნელ-ნელა ჩამოყალიბდა
მოძრაობა, რომელსაც სხვადასხვა
ქვეყნის ასალგაბრდებიც შეუერთდ-
ნენ. ამ მოძრაობამ, ბუნებასთან
ჰარმონიაში მყოფი, ასალი, აბსო-
ლუტური სელოვნება გამოაცხადა
და ამბობდა, რომ სელოვნება იყო
არა ესთეტიური, არამედ ბიოლო-
გიური მოვლენა, და რომ ყველაზე
აბსოლუტური სელოვნება ცეკვაა,
ვინაიდან ის პირველადია, და რომ
ცეკვამ შეიძლება სტიმული მისცეს
ასალი საბოგადოებრივი წესრიგის
წარმოშობას. და ოცდაათიან წლებ-
ში მათი უმრავლესობა ნაცისტებთ-
ან გადავიდა, ვინაიდან ნაცისტები

ქადაგებდნენ ბუნების პარმონიას და პიროვნების შერწყმას მიწას-თან და რასასთან და გამოდიოდნენ ებრაელების წინააღმდეგ, რადგან, როგორც ითვლებოდა, ებრაელებს არ უყვარდათ ბუნება და უნდოდათ ადამიანის აზროვნების დაბინძურება და იქიდან იმის განდევნა, რაც ადამიანს პარმონიული ცხოვრების საშუალებას აძლევდა. კომუნის ერთი წევრი კი ნაცისტერ გერმანიაში აღიარებული ქორეოგრაფი გახდა და მან გერმანელი მუშებისთვის მოიგონა ცეკვა ჟესტებით, სამსედრო ქარსნებში შრომის ნაყოფიერება რომ გაეჩარდა. 1917 წელს კი ერთი იგალიელი ჯარისკაცი თავის დას წერილში წერდა ჩემი თავი დღითი დღე სულ უფრო პოზიტიური მეჩვენება. 1930 წელს კი ერთმა ფრანგმა ექიმმა ასალი ერას დასაწყისი გამოაცხადა, რო-

მიწასთან შერწყმა

მელიც იქნებოდა მერწყულის ნიშნით, შობდა ახალ ადამიანს და ქვეყანას გააძლიერებდა ომებისა და ძალადობის გარეშე. 1921 წელს კი, ერთმა შოტლანდიელმა მასწავლებელმა გერმანიაში დაარსა ექსპერიმენტალური სკოლა, სადაც ახალი, რევოლუციური და ანტიავტორიტარული მეთოდები სურდა რომ გამოეცადა, და ამბობდა, სწავლება, უნდა შეიცვალოს სსვადასსვა საინტერესო ამბებზე საუბრებით, ვინაიდან ტრადიციული სწავლება თავისი არსით არადემოკრატიულია და მოსწავლეებში ხელს უწყობს აგრესიასო. სკოლა ხუთიდან თექვსმეტ წლამდე ბავშვებისათვის იყო განკუთვნილი, და როცა მათ არ უნდოდათ დებატები, შეეძლოთ სასლში დარჩენილიყვნენ, ან ესეირნათ ველოსიპედით, ან მეგობრებთან ერთად ეშენებინათ საიდუმლო თავშესაფარი, ეს კი, ნამდვილად,

რევოლუციური იყო. და თანდათან, სულ უფრო და უფრო მეტ სალსს სჯეროდა, რომ კაცობრიობა შე-დიოდა ასალ ერაში, რომელსაც უწოდებდნენ ახალ საუკუნეს და რომელიც უნდა დაწყებულიყო იმ მომენტში, როცა მზე შევიდოდა მერწყელის თანავარსკვლავედში და გაგრძელებულიყო 2160 წელი; ამ სნის განმავლობაში ტვინის მარ-სხენა და მარჯვენა ნახევარსფერო გაერთიანდებოდა, მოხდებოდა კა-ცობრიობის მენტალური მუტაცია და დაიბადებოდა ახალი სულიერება. ასალი საუკუნე უნდა ყოფილიყო ჰარმონიული, სულიერი და ინტერ-აქტიური, და ვეღარავინ ვერავის დაჩაგრავდა, რადგან კაცობრიო-ბა უნდა ასულიყო შეცნობის ასალ საფეხურზე და ყველა ადამიანი უნდა გამსდარიყო სულიერად და ეკოლოგიურად შეგნებული. ადამი-

ხალხს რაღაც
ახალი ხწყურია

შერწყმა ენერ-
გიასთან

184

ანები, რომლებსაც სჯეროდათ ასა-
ლი საუკუნის, ამბობდნენ, რომ მერ-
წყული დამდეგი ცვლილების კარგი
სიმბოლოა, რადგან, სალხს რაღაც
ასალი სწყურია და მერწყული მათ
ამ წყურვილს მოუკლავსო. და, რომ
ძველი სამყარო იყო მატერიალის-
ტური, მექანისტური და ანალიტი-
კური, ანალიტიკური მეთოდი კი
აქცემაცებს საგნების რეალობას,
მაშინ როცა რეალობა სინთეზურად
უნდა იყოს განსილული. და, რომ
დასავლეთის კულტურამ ხალხს სე-
ბის დათვლა ასწავლა ტყეში, მა-
გრამ არავინ არ ხედავს ამ ტყესო.
ადამიანებს, რომლებსაც სჯეროდათ
ასალი საუკუნის, სურდათ დაბრუნე-
ბოდნენ კაცობრიობის ერთობის
სულიერ ფესვებს და შერწყმოდნენ
კოსმიურ ენერგიას და სთვლილნენ,
რომ აუცილებელია გადაისედოს ას-
ალგაზრდების აღრგზა, ვინაიდან
ასალი საუკუნე თავს სრულად ვერ

გამოავლენს, მანამ სალსი ძველებურად იაზროვნებს, და ამბობდნენ, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო პარმონია, ვინაიდან ის აძლევდა ტვინის ნახევარსფეროებს თავისუფალი კომუნიკაციის საშუალებას, ხოლო ნახევარსფეროების კომუნიკაცია კი საშუალებას მისცემდა ყოველ ადამიანს შეეცნო თავისი მეორე მხარე, (ანუ მეორე მე).

1950 წელს კი პაპმა გამოაცხადა, რომ ევოლუციის თეორია, რომლის მიხედვითაც ადამიანები წარმოიშვნენ მაიმუნებისგან, სამანწკებისა და კვარკებისგან და ა.შ. არ ეწინააღმდეგება რწმენას ადამიანში და იმ მისიაში, რომელიც ღმერთმა მას დააკისრა, და თუ სსეულის ძარღვი წარმოიშვა რომელიმე ცოცხალი მაფერიისაგან, რომელიც წინ უძლოდა მას, სული შექმნა ღმერთმა და, რომ შექმნა იგი სწრაფად, და-

**როგორ და
რაგომ შეიქმნა
ადამიანი**

საწყისშივე, იმავე წუთს, როცა ადა-
მიანის სხეულმა საბოლოო სასე
მიიღო. სხვა პაპმა კი 1996 წელს,
გამოაცხადა, რომ ევოლუციის თეო-
რია ალბათ სწორია, მაგრამ ვერ
პასუხობს მეტაფიზიკურ კითხვებს,
ამისთვის კი, არსებობს რელიგია
და ამბობდა, რომ მეცნიერებას, სა-
ვარაუდოდ, შეუძლია პასუხი გასცეს
კითხვაზე, როგორ შეიქმნა ადა-
მიანი, ბიბლია კი პასუხობს კითხ-
ვაზე, რაფომ შეიქმნა ადამიანი. და
რომ ის შესაძლებლობას იძლევა
გავიგოთ წინააღმდეგობა ცხოვე-
ლური სახის ფიზიკურ მემკვიდროე-
ბითობასა და ონფოლოგიურ წყვე-
ფას შორის, რაც გამოიწვია ადამია-
ნის მოსვლამ. სალსი, რომელსაც არ
სწამდა არც ღმერთის, არც ასალი
საუკუნის, არც უცხოპლანეტელების,
არც სულიერი ელემენტების და ა.შ.
ამბობდა, რომ ადამიანი წარმოიშ-
ვა სრულიად შემთხვევით, რომ სა-

მყარო აბსურდულია და ბუნების არ
უნდა გჯეროდეს, იმიტომ რომ ის
ანომალურია და სისულელეა მას-
ში რაიმე აზრი ეძებო. ხოლო, სხვა
ადამიანები, რომელთაც ღმერთის
და სამყაროს შექმნისა სწამდათ,
ამბობდნენ, რომ ევოლუციის თეო-
რია არის საფანის მცდელობა პატი-
ვი აყაროს ადამიანს, და რომ პაპი
საფანის მსახურია, და 1930 წელს
ერთმა ბაპტისტმა პასტორმა, გაა-
კეთა ასოთხმოცი მილიონი წლის
ასაკის ადამიანის ტერუი, რომ დაე-
მტკიცებინა, ადამიანი იმდენივე
წლის იყო, რამდენისაც, დინობა-
ვრი. ევოლუციისტები ამბობდნენ,
რომ ეს უბრალოდ სირცხვილი და
თავის მოჭრა არის, კრეაციონისტე-
ბი კი ამბობდნენ, რომ სირცხვილი
და თავის მოჭრა იმის მტკიცებაა,
რომ ადამიანი, თითქოს, მაიმუნის-
გან წარმოიშვა, და რომ ევოლუ-
ციის თეორია იდეოლოგიური თაღ-

ბუნება ანომა-
ლურია

ადამიანი
სწორედაც
არის მაიმუნი

ლითობაა და ადამიანს ართმევს
იმას, რაც მისთვის ყველაზე უფრო
დამახასიათებელია, საკუთარი თა-
ვის შეცნობა, სრულყოფილებისაკენ
სწრაფვის ნებისყოფა, შრომა და ა.შ.
ევოლუციონისტები კი ამბობდნენ,
რომ საკუთარი თავის შეცნობა და
ნებისყოფა სრულყოფილებისკენ
სწრაფვაში, ცხოველებთანაც შეი-
ძლება შეგვხვდეს, კომუნისტები კი
ამბობდნენ, რომ ადამიანი, კაცია
რომ თქვას, სწორედაც არის მაიმუნი,
რომელმაც შრომა დაიწყო, მაგრამ
ზოგიერთი ევოლუციონისტი ამას
არ ეთანხმებოდა და ამბობდა, რომ
ბუნებას აბრი აქვს თავისთავადაც,
ყოველგვარი შრომის გარეშე. სსვა
ევოლუციონისტები, თვლიდნენ რომ
შრომა მნიშვნელოვანია, და რომ
სოციალური მეცნიერება ემორ-
ჩილება იმავე კანონებსა და მექა-
ნიზმებს, რასაც ბიოლოგია, და რომ
ზედმეტი სამედიცინო მომსახურება

და სოციალური უზრუნველყოფა და
ა. შ. მხარს უჭერს ხალხში უსაქმურ-
ობას და ამუსრუჭებს კაცობრიობის
განვითარებასო.

კომუნისტები ამბობდნენ, რომ
ლმერთი არ არსებობს, არსებობს
მხოლოდ მაგერია, და საჭიროა
ახალი მსოფლიოს აშენება, სადაც
გამეფებული იქნება სამართლიანო-
ბა თითოეული ადამიანისთვის, ვინც
საქმისთვის ყველაფერს იღონებს,
და არავის აღარ შეშურდება სხ-
ვისი, რადგანაც ყველას ექნება
ყველაფერი და არავის არაფერი
ექნება ისეთი, რაც სხვებს არ ექნება.
მაგრამ, ვიდრე ახალი მსოფლიომდე
მივლენ, ძველი უნდა ფესვებიანად
ამოიძირკვოს, და ხალხმა ასლებუ-
რად უნდა ისწავლოს აზროვნება,
რადგან ახალი აზროვნების გარეშე,
ვერ შედგებაო ახალი მსოფლიო.
იმასაც ამბობდნენ, რომ ყოველმა

ახალი
მსოფლიო

ხალხმა ახლე-
ბურად უნდა
ისწავლოს აზ-
როვნება

ადამიანმა უნდა აირჩიოს, პროგრე-
სის მსარებელი დგომა უნდა თუ არა,
წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ის-
ტორიის ქარიშხალი წალეკავსო.
კომუნისტები ფიქრობდნენ, რომ
ისტორია, ფაქტიურად, ოქტომბრის
რევოლუციით დასრულდა, რადგან
კომუნიზმი ადამიანთა საზოგა-
დოების ისტორიის აზროვნების
მწვერვალია, და მთელ მსოფლი-
ოში მისი გამარჯვება მსოლოდ
დროის ამბავია, და ამის შემდეგ
ისტორიის გაგრძელების აუცილე-
ბლობის მიზები აღარ იქნებაო. და
ამბობდნენ კიდევ, რომ კომუნიზმი
არ არის პოლიტიკური რეჟიმი, არ-
ამედ არის ისტორიული კატეგორი-
აო, და მათთვის, ვისაც ეს არ ეს-
მოდა და ძველებურად აზროვნებდა,
ანუ, გამყიდველებისთვის და ეგო-
ისტებისთვის, მავნებლებისთვის და
ლოთებისთვის და ა. შ. კომუნისტებ-
მა მოიფიქრეს სპეციალური აღგილი,

რომელსაც ეწოდებოდა ისტორიის
სანაგვე, ვინაიდან იმ წეთისთვის,
როცა კომუნიზმი მთელ მსოფლიოში
გაიმარჯვებდა, მნიშვნელოვანი იყო
ცოდნოდათ ვინ არ უნდა შესულიყო
ისტორიაში. ისტორიკოსები, მოგვი-
ანებით, ამბობდნენ, რომ კომუნიზმა
გააშიშვლა ახალი საშიშროება რო-
მელიც კაცობრიობის ცივილიზაციას
ემუქრებოდა, კერძოდ, ისტორიუ-
ლი მესსიერების გაქრობა, და რომ
ადრე სხვადასხვა დიქტატორები
ცენზურაში ატარებდნენ მესსიერე-
ბას ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში და
ა.შ, კომუნისტებმა კი მესსიერების
განადგურება გაავრცელეს საბოგა-
დოებრივ და არასაზოგადოებრივი
ცხოვრების ყველა სფეროში და აი-
ყვანეს ის იურიდიულ პრინციპამდე,
და ეს ორიგინალური იყო. 1917 წელს
კი, კომუნისტებმა მოიფიქრეს რევ-
ოლუციური ტრიბუნალი, რომელიც
ასამართლებდა მოღალატებსა და

მესსიერების
გაქრობა

მავნებლებს, და ერთი დღის განმავლობაში სამას ორმოცდაათამდე სიკვდილის განაჩენის გამოტანას ასწრებდნენ, ეს სასამართლოსთვის, რომელიც ძველებურად აგროვნებდა, წარმოუდგენელი იყო, ერთდროულად შემოიღეს, ასევე, წამების ახალი, უფრო თანამედროვე მეთოდები, რომლებიც, გამყიდველებისა და მავნებლებისაგან აღიარების მიღებისა და მათგან სხვა მოღალატეებისა და მავნებლების მისამართების გამოძალვის საშუალებას იძლეოდა. ყველაზე უფრო ცნობილი წამება იყო ყური და მერცხალი, ტიტლიკანა და მანიკური და სპილუკა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ მავნებელს მიაბამდნენ სკამს ან მაგიდას, სახეზე ჩამოაცვამდნენ აირწინალს, მაგრამ აჩერებდნენ უანგბადის მიწოდებას, და ამ დროს, კომუნისტები ჯოხით

ურთყამდნენ მავნებელს, რომელსაც
სული ესუთებოდა და გონებას კარ-
გავდა, შემდეგ, აირწინაღს მოხს-
ნიდნენ, მოასულიერებდნენ პატი-
მარს და მისგან ითხოვდნენ აღიარე-
ბასა და მისამართებს. ამაზე უფრო
ორიგინალური ის იყო რომ, ისტო-
რიული ამბის უბრალოდ უარყოფის
მაგივრად, კომუნისტები, ხშირად ამ-
ბავს კი ტოვებდნენ ისტორიაში, მა-
გრამ სრულიად სხვაგვარად თხჩა-
ვდნენ მას. მაგრამ, იმ შემთხვევაში,
თუ მავნებლებს არ უნდოდათ კითხ-
ვებზე პასუხის გაცემა, კომუნისტები
მათ საგანგებოდ გაწვრთნილ ძალ-
ებს მიუგდებდნენ, რომლებსაც
ასეთი სასელები ქონდათ ნომერი
პირველი, ნომერი მეორე, ნო-
მერი მესამე და ა.შ., ვინაიდან,
ასალ საზოგადოებაში, ყველაფერს
ქონდა თავისი რიგობითი ნომერი.
და სხვადასხვა დღესასწაულების,

ყრილობების და მნიშვნელოვანი
ისტორიული შემთხვევების ამსახ-
ველ ფოტოგრაფიებზე, ნელნელა
ქრებოდნენ ის კომუნისტები, რომ-
ლებმაც იმ დროს დაუშვეს სამშობ-
ლოს ღალატი, ან შეთქმულება, ან
ცხოვრების ბურჟუაზიული გაგება ან
მცდარი აზროვნება, და ფოტოებზე,
რომლებზედაც, მაგალითად, თავი-
დან რვა კომუნისტი იყო, ბოლოს
რჩებოდა ორი ან სამი. ისტორიულ
კომისიებში, ფოტოებს დიდ ყურ-
ადლებას უთმობდნენ, რადგან სალსს
დაწერილის როცა აღარ სჯეროდა,
რამდენიმე სანს ფოტოების სჯერო-
დათ კიდევ, და კომუნისტები თვ-
ლიდნენ, რომ ფოტოები ისტორიის
მსვლელობის მისედვით უნდა გამო-
ეყენებინათ, ისევე, როგორც ლოკო-
მოტივები გამოიყენეს შემთხვევების
მსვლელობის და მისედვით და ა.შ.
1919 წელს კი მავნებლებისა და სუ-
ლით ავადმყოფთათვის სპეციალური

მკურნალობა მოიფიქრეს, რადგან, მიაჩნდათ, რომ რევოლუციის წინააღმდეგი შეიძლება, მხოლოდ მავნებელი ან სულით ავადმყოფი იყოს და მავნებლებს აგზავნიდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში, სულით ავადმყოფებს კი საგიუვეთში, სადაც ისინი გადიოდნენ განსაკუთრებულ პროცედურებს სახელწოდებით ტვინის გამორეცხვა. ავადმყოფი ტვინი აუცილებლად უნდა გამორეცხილიყო, ძველი რომ არაფერი დარჩენილიყო იქ, და შესაძლებელი გამხდარიყო მასში ასალი აზრების ჩადება.

საუკუნის დასასრულს დემოკრატიულ ქვეყნებში სალსს ისეთი გრძნობა გაუჩნდა, რომ დემოკრატიაც და მომსმარებელი საზოგადოებაც, თავისებურად, ასევე მონაწილეობდა მესსიერების დაკარგვაში, და ამბობდნენ, რომ ჭარბი ინფორმაცია,

ახალი აგრები

მეხსიერების
დაკარგვა

ისევე საშიშია, როგორც კომუნისტური ცენზურა, რომ სალსი მოწყვეტილია ტრადიციებსა და ფესვებს და ა. შ. და რომ მომსმარებელ საზოგადოებას გეზი აქვს აღებული მესსიერების დაკარგვისკენ, რადგანაც ის ჰედონისტურია. და, რომ გედმეტად ჭარბი ინფორმაცია, პერსპექტივაში კიდევ უფრო საშიშია, ვიდრე კომუნისტური ცენზურა, რადგან იგი რეაქციას და წინააღმდეგობის გაწევის ძალას კი არ იწევს, არამედ დაღლას და მორჩილებას. და რომ დემოკრატიულ რეეიმებს მიუყავართ ყველა კულტურული და ისტორიული ურთიერთკავშირების გაქრობისკენ და უნიფორმიზმის დიქტატურამდე. მაგრამ სხვები მიუთითებდნენ, რომ სინამდვილეში მესსიერება, რომელიმე შემთხვევის შენასვასა და აქტივაციას შორის ურთიერთქმედებაა, და რომ ის კანონზომიერად შერჩევი-

თია, და ასე რომ არ იყოს, იქნებოდა არა მესსიერება, არამედ სულით ავადმყოფობა. კიდევ სხვები, თავის მსრივ ამბობდნენ, რომ დასავლეთ ცივილიზაციაში მესსიერება არ არის ამორჩევითი, და სწორედ ეს განასხვავებს მას სხვა ცივილიზაციებისგან, და რომ დასავლეთ ცივილიზაციებში მესსიერებაზე უფრო მნიშვნელოვანია უნივერსალური პრინციპები და საყოველთაო ნებისყოფა, რამაც შეაძლებინა მას გადასულიყო ჰეტერონომიიდან ავტონომიამდე, და რომ დემოკრატია შენდება არა მესსიერებაზე, ტრადიციებზე და ა. შ. არამედ საზოგადოებასა და პიროვნებას შორის შეთანხმებაზე, რომელსაც თავისთავად არა აქვს არც ისტორიული და არც ანტოპოლოგიური ლირებულება, მაგრამ, საზოგადოებრივი ინსტიტუტების მართვას და რეგულირებას ხდის შესაძლებელს. და, რომ დასავლე-

მესსიერება არ
არის ამორჩევ-
ითი

*Random Access
Memory*

თის საზოგადოებისთვის დამასა-
სიათებელია ავანგარდის პრინციპი,
რომელიც მიმართულია მომავლი-
საკენ, როგორც სელოვნებაში, ასევე
მეცნიერებასა და პოლიტიკაში, და
რომ მესსიერების როლს დასავ-
ლურ ცივილიზაციაში ყველაზე კარ-
გად პასუხობს სიტყვა მესსიერების
მნიშვნელობა კომპიუტერში. პრო-
გრამისტები განასხვავებდნენ ორი
სახის მესსიერებას, ROM და RAM,
მაგრამ სალსის უმრავლესობას, თუ
ვილაპარაკებთ კომპიუტერულ მეხ-
სიერებაზე, მსედველობაში ქონდა
RAM ნებისმიერი ხელმისაწვ-
დომი მეხსიერება, და ხალხი,
რომლის აზრით, დემოკრატია და
მომსმარებელი საზოგადოება ხელს
უწყობს მეხსიერების გაქრობას, ამ-
ბობდა, ეს იმის მომასწავებელია,
რომ მსოფლიო იქნება მეხსიერების
გარეშე, სადაც ყველაფერი იქნება

ნებისმიერით.

ასალგამრდა ადამიანები თვლიდნენ,
რომ საჭიროა სიბრძნის ფესვებთან
დაბრუნება, და რომ სამრეწველო
საზოგადოებამ და სავალდებულო
ბოგადმა განათლებამ შეცვალა ადა-
მიანის დამოკიდებულება ჭეშმარიტი
ცოდნისადმი. და ის, რაც ადრე იცო-
და ყოველმა ბავშვმა, ახლა იცის მს-
ოლოდ ერთმა მუჭა სპეციალისტებ-
მა, რომ ადრე ბავშვები ერკვეოდნენ
სასარგებლო ბალახებში, შეეძლოთ
საფანგი დაედგათ ბოცვერებისთ-
ვის, დაეწნათ ბურთები ახალი ბალ-
ასისგან, მარწყვის ფოთლებისგან
დაესვიათ სიგარეტი და პირი გამო-
ერეცსათ ჭინჭრის ნახარშით, სახლ-
ში რომ არ მოხვედროდათ. ხნიერი
სალსი კი ამბობდა, რომ რაც ადრე
იცოდა ერთმა მუჭა სპეციალისტე-
ბმა, ახლა იცის ყოველმა ბავშვმაო.
მაგალითად კვადრატული ფესვი 199

სიბრძნის ფეს-
ვებთან დაბ-
რუნება

და ა.შ. მაგრამ ასალგაზრდა ადა-
მიანები თვლიდნენ, კვადრატული
ფესვი ვის რაში სჭირდებოდა, და
დადიოდნენ ინდოეთში და ნეპალ-
ში რომ ჩასწვდომოდნენ აღმოსავ-
ლურ სიბრძნეს, და ამბობდნენ, რომ
ქრისტიანული მორალი ადამიანებს
ამონებს და რომ ევროპაში იყიან
ხეების მსოლოდ დათვლა, მაშინ,
როცა ინდოელები სედავენ ტყეს.
მათ არ უნდოდათ ეცხოვრათ ძა-
ლადობისა და დაბინძურებული
კლიმატის სამყაროში და მიდიოდ-
ნენ ამერიკის, შოტლანდიის ან საფ-
რანგეთის დაუსახლებელ მსარეე-
ბში და აარსებდნენ იქ კომუნებს
და ეწეოდნენ ჰაშიშს, მარისუანას
და სექსუალურ ცხოვრებას და ერ-
თად მღეროდნენ სიმღერებს და

თავის შვილებს ასწავლიდნენ ბუნე-
ბასთან თანხმობაში ცხოვრებას,
იცავდნენ ფრადიციებს და სცემდნენ
დაფდაფებს, ცეკვავდნენ კოცონ-

თან და წარმოთქვამდნენ თავიანთ
აზრებს. კუმუნისტურ ქვეყნებში
ყველაფერი ეს აკრძალული იყო, ყვე-
ლას უნდა ესწავლა ერთი და იგივე
რამე, და ხალხს არ შეეძლო ემოგ-
გაურა იქ, სადაც მოესურვებოდა.
კომუნისტურ ქვეყნებში, პროგრესუ-
ლად ყოფნა ნიშნავდა, ყველას მუშ-
აობას მშრომელი ხალხის საკეთილ-
დღეოდ და ყველაზე მნიშვნელოვანი
იყო მუშათა კლასი, რადგანაც, მშ-
რომელ ადამიანს საზოგადოებაში
ბუნებრივი ავტორიტეტი ქონდა, და
ყველას უნდოდა ყოფილიყო წარ-
მოშობით მუშა. დემოკრატიულ
ქვეყნებში პროგრესულად ყოფნა
ნიშნავდა უფრო იმას, რომ უკეთესი
იქნებოდა, არავითარი ავტორიტეტი
არ არსებულიყო, და ხალხს შეძლე-
ბოდა ეკეთებინა ის, რაც მას სურდა,
და მაინც მოქალაქელიყვნენ პასუხ-
ისმგებლობით, რადგან ყველა იქნე-
ბოდა თავისუფლად მოაზროვნე და 201

მუშათა გარემო
სისარულითაა
აღსავსე

ერთმანეთის მიმართ პატივისცემის
გრძნობით. კომუნისტურ ქვეყნებში
პროგრესული მწერლები რომანებს
წერდნენ მუშათა გარემოზე, რათა
ეჩვენებინათ, რომ ყველაზე საუკეთე-
სო, თავისუფლად მოაზროვნე ადა-
მიანისთვის, არის გახდეს მუშა, ან,
წერდნენ ადამიანებზე, რომლებიც
მუშათა კლასს ჯერ აგდებულად უყ-
ურებენ, მაგრამ, როცა ხვდებიან,
რომ მუშათა გარემო სისარულითაა
აღსავსე, თვითონაც უნდათ გახდნენ
მუშა, ან მშრომელი ინტელიგენცია
მაინც, რომ ახალი, თამამი იდეებით
დაესმარონ მუშებს. დემოკრატიულ
ქვეყნებში კი პროგრესული მწერ-
ლები თავისუფლად მოაზროვნე
ადამიანებზე წერდნენ, რომლებიც,
სელისუფლებას და დამკვიდრებულ
წესებს წინააღმდეგობას უწევდნენ
და უნდოდათ თავისუფლები დარ-
ჩენილიყვნენ, საბოგადოებასთან
კონფლიქტის ფასადაც რომ დაჯდო-

მოდათ. და იქმნებოდა ხელოვნების გაერთიანებები, სადაც ასალგაბრდა მწერლები ასალი ხერხების და ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებას ცდილობდნენ მწერლობაში, რათა გამოეხატათ, რომ მსოფლიო აბსურდულია.

საუკუნის ბოლოს კაცები ქალებზე ერთ მესამედზე მეტს ეწეოდნენ, და მანქანასაც უფრო მეტად ატარებდნენ. ყველაზე მეტი მანქანა ერთ ადამიანზე ამერიკელებზე და გერმანელებზე მოდიოდა, სოლო ბერძნები, ისევ, ყველაზე ბევრს ეწეოდნენ. ქალები უფრო დიდსანს ცოცხლობდნენ, ვიღრე კაცები, ნაკლები იყო თვითმკვლელობაც. მათ შორის, და დღეში, დაასლოებით, სამჯერ უფრო მეტ სიცყვას ამბობდნენ, ხალხი კი ქალაქებში ველოსიპედით დადიოდა, სპორტს მისდევდა და დილაობით ქუჩებში დარბოდა, ფილტ-

ქალები უფრო დიდსანს ცოცხლობდნენ

ვები რომ გაენიავებინა. დილაობით სირბილი მოიგონეს ამერიკელებმა, რისთვისაც, მათ შეიძინეს პრიალა ტრუსები და ფესსაცმელი მსუბუქი ბალიშით, ხერსემალი რომ არ დაბიანებოდათ., და 1985 წელს ასოციატეტმა ამერიკელმა ინჟარკტი მიიღო დილით სირბილისგან. საუკუნის ბოლოს, ხალხს უნდოდა, რაც შეიძლება დიდხანს ყოფილიყვნენ ასალგაზრდები და დინამიურები, მაგრამ, ამავე დროს, როგორც პოლიტიკურად, ასევე სექსუალურად კორექტულები, ეს კი ნიშნავდა, რომ მათ არ უნდა შეეცდინათ და მაცდურად არ გაეღიმათ ქალებისთვის და ა.შ. არ უნდა მოეყოლათ ანეკდოტები ებრაელებზე და გერმანელებზე და პომოსექსუალებზე. ბოგიერთი ქალი კი თავის უფროსს უჩიოდა, ორაბროვანი ტექსტებით რომ ელაპარაკობდა ან სახლში გაცილებას რომ სთავაზობდა მას

სასის უსამსი გამომეტყველებით.
ერთ ამერიკელ ადვოკატს კი 1997
წელს ოთხი მილიონი ამერიკული
დოლარი ჯარიმის გადახდა მოუს-
და თავის მდივნისთვის, იმის გამო,
რომ მან ქალს შოკოლადის დრაჟე
ჩაუყარა დეკოლტეში. ხოლო 1998
წელს ამერიკელების ერთ ნაწილს
პრეზიდენტის გადაგდება უნდოდა,
იმიტომ, რომ მას არაკორექტული
ურთიერთობა პქონდა ერთ სფაჟიორ
ქალთან და მკერდზე ხელს კიდებდა
და კუბურ ყალიონს ურჭობდა ვაგი-
ნაში, ქალი კი ფელაციას უკეთებდა,
მანამ ის ტელეფონით მთავრობის
წარმომადგენელს ელაპარაკებოდა
და ა.შ. ამერიკელები, კი ამ დროს,
ერაყს ბომბავდნენ და ერაყელები
ლაპარაკობდნენ, რომ დაბომბვით
ამერიკელებს ყურადღების გადაი-
ფანა უნდათ თავიანთი პრეზიდენ-
ტის არაკორექტული სექსუალური
საქციელიდან. ევროპელებსაც უნ-

ამერიკელებს
უნდოდათ
პრეზიდენტის
გადაგდება

დოდათ ყოფილიყვნენ პოლიტიკურად კორექტულები და ცოგათი ნაკლებად კორექტულები სექსუალურად, რადგანაც ქალის ცდუნებას, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, დიდი კულტურული ტრადიცია ქონდა, მაშინ, როცა ამერიკა უფრო პურიტანული იყო. მოქალაქეთა სიცოცხლის საშუალო სანგრძლივობა დემოკრატიულ ქვეყნებში უფრო მაღალი იყო, ვიდრე კომუნისტურ ქვეყნებში, რადგან ისინი უფრო ხშირად დადიოდნენ ექიმთან და მიირთმევდნენ ახალ ბოსტნეულს და ა.შ. ხოლო, კომუნისტურ ქვეყნებში კი ბევრს ეწეოდნენ, რადგან კარგად არც ესმოდათ, რომ ჯანმრთელი ცხოვრების წესით უნდა ეცხოვრათ და ღრმა მოსუცებულობამდე ეცოცხლათ, ხოლო, ცხოვრების ყველაზე დაბალი სანგრძლივობა იყო განვითარებად ქვეყნებში, რომელსაც დაარქვეს მესამე მსოფლიოს ქვეყ-

ნები. საუკუნის ბოლოს, განვითარებულ ქვეყნებში, დაასლობით 78 წლამდე ცოცხლობდნენ, ყველაზე ცოტას ცოცხლობდნენ სიერა ლეონეს მოქალაქეები, საშუალოდ,- 41 წელს. სოციოლოგები კი ამბობდნენ, რომ ყველა დასაშვები კრიფერი-უმების მიხედვით, ყველაზე კარგია კანალაში და საფრანგეთში ცხოვრება. შეერთებული შტატები მე 18 აღვილზე იყო, ხოლო სიერა-ლეონე 187 აღვილზე. ხალსი უფრო დიდსანს ცხოვრობდა ქალაქებში, ვიდრე სოფლებში, და საშუალოდ ხუთჯერ უფრო მეტ სიგყვას ამბობდა. ექიმები კი ამტკიცებდნენ, რომ სწორი ცხოვრების წესისა და სისტემატური საექიმო შემოწმების დაცვით, ხალსს შეეძლო 110-130 წლამდე ეცოცხლა. და ზოგიერთი ადამიანი თვლიდა, რომ ერთსელაც ადამიანი გახდება პრაქტიკულად უკვდავი და საზოგადოება იქნება იდეალური, და აღა-

ყველაზე კარგი ცხოვრობები კანალაში

მომავალი საკურატო დაძლევებით

მიანები მსოლოდ უბედური შემთხვევისგან, ან თვითმკვლელობისგან მოკვდებიანო. ფსიქოლოგები კი ამბობდნენ, რომ თუ ვინმეს უნდა ღრმა სიბერემდე სიცოცხლე, არ უნდა იხსენებდეს წარსულს და უნდა იყურებოდეს მომავლისკენ, ვინაიდან წარსულზე ფიქრი სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით არაპროდუქტიულია, მაშინ, როცა მომავალი სავსეა დაძაბულობითა და მღელვარებით, უცნობი სიდიდეებით და ადამიანებს შეუძლიათ წარმოიდგინონ, როგორი იქნება მსოფლიო ოცი ან ორმოცდაათი წლის შემდეგო, ფსიქიატრები კი ამბობდნენ, რომ პირადი მოგონებები ზუსტად მაინც არ პასუხობს რეალობას და ობიექტური რეალობით მანიპულირება კი წარმოადგენს ადამიანის აზროვნების დამცავ მექანიზმს. და ადამიანს წარსულით მანიპულირების შესაძლებლობა რომ არ

ქონდეს, გაცილებით ადრე მოკვდებოდათ. კეირვეელი მსოფლიო ომის დროს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა სსვადასსვა ქვეყანაში დაეცა 10-12 წლით, თუმცა მუშათა გარემოში სიცოცხლის საშუალო სასგრძლივობა, პირიქით, გაიზარდა, რადგან არ იყო უმუშევრობა, და მუშა ქალებს და კაცებს საბოლოო გამარჯვებისთვის, უფრო კარგად რომ ემუშავათ, დადიოდნენ ქარსნის ექიმებთან, აგრეთვე, იღებდნენ კვების ტალონებს და მიმაგრებული იყვნენ რესტორნებთან. ბევრი კი ითხოვდა, რომ საავადმყოფოებში დაკანონებულიყო ევთანაბია, და ზოგიერთი ლაბორატორია სალსს სთავაზობდა, რომ სიკვდილის შემდეგ შეინახავდნენ მათ სსეულს საყინულები და დატოვებდნენ იქ, სანამ არ გამოიგონებდნენ, როგორ გაესადათ ადამიანი უკვდავი, ან მანამადე, ვიდრე არ დაუშეებდნენ

ადამიანის კლონირებას, რადგანაც, იმ დროს, კლონირება შეიძლებოდა მსოლოდ ფრთოსნების, წყლის რწყილების, გომბეშოების, ცხვრების, და ძროსების, და ა.შ. კლონირება იყო ტექნიკა, რომელიც შესაძლებელს ხდიდა შეექმნა გენეტიკური ასლი რომელიმე ცოცხალი ორგანიზმის უჯრედისგან და წარმოადგენდა ერთერთ საშუალებას უკვდავების მისაღწევად.

პირველ მსოფლიო ომს, ასევე, ბოლობე ბოლო, დაარქვეს. ომის დასაწყისში, ყველგან ასე ამბობდნენ, რადგან ყველა თვლიდა, რომ გაიმარჯვებდა, სხვა ომი საჭირო აღარ იქნებოდა და მთელ მსოფლიოში დამყარდებოდა მშვიდობა. მაგრამ ომის შემდეგ, ასე მხოლოდ იმ ქვეყნებში ამბობდნენ, რომლებმაც გაიმარჯვეს, რადგანაც

მსოფლიოში
დამყარდებოდა
მშვიდობა

ამ ქვეყნებში სალსი ფიქრობდა, რომ
მეტი ომი აღარ იყო საჭირო მაგრამ
ქვეყნებში, რომლებმაც ომი წააგეს,
სალსი სრულიადაც არ ფიქრობდა
ასე. პირველი მსოფლიო ომი, მოიგ-
ეს უმთავრეს, და ფრანგებმა და ინ-
გლისელებმა, და წააგეს, უმთავრეს-
ად გერმანელებმა, ხოლო მეორე
მსოფლიო ომი მოიგეს ამერიკელებ-
მა და რუსებმა, და უმთავრეს-
ად, წააგეს ისევ, გერმანელებმა,
ხოლო ომში, რომელიც მერე იყო
და, რომელსაც ცივი ომი უწოდეს,
რადგან პირდაპირი შეიარაღებული
კონფლიქტი არ ყოფილა დემოკრა-
ტიულ და კომუნისტურ ქვეყნებს შო-
რის, არამედ იბრძოდნენ მათი წარ-
მომაღენლები სხვადასხვა ქვეყ-
ნებში, გაიმარჯვეს უმთავრესად,
ამერიკელებმა და წააგეს, რუსებმა.
ბოგიერთი ისტორიკოსი ამბობდა,
რომ ომი არის პოლიტიკური ქმედე-
ბების კანონზომიერი გადანაცვლე- 211

ომი არასდროს
არ მთავრდება

ბა, მაგრამ სსვა ისტორიკოსები ამას
არ ეთანხმებოდნენ და ამბობდნენ,
რომ პოლიტიკური ქმედებები არის
ომის გაგრძელება. და, რომ ომი
არასდროს არ მთავრდება, მხოლოდ
იერს იცვლის და სსვა სახით გვევ-
ლინება. და 1989 წელს კომუნიზმი
დაეცა ევროპაში, და ბევრი ადამი-
ანი ფიქრობდა, რომ დემოკრატიამ
საბოლოოდ გაიმარჯვა, ვინაიდან
დაამარცხა კაცობრიობის ისტორი-
აში ორი ყველაზე სისხლიანი რე-
ჟიმი, ნაციზმი და კომუნიზმი. და ამ-
ბობდნენ, რომ ყველაზე შესაფერისი
დრო იყო მსოფლიოში ახალი წეს-
რიგის დასამყარებლად. კომუნიზმები
ამბობდნენ, ის დამნაშავე იყო ოთხ-
მოცდაათი-ასი მილიონი ადამიანის
სიკვდილში, თუმცა, ყოფილი კომუ-
ნისტები ამბობდნენ, ერთის მსრივ,
ეს შეიძლება ასეც იყოს და მეორეს
მსრივ, არც იყოს მართალი, მაგრამ
ამ საკითხისადმი ასეთი მიღება

არ შეიძლება, რადგან კომუნისტები
მხოლოდ კარგს ფიქრობდნენ. ის-
ტორიკოსები კი ამბობდნენ, რომ
კომუნიზმი მეტისმეტად ასალი ის-
ტორიული გამოცდილებაა იმისათ-
ვის, რომ კვლევის საგანი გასდეს,
დროთა განმავლობაში, ისიც გახ-
დება ისტორიკოსების კვლევის ობი-
ექტი და სალხიც მას სსვანაირად
და უფრო ობიექტურად მიუდგებაო.
კომუნიზმის დაცემამდე საბჭოთა
კავშირს და აღმოსავლეთ ევროპის
ქვეყნებს აღმოსავლეთის მყინვარს
უწოდებდნენ, რადგან ცხოვრება ამ
ქვეყნებში ჩამკედარი და თითქოს
გაყინული იყო, და 1989 წელს დასავ-
ლეთ ევროპაში ბევრი ფიქრობდა,
რომ აღმოსავლეთის ქვეყნები რაც
შეიძლება მალე უნდა შესულიყვნენ
ევროპის კავშირში, და რომ ეს გაამ-
დიდრებდა ევროპის იდენტურობას.
სოლო ის სალხი, რომელიც ოცდა-
მეერთე საუკუნეს მოუთმენლად

ევროპის იდენ-
ტურობა

ელოდა, თვლიდა, რომ დემოკრატიამ საბოლოოდ გაიმარჯვა და ამბობდა, რომ ტოტალიტარული რეჟიმები მომავალში ვეღარ შეძლებენ არსებობას, რადგანაც ასეთი რეჟიმის პრინციპია კონფრონტი და ინფორმაციის შეფერხება, და ეს ასლა, უკვე, შეუძლებელია, ვინაიდან ინტერნეტი მთელ მსოფლიოში სალსს შესაძლებლობას აძლევს აზრები და მისწრაფებები მთელ სივრცეში ელვაზე უსწრაფესად გადასცესო. სოლოვეცკის კუნძულებზე კი, სადაც დიდი საკონცენტრაციო ბანაკები იყო, კომუნისტებმა თოლიები და ალკები დახოცეს, ეშინოდათ, რომელიმე პატიმარს თოლიის მეშვეობით ბარათი არ გაეგზავნა საზღვარგარეთ და სალსს არ გაეგო რა სდებოდა საკონცენტრაციო ბანაკებში. საკონცენტრაციო ბანაკის ტყვეები კი, რომლებიც ტყის მჭრელებად მუშაობდნენ, მდინარე ირგიშისა

214

და ობის ნაპირთან, თითებს იჭრილ-
ნენ, ამაგრებდნენ მორებზე, რომ-
ლებსაც მდინარით დიდ ქალაქებში
აგზავნიდნენ და იმედი ქონდათ,
ვინმე შეამჩნევდა თითს და მის-
ვდებოდა, რომ საკონცენტრაციო
ბანაკებში რაღაც ცუდი ხდებოდა.
მაგრამ, თანდათან გაირკვა, რომ
კომუნისტურ ქვეყნებში, სალხი ევ-
როპული იდენტურობის მიმართ
საკმაოდ გულგრილი იყო, აღმოსავ-
ლეთ ევროპის ხალხი კი უნდობლად
უყურებდა ევროპის ისტორიას.
დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ის-
ტორიკოსი ამბობდა, რომ აუცილე-
ბელია აღმოსავლეთ ევროპის ადა-
მიანებს დრო მივცეთ, რომ მათ არ
შეუძლიათ ისტორიული დინამიკის
შეცნობა, ვინაიდან ორმოცი წლის
განმავლობაში კომუნიზმმა შექმ-
ნა უისტორიო ღრმულიო. მაგრამ,
სალხი აღმოსავლეთ ევროპაში სხ-
ვანაირად იგებდა ამას, მათ ჰქონ- 215

შეწყვეტილი
ისტორიები

დათ ისეთი გრძნობა, რომ დასავ-
ლეთ ევროპის სალსებისთვის შეე-
ძლოთ შეეთავაზებინათ გაცილებით
მეტი საინტერესო გამოცდილება და
თავს გრძნობდნენ მიფოვებულად და
გარიყელად. ფსიქოანალიტიკოსები
კი ამბობდნენ, რომ შეწყვეტილი ის-
ტორია შეწყვეტილ სქესობრივ აქტს
გავს, და რომ კულმინაცია არ არის
სპონტანური აქტის ბუნებრივი შედე-
გი, არამედ არის ფრუსტრაციისგან
თავის დაღწევის მეთოდი.

პენტეკოტისტები ამბობდნენ, რომ
როცა ადამიანი ბევრს ლოცულობს
და მედიტაციობს, შეუძლია კავ-
შირი დაამყაროს სული წმინდას-
თან. პენტეკოტისტები, რომლებიც
სული წმინდასთან ამყარებდნენ კა-
ვშირს, ლაპარაკობდნენ უცნობ და
ძველ ენებზე, მაგალითად მოკრი
პეროხორა შმეგხანა ან ხარი

მოკრი
პეროხორა

საპანაპე ენტროპიხო კეშეპერ ან
ილაქიუოკო ევფოკაი ეხანავავო
კროკამ, და ფსიქოლინგვისტები
ამბობდნენ, რომ პენტეკოტისტებმა
გამოაცოცსლეს ქვეცნობიერი მეტ-
ალინგვისტური აქტიურობა, რო-
მელიც არსებობს ყოველი ადამია-
ნის ცნობიერებაშიო, ხოლო, სოცი-
ოლინგვისტები კი ამბობდნენ, რომ
ეს არის რეაქცია რელიგიური და
პოლიტიკური დისკურსის დისკრედ-
იტაციაზე, რომელიც, თავის მხრივ,
მიდის ენობრივი კონვენციების დის-
კრედიტაციისკენ, ცხოვრების აზ-
რისა და ისტორიისადმი რწმენის
დაკარგვისაკენ და რადიკალური
ცვლილებების მოთხოვნილებამდე,
რაც გამოისაფება, სწორედ, რომე-
ლიმე ასალი ან უცნობი ენით. ასალი
ენის მოთხოვნილება იგრძნობოდა
იმ დროიდან, რაც სამრეწველო სა-
მყარომ გააძევა ტრადიციული რე-

ლიგიური და საბოგადოებრივი ფა-
სეულობანი, და ზოგი ითხოვდა უნი-
ვერსალური ენის და აგამოგონებას,
რადგან თვლიდა, რომ თუ ყველა
ხალსი ერთ ენაზე ილაპარაკებს,
მთელ მსოფლიოში დამყარდება მშ-
ვიდობა და ასეთ ენებს იგონებდნენ.
პირველი მსოფლიო ომის დროს,
სდებოდა ისე, რომ ეროვნული უმცი-
რესობის ჯარისკაცებს, ან ისეთი მხ-
არეებიდან, სადაც ლაპარაკობდნენ
დიალექტზე, არ ესმოდათ ის ენა,
რა ენაზეც მეთაურები გასცემდნენ
ბრძანებას, რაც იწვევდა სსვადასს-
ვა გაუგებრობებს და სტრატეგიულ
შეცდომებს. და, ერთ ბრეჭონელ ჯა-
რისკაცს 1916 წელს მფრის ტყვიამ
თითი მოაგლიჯა სელბე, პორუჩიკმა
კი ის ექიმთან გააგზავნა, რომელმაც
ჩათვალა, რომ ასეთი უმნიშვნელო
ჭრილობისთვის ექიმთან სიარული
არაპატრიოტულია და ჯარისკაცი
სამხედრო სასამართლოს გადასცა,

თარჯიმანი
შეებულებაში
იყო წასედი

და მას დასვრეტა მიუსაჯეს, და ეს
იმიგომ, რომ თარჯიმანი, რომელსაც
შეეძლო აესსნა, რომ ბრეტონელი
ჯარისკაცი ექიმთან მეთაურმა გააგ-
ზავნა, ამ დროს შვებულებით სახლში
იყო წასული. მეცსრამეტე და მეოცე
საუკუნეების ბლვარზე შეიქმნა ორას
სამოცდათხუთმეტი უნივერასლური
ენა და ყველაზე ცნობილი იყო ეს-
პერანგო. ესპერანგოს მიმდევრები
ამბობდნენ, რომ ესპერანგო ტელე-
გრაფიკით არის, ოღონდ უკეთესია,
ვინაიდან ის თითქოს და აერთიანებს
ადამიანებს უსილავი მავთულით.
ხოლო, 1909 წელს ესპერანგოს
მოძრაობა გაიყო ორ მიმდინარეო-
ბად, რადგანაც ესპერანგისტებად
მიაჩნდათ თავი, როგორც ქრის-
ტიანებს, ისე ანტიკლერიკალებს და
ანარქისტებს, მორწმუნე ესპერან-
გისტები ამბობდნენ, რომ ესპერან-
გოს შეუძლია დააჩქაროს ღმერთის
გამეფება დედამიწაზე, ხოლო ანგი-

კლერიკული და ანარქისტი ესპერანცისტები კი ამბობდნენ, რომ ესპერანცო არის საზოგადოების შეგნების გამოსატულება და წარმოადგენს პირველ ნაბიჯს მსოფლიო რევოლუციის სენ. დასაწყისში კომუნისტები ესპერანცოს პროპაგანდას ეწეოდნენ, მაგრამ 1937 წელს საბჭოთა მთავრობამ ესპერანცისტები დაადანაშაულა კოსმოპოლიტიზმი და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში და სუთიათას სუთას ესპერანცისტს სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს, ან საკონცენტრაციო ბანაკებში იძულებითი მუშაობა მიუსაჯეს. და ერთმა საბჭოთა ლინგვისტმა იწინასწარმეტყველა, რომ როცა კომუნიზმი მთელ მსოფლიოში გაიმარჯვებდა, ასალი მსოფლიო, საერთოდ, ენის გარეშეც შეძლებდა ყოფნას, ვინაიდან მოსდებოდა ყველა მშრომელთა ისეთი სიმბიოზი, რომ ზედმეტი იქნებო-

და ლაპარაკი და სალხი ნელნელა
დაივიწყებდა ენას და ურთიერთობა
ერთმანეთთან ექნებოდათ უბრალო
კონტაქტით და რევოლუციური იდეე-
ბის ძალის მეშვეობით.

ადამიანები, რომლებიც მოუთმენ-
ლად ელოდნენ ოცდამეერთე საუ-
კუნეს, ამტკიცებდნენ, რომ ინფორ-
მაციაზე კონტროლის დაკარგვა
ნიშნავს ინსტიტუციონალური ძა-
ლაუფლების დასასრულს და დე-
მოკრაგიბაციის ბოლო ფაზას, ვი-
ნაიდან ახლა ძალაუფლება იქნება
ცალკეულ, პიროვნებების, ან ინ-
ტერესების ჯგუფების ხელში. და,
რომ ეს გადაიზრდება ტრადიციული
პოლიტიკის დაცემაში, და, რომ ინ-
ტერნეტის მომსმარებელი წარ-
მოადგენს მოქალაქის ახალ ტიპს,
რომელსაც სამყაროს მოქალაქე, ან
პიპერმოქალაქე ჰქვიაო. პიპერმო-
ქალაქე, ისტორიაში, პირველი ზენა-

221

თანასწორობა
პიპერმოქა-
ლაქეთია შორის

ციონალური და სრულიად თავისუ-
ფალი მოქალაქე იყო, ის შეიძლება
გამსდარიყო ნებისმიერი, ვისაც
უნარი ექსებოდა აღარ ეაზროვნა
ძველებურად და დაიწყებდა სხვა-
ნაირად აგროვნებას, ვინაიდან მო-
მავალ მსოფლიო წესრიგში შრომა,
კაპიტალი და ნედლეული არავითარ
როლს აღარ ითამაშებდა. და, რომ
საპარლამენტო დემოკრატიას შეცვ-
ლიდა ჰიპერმოქალაქეთა დემოკრა-
ტია, და ყოველი ჰიპერმოქალაქე
თანასწორი იქნებოდა მეორე ჰიპერ-
მოქალაქისა, და ყველა იცხოვრებდა
ინფერაჟტიურ თანამოქმედებით. და,
ყოველ კვირას, საშუალოდ, ერთი
ენა და 35000 ჰექტარი ტყე ქრე-
ბოდა და დედამიწის მოსასლეობის
96% ლაპარაკობდა 240 ენაზე, მო-
სასლეობის 4% კი, ლაპარაკობდა
5821 ენაზე, და, 51 ენაზე ლაპარაკო-
ბდა თითო- თითო ადამიანი. 1996
წელს გაერთიანებული ერების ორ-

განიგებაციამ გამოაცხადა პროგრამა, რომელსაც ეწოდებოდა UNIVERSAL NETWORK LANGUAGE, და ბევრი ანარქისტი სწავლობდა ეს-ჟურანტოს, სოლო, 1910 წელს, ესპერანტოზე გამოვიდა დამსმარე სახელმძღვანელო, რომელიც განმარტავდა, როგორ უნდა განხორციელებულიყო პოლიტიკურ მოღვაწეებზე თავდასხმა. და 1921 წელს ერთმა ფრანგმა ანარქისტმა, პროლეტარ ესპერანტისტებს მოუწოდა გამოსულიყვნენ ბურჯუაზიული ესპერანტისტების სტრუქტურებიდან, შესულიყვნენ მასთან და ჩამოეყალიბებინათ თავიანთი ფილიალები. სამას სამოცდაათ მილიონ ადამიანს კი 180 სსვადასხვა ქვეყნიდან, საშუალება ქონდა ესარგებლა ინტერნეტით და შეეძლო ურთიერთობა დაემყარებინა იმასთან, ვისთანაც, ერთნაირი ან მსგავსი ინტერნესები ქონდა და ჩართულიყო, მაგალითად, შვეი-

ურიიერთობა

ცარიელ დედათა თანამეგობრობაში, რომელიც რჩევებს იძლეოდა, თუ როგორ უნდა მოექცნენ მოგარდ ბავშვებს, ან სსვადასხვა მოქალაქეებთან, რომლებიც სულიერ ურთიერთობებს ამყარებდნენ უცხოპლანეტელებთან და სურვილი ქონდათ მოეყოლათ ამის შესახებ სსვა მოქალაქეებისთვის, ან კიდევ, ვინიპეგის დაწყებითი სკოლის მოწაფეებთან, რომლებმაც სკოლის ექსკურსიის დროს მკვდარი თრითინა ნახეს და სტილისტური საეარჯიშოების წერის დროს დაწერეს თრითინების ცხოვრების შესახებ. კომუნისტებმა კი სპეციალური ენა დაამუშავეს, და უწოდეს სისებრი, ამ ენაზე ახალ საბიგადოებაში უნდა ელაპარაკათ მანამდე, ვიდრე არ დაიწყებოდა ურთიერთობა რევოლუციური აზროვნების ძალის მეშვეობით. ლინგვისტები ამბობდნენ, რომ სისებრი ენის ამოცანა იყო, შეემცირე-

ბინა ურთიერთობა საზოგადოებრივ
და საზოგადოების გარე სფეროებში
და ამგვარად, მოეშალა აღამიანის
ცნობიერებაში შემეცნებითი ენო-
ბრივი სტრუქტურები. სისებრი ენა,
იმით გამოირჩეოდა, რომ მასში სი-
ტყვები უერთდებოდა კონტაციის
რთულ სისტემას და მიუთითებდა
საზოგადოებაში ძალის მექანიზმე-
ბზე. ამრიგად, სიტყვებს, თანდათან,
აცლიდნენ ძირითად მნიშვნელობას
და ცვლიდნენ იმ მნიშვნელობით.
რომელიც მით უფრო ფართო იყო,
რაც უფრო მაღლა იდგა მოლაპარაკე
პოლიტიკურ იერარქიაში. და როცა
ერთი კომუნისტი მეორეს სვდებოდა,
ამბობდა, მაგალითად როგორ მიღ-
ის რაიონში მკის საქმე? მეორე
კი პასუხობდა, ჩვენ მოვიწვიეთ
გლეხები წლიური გეგმის შეს-
ასრულებლად, ან, ენერგიულად
მოვეკიდეთ შემაჯამებელ დავა-

შემეცნებითი
სტრუქტურები

რაიონში მკის
საქმე

ლებებს, ან კიდევ, ამხანაგებმა შემოიტანეს რაციონალიზაციორული წინადადებები. თავიდან ამ ენაზე ძირითადად ლაპარაკობდნენ პოლიტიკაზე და სამუშაოზე, მაგრამ თანდათან ხალხმა ამ ენით დაიწყო ლაპარაკი ყველაფერზე, ამინდზე, შვებულებაზე, ტელეპროგრამებზე, ან იმაზეც, რომ ცოლმა სმას მიჰყო ხელი და მშობელთა კომიტეტში სიარული აღარ უნდოდა.

ტელეგრაფი

პირველი მსოფლიო ომის დროს ტელეგრაფის, უმთავრესად, იყენებდნენ საიდუმლო ცნობების გადასაცემად, მტრის ცნობების სელში ჩასაგდებად და ყალბი ცნობებისთვის, მტერი შეცდომაში რომ შეეყვანათ. ხოლო, მეორე მსოფლიო ომის დროს, ინგლისელებმა გამოიგონეს კომპიუტერი, საიდუმლო შეცყობინებების გასაშიფრად, ხოლო,

სამოციან წლებში ამერიკულებმა გამოიგონეს ინტერნეტი, რადგანაც ეშინოდათ, რომ რუსები, რომელიმე შემდგომ ომში, ხელში ჩაიგდებენ თავისუფლებისა და დემოკრატი-ისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ინფორმაციას. და სამას სამოცდაათ მიღიონ ადამიანს შესაძლებლობა მიეცა ინტერნეტით ესარგებლა და თავისუფლად და შეუფერსებლად გამოესატა თავისი აბრები. ზოგიერ-თი ტურისტული სააგენტო კი, ხალხს, ინტერნეტის მეშვეობით სთავაზობ-და ვირტუალურ მოგზაურობას ხელ-საყრელ ფასად შორეულ ქვეყნებში, ნებისმიერი ჰიპერმოქალაქის პი-რადი სურვილების შესაბამისად. ქალებს კი შეეძლოთ ინტერნეტით შეეკვეთათ ანონიმური დონორის სპერმა, და ზოგიერთი ლაბორატო-რია სთავაზობდა განსაკუთრებუ-ლად სარისსიანი მამაკაცების, ას-ტროფიზიკოსების, ინჟინრების, კა-

სარისსიანი
მამაკაცების
სპერმა

ლათბურთელების და ა.შ. სპერმას. ქალებს შეეძლოთ აერჩიათ სპერმა ასთხუთმეტი კრიფტოუმის მიხედვით, მოქალაქეობრივი და წარმოშობის, რასის და სარწმუნოების, განათლების დონის და გატაცებების, ჰობის და სამუშაო ადგილის, სიმაღლის და წონის, სისხლის ჯგუფის და თმის ფერის, ბეჭვიანობის სისშირის და სათესლე პარკის მოცულობის და ა. შ. შეეძლოთ ეყიდათ, მაგალითისთვის, ოცდათექვსმეტი წლის ავლანური წარმოშობის ამერიკელი ბიოლოგის სპერმა, რომელსაც ქონდა შავი თმა და ცისფერი თვალები, ან ორმოცდაორი წლის ავიაციის ინჟინრის, კანზასელის, ბაპტისტის რჯულის, ჰოლანდიურ-უკრაინული წარმოშობის სპერმა, ანდა ჩვიდმეტი წლის ჩინური წარმოშობის, ნიჭიერი მოჭადრაკის სპერმა, პატარა სათესლე პარკით. ერთი დოზა სპერმა დაახლოებით ათასსუთა-
228

სი ამერიკული დოლარი ლირდა,
საფოსტო გადასახადის ჩათვლით,
ქალებს, ასევე, შეეძლოთ შეეკვეთათ
ჩანაწერი სპერმის ავტორის ხმით.
ჩანაწერში იყო მოგესალმებით!
დღეს მართლაც რომ მშვენიერი
დღეა, თითქოს შექმნილი ბუნე-
ბაში სახეტიალოდ. ვიმედოვნებ,
ჩემით კმაყოფილი დარჩებით.
ერთ ქალს კი, რომელსაც სპერმა
ქონდა შეკვეთილი, გაგება უნდოდა,
ხომ არ მისცემდნენ მას ათპროცენ-
ტიანი შეღავათით, რადგან სპერმის
ავტორი ჩლიფინებდა.

სამრეწველო საზოგადოების განვი-
თარებასთან ერთად, ევროპასა და
ამერიკაში ფართოდ გავრცელდა
ალკოჰოლიზმი და ბევრი ადამიანი
თვლიდა, რომ ალკოჰოლი კაცობრი-
ობის ჭირია და რომ ის საზოგადოე-
ბის ბუნებრივ განვითარებას აფერ-

ბუნებაში ხე-
გიაღ

ალკოჰოლიზმი

სებს. ამერიკელები თვლიდნენ, რომ
ალკოჰოლიზმი ევროპული საზოგა-
დოების ტიპიური ავადმყოფობაა
და რომ ის შეერთებულ შტატებში
შემოიტანეს, ძირითადად, ირლანდ-
იელებმა და იტალიელებმა და ზოგი
ამერიკელი ითხოვდა მიღებულიყო
სათანადო ზომები, რათა მომავალ-
ში, შეერთებულ შტატებში, წინას-
წარი ფსიქიატრიული და სოციალ-
ური გამოკვლევების გარეშე, არ
შემოეშვათ ირლანდიელები და იტ-
ალიელები. და 1919 წელს ამერიკის
მთავრობამ აკრძალა ალკოჰოლის
გაყიდვა და მოსმარება, 1921 წელს
კი, გამოაცხადა ჩამოსახლებულთა
კვოტები, რაც 80% -ით ამცირებდა
იტალიელ და ირლანდიელ ჩამო-
სახლებულთა რაოდენობას. 1914
წელს კი ამერიკელი ფსიქიატრები
დაუინებით მოითხოვდნენ, დაჩქარე-
ბული წესით გაეკეთებინათ სტერილ-
ზოგია ლოთებისთვის ჯანმრთელი

და სრულფასოვანი საზოგადოების
შენარჩუნების მიზნით. ამერიკელე-
ბი ამაყობდნენ, რომ შეერთებულ
შტატებში შეიძლებოდა ჯანმრთე-
ლი და სრულფასოვანი ცხოვრე-
ბით ცხოვრება, მაშინ როცა ევრო-
პაში ხალხი ეწეოდა და სვამდა და
დაბინძურებული ჰაერით სუნთქა-
ვდა, 2000 წელს კი ამერიკელებმა,
ალაბამას შტატში, გააუქმეს კანო-
ნი, რომელიც კრძალავდა შერეულ
ქორწინებას განგებთან. ამერიკელი
ექიმები ხალხს ურჩევდნენ სუფთა
ჰაერით სუნთქვას, სპორტგზე და ვე-
ლოსიპედით სიარულს და ამ გზით
შეენარჩუნებინათ კარგი ფორმა.
ველოსიპედით უნდა ევლოთ უმ-
თავრესად, ამერიკელ კაცებს,
რადგანაც ველოსიპედი შესაფერისი
ნამდვილად არ იყო ქალებისთვის,
და ექიმები ამბობდნენ, რომ ველო-
სიპედი ქალებისთვის პირველ რიგში
სექსუალური პარტნიორია, რომ ვე-

231

ქალების
გარყვნილი
პრაქტიკა

ლოსიპედის საჯდომის ხასუნი სასქე-
სო ბაგეებზე და კლიფორზე იწვევს
ქალების აღგზნებას და მიყავს ისინი
გარყვნილი სექსუალურ პრაქტიკას-
თან. და იმ მიზნით, რომ შეეშალათ
ხელი ქალების გარყვნილ სექსუალ-
ური პრაქტიკისთვის, ერთხანს, უშ-
ვებდნენ ველოსიპედის სპეციალურ
უნაგირებს შუაში ნასვრეტით, რო-
მელიც, მეტად მოუხერხებელი იყო.
ველოსიპედით სიარული საკმაოდ
გავრცელებული იყო ოთხმოციან და
ოთხმოცდაათიან წლებში, ვინაიდან
განვითარებულ ქვეყნებში ხალხს
უნდოდა ჯანმრთელი ცხოვრება, აქ-
ტიური საკურორტო დასვენება და
ა.შ. ხალხი ველოსიპედით ღარიბ
ქვეყნებშიც დაღიოდა, თუმცა იმი-
ტომ, რომ მათ არ ქონდათ ავტომო-
ბილის და მოტოციკლეტის ფული, და
სიერა-ლეონაში მოსახლეობის 31%
ქონდა ველოსიპედი. მდიდარ ქვეყ-
ნებში, საღაც ბევრი ავტომობილი

იყო, ველოსიპედისფები ქალაქებში
უანგბადის სპეციალურ ნიღბებს ატ-
არებდნენ, ჯანმრთელობისთვის მა-
ვნებელი გამონაბოლქვი გამოებისგან
თავის დასაცავად. ამონაბოლქვი
გამოები აბინძურებდნენ პაერს და
ატმოსფეროში გამოყოფნენ ნახ-
შირორეანგის ოქსიდებს, რომელიც
მონაწილეობდა იმ მოვლენაში,
რასაც სათბურის ეფექტი ეწოდება
და რისი ბრალიც იყო, დედამიწაზე
სითბო მაღლა რომ იწევდა. თავი-
დან სათბურის ეფექტი აუცილებელი
იყო, დედამიწაზე სიცოცხლე და გო-
ნიერი არსებანი რომ წარმოშო-
ბილიყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც
სალსმა სამრეწველო ცხოვრებით
დაიწყო ცხოვრება, აირების კონ-
ცენტრაციამ ატმოსფეროში იმაგა,
და მეცნიერები ამბობდნენ, რომ ეს
კლიმატურ დარღვევებამდე მიგვი-
ყვანსო. გერმანიაში კი, წარმოების
უფროსები თანამშრომლებისგან, 233

მაღაბიის
კომიუნისტური
სამხახურიდან
დაითხოვეს

რომლებსაც ძეგლი ავტომობილები
ყავდათ, ითხოვდნენ, ავტომობი-
ლი არ დაეყენებინათ წარმოების
შესასვლელთან, ვინაიდან ეს ცუდ
შთაბეჭდილებას დატოვებდა, და
1999 წელს ერთი კომიუნისტური სამ-
სახურიდან დაითხოვეს იმისათვის,
რომ თავის ძველ და ჭუჭყიან ავტო-
მობილს, სიბარმაცის გამო პირდა-
პირ შესასვლელთან აყენებდა და
არ ითვალისწინებდა საყვედურებს.
გერმანიაში მანქანას რეცსავდნენ
წელიწადში ცხრამეტჯერ, ინგლის-
ში თოთხმეტჯერ, საფრანგეთში
ათჯერ, ხოლო ამერიკაში ოცდარ-
ვაჯერ. ავტომობილებს უფრო დიდი
მნიშვნელობა ქონდათ გერმანულ
და ანგლოსაქსურ ქვეყნებში, ვიდრე
ლათინურ ქვეყნებში, სადაც უფრო
დიდი მნიშვნელობა ქონდა იმას,
თუ, რამდენად ელეგანტური იყო
ვინმე და კარგი იყო, თუ არა მისი
ჰალსფუსი, ფესსაცმელი და ა.შ. 1939

წელს კი, გერმანელებმა გამოსცეს კანონი, რომელიც ებრაელებს მანქანის მართვას უკრძალავდა და თუ საჭესთან წააწყდებოდნენ, საკონცენტრაციო ბანაკში აგზავნიდნენ.

ამიშები ინტერნეტის და ომის, სამომხმარებლო საზოგადოების, მოწევის და აღკოპოლის წინააღმდეგი იყვნენ, არ მოსწონდათ ელექტრონი და ინათებდნენ ნავთის ლამპით, ცხოვრობდნენ კოლონიებში, ქალაქში დადიოდნენ თთხთვალათი და ყიდდნენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს, ეკოლოგიურ ყავის საფქვავებს და ეკოლოგიურ ღუმელებს და ნავთის ლამპებს, სანთლებს და სასვეტებს, ცილის ასათქვეფებს და მოუთმენლად ელოდნენ აპოკალიპსის, რომელიც ინტერნეტს და ომებს და ა. შ. ბოლოს მოუღებდა და უფლებას მისცემდა მათ შესულიყვნენ გამორჩეულთა რიგებში და 235

უსიმიანის ჭამა

მაცხოვრის მსარმარჯვნივ დამსხ-
დარიყვნენ. სოლო, იეღოვას მოწ-
მენი კი ამბობდნენ, რომ მოწევა და
ალკოჰოლი სისხლს აფუჭებდა და
უარს ამბობდნენ სისხლიანი ძესვი-
სა და სისხლიანი ზელცის ჭამაზე და
უარყოფდნენ სისხლის გადასხმას,
რადგანაც სისხლის არევა ეწინააღ-
მდეგებოდა ღმერთის ნებას ისევე,
როგორც ციმიანის ჭამა და ალკო-
ჰოლი, და ქორწინების გარეშე სე-
ქსი. არ უნდოდათ, ასევე, ჯარში
სამსასური და ამბობდნენ, რომ
მათ აქვთ ღვთიური სასუფეველი
და საერო ამბებთან არაფერი ეს-
აქმებათ, და იეღოვას მოწმეთაგან,
ბევრი გერმანიისა და საბჭოთა კა-
ვშირის საკონცენტრაციო ბანაკებში
დაიღუპა, რადგან, თავიანთი პოზი-
ციით ისინი ძირს უთსრიდნენ რევო-
ლუციურ იდეალს და საზოგადოება-
ში ავრცელებდნენ ასოციალურ და
კონფრონტაციულუციურ იდეებს. კო-

მუნისტები განასხვავებდნენ თექვეს-
მეცი კატეგორიის ასოციალურ და
კონტროლურულურ ელემენტს და
1919 წელს გამოაცხადეს კვოტები,
რომელიც აუცილებელი იყო საბ-
ჭოთა კავშირის სალკეული აღმინ-
ისტრაციული ტერიტორიებისთვის.
პირველი საორიენტაციო რიცხვი
განსაზღვრავდა ასოციალური და
კონტროლურულური ელემენტების
იმ რაოდენობას, ვინც ამ რაიონში
უნდა დასვრეტილიყო, მეორე კი
ადგენდა იმ საორიენტაციო ელე-
მენტების რაოდენობას, რომლებიც
უნდა გაეგმიავნათ საკონცენტრა-
ციონ ბანაკებში. საბჭოთა მთავრო-
ბამ შეიმუშავა, აგრეთვე, კრიტე-
რიუმების ჩამონათვალი, რომლის
მისედვითაც მოქალაქეებზე გას-
ცემდნენ სურსათის ბარათებს და
ამ ბარათებს ეწოდებოდა კლასო-
ბრივი ულუფები. თავდაპირველად,
სიაში შედიოდა მოქალაქეთა ხეთი 237

კატეგორია, მაგრამ შემდეგ კომუნისტებმა ჩათვალეს, რომ კრიტერიუმების რაოდენობა სათანადოდ არ ასასავდა საზოგადოების პოლიტიკურ და სოციალურ კლიმატს და სია გამარტინაციას მოვალეობა არ მიისახარისკაცები და პოლიტიკური კომისრები, სოლო, ბოლო, დამპალი ბურჟუატი, უსაქმერები, ხულიგნები, მღვდლები, საეჭვო ეროვნების მოქალაქენი და დანარჩენი ასოციალური ელემენტები, რომლებიც ელოდნენ, რომ ინტერნირებული იქნებოდნენ საკონცენტრაციო ბანაკებში. და, როცა 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციამ იფეთქა, ზოგიერთი მღვდლი ამბობდა, ეს აპოკალიფსის დასაწყისია და ადამიანები უნდა მოემზადონ ქვეყნის დასასრულისთვისო. ძალიან მომრავლდა მეოცე საუკუნეში აპოკალიპტური სექტები და, ზოგიერთმა მათგანმა მოაწყო თავისი

წევრების და მიმდევრების ჯგუფური
თვითმკვლელობები, რადგან ეს იყო
ყველაზე ჭეშმარიტი გზა უბრუნვე-
ლეყოთ მომავალი იმქვეყანიურ
ცხოვრებაში. და ზოგიერთი სექტა
მიწისქვეშა ბუნკერებს იკეთებდა
საკუთარი ელექტრო გაყვანილო-
ბითა და კანალიზაციით, რათა მათ
და მათ მიმდევრებს თავშესაფარი
ქონიდათ შეალებულ სანაში, რო-
მელიც უნდა დამდგარიყო ქვეყნის
დასასრულის შემდეგ, იქამდე, ვი-
დრე არ დადგებოდა განკითხვის
დღე. 1999 წელს კი ამიშებმა გაყიდეს
თორმეტჯერ მეტი ყავის საფქვავი
და სანთლები და ცილის ასათქვეფი
და ა.შ., ვიდრე ჩვეულებრივ, და ეს
იმიტომ, რომ ხალსს ეშინოდა, MIL-
LENTUM BUG მწყობრიდან გამოი-
ყვანდა საოჯახო ელექტრო მოწყ-
ობილობებს და ელექტრო გაყვანი-
ლობებს. სოციოლოგები ამბობდნენ,
რომ ელექტრონული სისტემების 239

საბეჭისწერო
მომენტი

ავარიების გამო შიში, რომელიც მწყობრიდან გამოიყვანს ტელევიზორებს, მიკროფალლურ ღუმელებს და ბანკომატებს, ხდება ქვეცნობიერი და დამთრგუნველი მიღენარიბმის გამო, ხოლო, ზოგიერთი ადამიანი სთვლიდა, რომ ეს იქნებოდა საბეჭისწერო მომენტი დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიაში, რომელიც დასრულდებოდა ქაოსით, სოციალური მღელვარებით და ა. შ. და დასავლეთის საზოგადოებას საშუალებას მისცემდა გამოელწია ტექნოლოგიური დიქტატურიდან და შესულიყო ახალ საუკუნეში, რომელიც იქნება ჰარმონიული, სულიერი და მისტიური. ხოლო, ზოგიერთ ქვეყნებში სელისუფლება მარაგისთვის ფულს ბეჭდავდა., კანადაში კი მთავრობამ მოაწყო მოსახლეობის სასწავლო ევაკუაცია, ინგლის-სა და დანიაში კი მოქალაქეები იკეთებდნენ შაქრისა და ფერების

მარაგს და ინასაედნენ აბაზანებში, ფინეთში, აუტიაქებში იოდის მთელი მარაგი გაიყიდა, რომლის გამოყენებასაც ბირთვული კატასტროფის შემთხვევაში ურჩევდნენ და ფინელებს ეშინოდათ, რომ MILLENIUM BUG მწყობრიდან გამოიყვანდა რუსეთში ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების სისტემას. სოციოლოგები ამბობდნენ, რომ MILLENIUM BUG ჯდება სოციალური წარმოსახვის ლოგიკაში თანამედროვე ეპოქაზე და რომ მეოცე საუკუნეში ბოროტებამ მიიღო ინფინიტესიმალური, ანუ უსაზღვროდ მცირე რაღაცის სახე, და რომ ადამიანებს ახლა ეშინიათ არა დიდი და რთული საგნების, ლოკომოტივების და ა.შ. არამედ ატომების და ვირუსების, გენების და პრიონების. ხოლო ფსიქოანალიტიკოსები ამბობდნენ, რომ MILLENIUM BUG, კაცმა რომ თქვას, მამისმკვლელის

სოუიალური
წარმოსახვა

როლს თამაშობს, რომელიც ახალ ტექნოლოგიურ თაობას დამოუკიდებლობის, ნეტარებისა და ტკბობის საშუალებას მისცემსო.

ბუსენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის შესასვლელი ჭიშკრის თავზე ასეთი წარწერა იყო თითოეულს დამსახურების მიხედვით. ბუსენვალდის ბანაკი მდებარეობდა ეტერსბერგის მთის ფერდობზე და თავიდან ასე ეწოდებოდა. სახელწოდება ეტერსბერგი სასიქადულოა გერმანიის ისტორიაში, ვინაიდან, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში აქ ჩამოდიოდნენ ცნობილი მწერლები და ფილოსოფოსები, სეირნობდნენ, მუხის ქვეშ ისხდნენ და პაექრობდნენ ევროპული ცივილიზაციის შესახებ. საკონცენტრაციო ბანაკი ეტერსბერგი 1937 წელს გაისანა, მაგრამ, ერთი წლის შემ-

დეგ, ნაცისტური პარტიის კულტურის განყოფილებამ ვაიმარში გადაწყვიტა, რომ შეუფერებელია საკონცენტრაციო ბანაკის სახელი დაუკავშირდეს გერმანელი ხალხის კულტურულ მემკვიდრეობას, და სახელმწიფო დაწესებულებებს სახელის გადარქმევა მოსთხოვა. და 1937-1945 წლებში ბუსენეალდში დაიღუპა ნაცისტური გერმანიის 50000 მტერი, სოლო, 1945-1950 წლებში, ბუსენვალდში დაიღუპა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 7000 მტერი. ბუსენვალდის ბანაკი პოლივალენტური საკონცენტრაციო ბანაკი იყო, სასიკვდილო და შრომითი, და პაგიმრებს იქ ჩასვლის შემდეგ წინამსარგე უკეთებდნენ რიგითი ნომრის გატუირებას. ომის პირველ თვეებში, პაგიმრები იღებდნენ ღია ბარათებს მასზე დაბეჭდილი ტექსტებით, ასლობლებისთვის რომ გაეგზავნათ. 243

ბარათებზე ეწერა საცხოვრებელი
კარგია, ვმუშაობთ აქ, კარგად
გვექცევიან და ბრუნავენ ჩვენ-
ზე. ასლობლები როცა იღებდნენ
ამ ბარათებს და მოენაფრებოდათ
ხოლმე მისი გამომგზავნი, მიდ-
იოდნენ გერმანულ დაწესებულე-
ბებში და თავიანთ ნათესავებთან
ამა თუ იმ ბანაკში ერთად ყოფნის
სურვილს გამოთქვამდნენ. ერთმა
ბერძენმა ტყვემ კი ბუხენვალდიდან
მამას ბარათი გაუგზავნა პირგოს-
ში, და სამი თვის შემდეგ, მამამ ჩა-
მოაკითხა, ვაუი მამას ბაქანზე ეცა
და მოახრჩო, მანამ გერმანელები
მის დახვრეფას მოასწრებდნენ.

საკონცენტრაციო ბანაკებში სა-
მეცნიერო ცდებსაც ატარებდნენ.
უმეტესად, ეს იყო სტერილიზაციისა
და კასტრაციის სსვადასსვა მეთოდე-
ბი, ან ტკივილგამძლეობის ტესტირე-

ბა, მას, ძირითადად, უფარებდნენ
ასალგამრდა, ფიზიკურად ძლიერ
პატიმრებს, რომელიმესთვის, მაგ-
ალითად შეიძლება მოეჭრათ უესბე
პატარა ნაჭერი, ან ძვლამდე აემროთ
სორცი და ა.შ. ან სხვადასხვა ცდებს
ტყუპებზე, რომელიც ასალი ჰიპო-
ტეზის ფორმულირების საშუალებას
იძლეოდა გენეტიკაში, და რაზე-
დაც, სამეცნიერო წრეებში ბევრს
ლაპარაკობდნენ. და თუ, პატიმართა
შორის აღმოჩნდებოდა ვინმე, ვინც
ებრაელს გავდა, თავს აჭრიდნენ,
მას პრეპარირებას უკეთებდნენ და
აგზავნიდნენ გერმანულ სკოლებში,
სკოლის მობარდებს რომ შეძლებო-
დათ პირველივე შეხედვით ეცნოთ
ებრაელი. ებრაელების ცნობა შეი-
ძლებოდა მოკაუჭებული ცსვირით,
ფლიდი თვალებით, არაპირდაპირი
მჩერით და გრძელი, ძვალ-ტყავა
თითებით, სშირად, სუსტები და ავად-
მყოფერები იყვნენ, ვინაიდან ისინი

უდები ტუუპებში

ებრაელებს
ქონდათ მო-
კაუჭებული ცს-
ვირი

ბუნებამ გააძევა თავის წიაღიდან. მედიცინამ მეოცე საუკუნეში დიდი პროგრესი განიცადა, მეცნიერებმა გამოიგონეს პენიცილინი და სავალ-დებულო აცრები, სისხლის გადასხ-მა და კონფრაცეპტივები, ერექციის მიღწევის საშუალებები და ქალები სამშობიაროში აჩენდნენ და ფეს-მძიმობის დასმარებას იღებდნენ, ადამიანები უკვე აღარ კვდებოდნენ სახლში, არამედ კვდებოდნენ საა-ვადმყოფებში, გარემოცული ყვე-ლა იმ სიკეთით რისი შეთავაზებაც შეეძლო თანამედროვე სამედიცინო მომსახურებას. ხოლო, ჰოლანდიელ-მა მეცნიერებმა გამოიგონეს ტრანს-გენური ძროსები, რომელთა ემბრი-ონებში ადამიანის გენები შეყავდათ და როცა ძროსები იზრდებოდნენ, ადამიანის რბეს იძლეოდნენ, რაც გაფანტული სკლერობის პროფილაქ-ტიკისთვის იყო რეკომენდირებული. მაგრამ ადამიანები, რომლებსაც

ახალი საუკუნის სჯეროდათ, ამ-
ბობდნენ, რომ თანამედროვე მე-
დიცინა ადამიანში კლავდა თვით-
რეგულაციის უნარს, და ექიმთან
სიარულის და პროფილაქტიკის მა-
გივრად, ადამიანებს ავთოთერაპიის
სპეციალურ მეთოდებს ურჩევდნენ,
რომლის მეშვეობითაც პაციენტები
პოზიტიური აზრებით ასდენდნენ თა-
ვიანთი მენტალური სტრუქტურების
მოდიფიცირებას და მუტაციას გან-
იცდიდნენ ასალ ფიზიოლოგიურ
მდგომარეობაში, რომელშიც ისინი
უკვე აღარ იყვნენ ავად. და ისინი
ამბობდნენ კიდევ, რომ მსოფლიოში
ნამდვილ ცვლილებას გამოიწვევს
არა სამეცნიერო რევოლუცია, ან
ასალი რელიგია, პოლიტიკური
ან ეკონომიკური რეფორმები, არ-
ამედ ინდივიდუალური სპირიტუ-
ალიზაცია, რომელც ადამიანს გახ-
დის პასუსისმგებლობის გრძნობით,
ტოლერანტულს, და ისტორიულ 247

პოპიკური აბ-
რუბი

მესსიერებას კოსმიური მესსიერებით ჩანაცვლებსო. არიბონაში კი ამერიკელებმა დააკანონეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ თვითმკვლელობა და პოლანდიელებმა დააკანონეს ეუთანაზია. და აღარავინ აღარ იყო უაღრესად ღარიბი და ყველას ქონდა მაცივარი და ტელევიზორი, ანაზღაურებული შეებულება და ა. შ. მეცნიერებმა კი გამოიგონეს ვინილი და ბაკელიტი და იგელიტი და მიკროპროცესორები, გამომგონებლებმა კი მოიგონეს ერთჯერადი, გადასაყრელი საგნები, სანთებელები და კალმები, საპარსი მანქანები და საფუთავები, ბოთლები და შუასადებები და პამპერსები და ფოტოაპარატები და შპრიცები და სოციოლოგები ამბობდნენ, რომ საზოგადოება შედის ერთჯერადი მოსმარების საგნების ასალ კულტურულ ერაში, და განვითარებული ქვეყნები გამდიდრდნენ და უმუშევრობა გაიზარ-
248

და, ვინაიდან, რაც უფრო ნაკლები
სალსი მუშაობდა, მით უფრო მეტი
მდიდრდებოდა. სარეკლამო სააგენ-
ტოები იგონებდნენ თრიგინალურ
და მახვილგონივრულ რეკლამ-
ებს და სადაბლვევო კომპანიები
აცხადებდნენ, იყავით რეალისტე-
ბი, მოითხოვეთ ჩვენგან შეუ-
ძლებელი, ხოლო ავტომობილების
მწარმოებლები კი აცხადებდნენ,
წარმოსახვამ ბოლოს და ბო-
ლოს მიიღო ძალაუფლება,
სარეცხის ფსვნილების მწარმოე-
ბლები კი აცხადებდნენ ლურჯი
იქნება ნაცრისფერი, ვიდრე
მას არავინ მოიფიქრებს, ხოლო
დემოკრატიულ ქვეყნებში მიიღეს
კანონი, რომლის მიხედვითაც პრე-
ზიდენგს უფლება არ ექნება თავისი
პოსტი დაიკავოს ერთ ან ორ საარ-
ჩევნო ვადაბე მეტ სანს, რომელიც,

როგორც წესი გრძელდებოდა ოთხ
ან სუთ წელიწადს, რათა უმრუნველყოფილი იყოს ახალი, გაუსვეთელი
აზრების მოზიდვა და სამოგადოების
დინამიური განასლება. სოლო, ფი-
ლოსოფოსები კი ამბობდნენ, რომ
მსოფლიო მივიდა ასლების ცივილი-
ზაციამდე, რომ ყველაფერი ირგვ-
ლივ არის მსოლოდ ასლი სსვა ასლ-
თა ასლებისთ და ა.შ. სოლო ექიმებ-
მა კი მოიფიქრეს მეთოდი, როგორ
დაიბადონ ბავშვები სქესობრივი
აქტის გარეშე სპერმატოზოიდის და
თესლის ინკუბაციორში მოთავსებით.
და, ბავშვებზე, რომლებიც ამ გზით
დაიბადნენ, ამბობდნენ, სინჯარის
ბავშვები არიანო, პირველი ბავშვი
სინჯარიდან 1978 წელს დაიბადა,
ექიმი, რომელმაც ეს მეთოდი მოი-
გონა, სთავამობდა, კვერცხი ინკუ-
ბაციორში გაეყოთ ორად და მიეღოთ
სათადარიგო ტყუპები. ერთ ტყუპის
ცალს მოათავსებდნენ დედის საშვი-

ლოსნოში, მეორეს კი საყინულეში და შემდეგ საყინულის ტყეპის ცალი თავის ორგანოებს საშეილოსნოდან დაბადებულ ტყეპის მეორე ცალს მისცემდა, როცა ის გაიზრდებოდა და მისი ორგანოები დაბურდებოდა.

სსვა არასრულფასოვან რასებად ითვლებოდნენ ბოშები და სლავები. ბოშები იყვნენ შესახედად მუქი და შეზღუდული გონებრივი პოტენციალით და ქონდათ თანდაყოლილი მიღრეკილება ქურდობისა და მკვლელობისკენ. სლავებსაც ქონდათ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობანი და ამეღავნებლნენ თანდაყოლილ მიღრეკილებას მომსახურებისა და მონობისაკენ, მაგრამ ამავე დროს იყვნენ გარმაცნი და არ შესწევდათ უნარი ყურადღება მოეკრიბათ უმარტივეს სამუშაო მოქმედებებზე. ნაცისტები სლავებს ეწოდებლნენ

ბოშები იყენებ
შესახედად
მუქი

გრძელი თა-
ვისქაღიანი
სლავები.

და ეს ნიშნავდა, რომ ისინი დგან-
ან განვითარების უფრო დაბალ
საფეხურზე, ვიდრე ადამიანები,
MENSCHEN,-კი იმ სლავებს კი,
რომლებსაც გრძელი თავის ქალა
ქონდათ და შეეძლოთ დაემტკიცები-
ნათ, რომ გერმანული სისხლი ერი-
ათ, უნდა ჩამორთმეოდათ შეილე-
ბი და მოეთავსებინათ გერმანულ
ოჯახებში შეილობილად. ნაცისტე-
ბი თვლიდნენ, რომ სლავების დაას-
ლოებით 12% გრძელი თავის ქალით
არის პოლონეთში, კარპატისპირა
რესეთში 25%, უკრაინაში 35%, და
ჩესეთში 50%. ბოშები და ებრაელე-
ბი იყვნენ LEBENSUNWER, რაც
ნიშნავდა, რომ ისინი ღირსნი არ
იყვნენ სიცოცხლის, და საკონცენ-
ტრაციო ბანაკებში დაიღუპა ნახევა-
რი მილიონი ბოშა და სამი მილიონი
ებრაელი, და ორმილიონნახევარი
ებრაელი დაიღუპა გეტოში, ალების,
და მასობრივი სიკვდილით დასჯის

ფილოსოფიური დოქტრინა, რო-
მელიც ქადაგებდა, რომ ადამიან-
ისთვის დამასასიათებელი კეთილგ-
ონიერება და მოვლენებში ჩაწვდო-
მის უნარი საბუნებისმეტყველო და
სოციალური მეცნიერებების შედე-
გია, და ჭეშმარიტებად შეიძლება
ჩაითვალოს მსოლოდ ის, რაც მეც-
ნიერული მეთოდებით შემოწმდება
და რომ მეტაფიზიკა სისულეელეა.
პოზიტივისტებს არავითარი ღმერ-
თის არსებობის არ სჯეროდათ. მა-
გრამ, თავიდან, ზოგიერთ მათგანს
დასაშვებად მიაჩნდა რაიმე ბე ყო-
ფიერების არსებობა, ეს მეცნიერუ-
ლად დასაშვებია, მაგრამ ამას ვერ
შეამოწმებო. თუმცა, მეცნიერებს მი-
აჩნდათ, რომ სიცოცხლე გარემოე-
ბათა ჰარმონიის შედეგად გაჩნდა,
და რომ, წესრიგი აღმოცენდა ქაო-
სიდან და არ სჯეროდათ, რომ სა-
მყარო შეიქმნა 6000 წლის წინ,

წესრიგი
აღმოცენდა
ქაოსიდან

ჰიანული ტრადიციის მიხედვით.
ასტრონომიზიკოსები კი ამბობდნენ,
რომ მთელი საქმე კვარკაში, აფომ-
სა და აირებშია და სამყარო 12 დან
15 მილიარდი წლისაა, ის მუდმივად
დიდდება, მაგრამ, მათ არ იცოდნენ,
შემდგომშიც კვლავ გადიდდებოდა,
თუ, ერთ მშვენიერ დღეს დაიწყებ-
და დაპატარავებას, ან შეიძლება
აუეთქებულიყო კიდეც. მორწმუნენი
თვლიდნენ, რომ ადამიანი, შესა-
ძლოა, მართლაც წარმოიშვა მაი-
მუნისგან, კვარკისგან, აირებისგან
ან აფომებისგან, მაგრამ ეს საქმეს
სულაც არ ცვლის, რადგანაც, ვი-
ღაცამ ხომ შექმნა კვარკაც და მაი-
მუნიც. და საქმე ის კი არ არის,
ამბობდნენ ისინი, რომ სამყარო 6
ათასი, თუ 15 მილიარდი წლის წინ
შეიქმნა, არამედ მნიშვნელოვანია
ის, თუ რა იყო უურო ადრე. ამაზე
კი მეცნიერებას ხელი არ მიუწვდე-
ბაო. ასტრონომიზიკოსები ამბობდნენ, 29

დროს და გზად მიმავალი საკონ-
სენტრაციო ბანაკებისკენ. და 1941
წელს, სპეციალურმა სამხედრო ერ-
თეულებმა მიიღეს EINSATZGRUP-
PEN, მითითება, რაც შეიძლება მეტი
ებრაელი დაეხვრიტათ ოკუპირე-
ბულ რაიონებში, და ნახევარი წლის
განმავლობაში დახვრიტეს 800000.
სოლო გერმანელი ჯარისკაცების
საპონჩე დიდი ასოებით იყო ამობე-
ჭდილი RJE, და ბოგი ისტორიკოსი
ამბობდა, რომ ეს იყო შემოკლე-
ბული REINES JUDENFETT, წმინდა
ებრაული ქონი, სხვა ისტორიკოსები
კი ამბობდნენ, რომ ეს იყო აბრივი-
აფურა ცხიმისა და გამწმენდი
საშუალებების საწარმოო ცენ-
ტრი. 1905 წელს კი, გერმანიის ინ-
სტიტუტმა ბოშათა საკითხის შეს-
ასებ გამოსცა ZIGEUNERBUCH
ბოშების წიგნი, რომელშიც ფსიქი-
ატრები, ანტროპოლოგები და ბი-

ოლოგები სსნიდნენ, თუ რატომ
იყვნენ ბოშები არასრულფასოვნე-
ბი და რით შეიძლება ევნოთ მათ
საზოგადოებისთვის. და 1922 წელს,
გერმანელებმა მოიფიქრეს ბოშები-
სთვის ანტროპომეტრული მოწმობა,
რომელიც დაბალების მოწმობას ცვ-
ლიდა, და 1939 წელს გადაწყვიტეს
თავი მოეყარათ ბოშებისთვის სა-
კონცენტრაციო ბანაკებში და გადა-
სულიყვნენ ბოშათა საკითხის საბ-
ოლოო გადაწყვეტამდე, რომელსაც
იმ დროს ეწოდებოდა გლობალური
ეუთანაბია. და 1941 წელს, ერთმა
გრძელ თავისქალიანმა პოლონელ-
მა მოიფიქრა ასალი უნივერსალური
ენა, გლობალგერმან. 1936 წელს კი
ნაცისტებმა შექმნეს ორგანიზაცია,
სასელწოდებით LEBENSborn,

ცხოვრების
წყარო

ცხოვრების წყარო, სადაც ანაყოფი-
ერებდნენ გერმანელ ქალებს, რომ-
ლებიც ოცნებობდნენ თავისი პირმ-
შო, სამშობლოსთვის შეეთავაზები-

ნათ. ორგანიზაცია მართავდა რვა
გამანაყოფიერებელ ინსტიტუტს, თე-
ქესმეტ სამშობიარო სახლს და ექვს
საბავშვო სასლს, სადაც SCHUTZ-
STAFFEL ის რიგებიდან, გამორჩეუ-
ლი მამაკაცების მიერ განაყოფიერე-
ბული გერმანელი დედების შეიღების
გარდა, იმრდებოდნენ გრძელ თა-
ვისქალიან სლავების ბავშვებიც, და
ინსტიტუტის შესასვლელ კარზე ზე-
მოთ იყო ემბლემა წყარო და პატა-
რა დათვის თანავარსკვლავედი დიდ
პოლარულ ვარსკვლავთან ერთად,
რაც ნორდიული სისხლის სიმბო-
ლოს წარმოადგენდა. 1944 წელს კი
ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანა-
კის ადმინისტრაციამ ბრძანება მი-
იღო, სასწრაფოდ გაეგზავნათ გაბის
კამერებში ყველა ბოშა, რომელიც
კი დარჩა, და ადმინისტრაციამ გა-
მოაცხადა რიგგარემე ღამის ცელები,
რომელსაც ეწოდებოდა ბოშური ღა-
მები. ამასობაში, იქმნებოდა ახალი 255

უნივერსალური ენები, კოსმოლინგვო, ლატინულუს, მუნდიალ, კოსმან, კომუნ, ნეუტრალ და სიმპლიმო. და 1985 წელს, ებრაელთა მსოფლიო საბჭომ გააკეთა განცხადება, რომ ებრაელები ღრმა თანაგრძნობას გამოხატავენ ბოშა ხალსის მიმართ, მაგრამ ბოშების ეუთანაზია არ იყო ნამდვილი გენოციდი, რადგანაც ის ეყრდნობოდა არა ეთნიკურ, არამედ სოციალური ევგენიკის საფუძველს.

მოგვიანებით ისტორიკოსებმა მეოცე საუკუნის პოლიტიკური რეჟიმები სამ ჯგუფად დაყვეს, ტოტალიტალურ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ ჯგუფებად. ტოტალიტალური რეჟიმი იყო კომუნიზმი და ნაციზმი, ავტორიტარული დიქტატურა იყო ფაშისტური და ფაშიზმის მიმდევარი ქვეყნები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვნენ იტალიაში და ესპანეთში,

პორტუგალიაში და ბულგარეთში,
საბერძნეთში და პოლონეთში, რუ-
მინეთში და უნგრეთში, ესტონეთში
და ლატვიაში და ა.შ. კომუნისტები
ამბობდნენ, რომ ფაშიზმი და ნაციზ-
მი, არსებითად ერთი და იგივე იყო,
მაგრამ ისტორიკოსების უმრავ-
ლესობა ამას არ ეთანხმებოდა და
ამბობდა, რომ ფაშიზმი თავისი არ-
სით უნივერსალურია, და მას უნარი
აქვს ფეხი მოიკიდოს ყველგან და
სწრაფად შეეწყოს მოცემულ კულ-
ტურულ და ისტორიულ პირობებს,
მაშინ როცა, კომუნიზმი და ნაციზმი
თავისი არსით შეეგუებელნი არიან,
ვინაიდან მათთან საგანთა რეალო-
ბა მთლიანად დამორჩილებულია
იდეალოგიას და სწორედ ამაში მდ-
გომარეობს მათი ტოტალიტარიზმი.
ფაშიზმს კი შეეგუების უნარი აქვს და
შეეძლია იყოს მემარჯვენეც და მე-
მარცხენეც, ასაკოვანი მოქალაქეე-
ბისთვისაც და რევოლუციურად გან-

ფაშიზმი არის
უნივერსალუ-
რია

წყობილ ასალგაზრდებისთვისაც. და, პირველს პირდება რომ წესრიგს აღადგენს, მეორეს – რომ ააშენებს ასალ მსოფლიოს, სადაც ყველაფერი მარად ასალგაზრდა იქნება. მარად ასალგაზრდა მსოფლიოს იყოფდნენ ფაშისტები და კომუნისტები, მაგრამ ისინი ხნიერებისთვის არც აპირებდნენ წესრიგის აღდგენას. ასალგაზრდები კი მომავლთან შეგებებას ელოდნენ და ქარი აშრიალებდა თავთავებს, და ჰორიზონტზე ამოდიოდა მჩე. ხოლო, ფსიქოანალიტიკოსები კი ამბობდნენ, რომ გერმანელების უმრავლესობის თანხმობა ნაციის იდეოლოგიაზე იყო სექსუალური ფრუსტრაციის გამოხატულება, და რომ გერმანელები არსებითად, მამას ეძებდნენ, მაშინ როცა კომუნიზმის რწმენა, უფრო საღომაზოსიზმის გამოვლინება იყო თავის ინფანტილურ ფაზაში.

კომუნისტებმა გამოაცხადეს ჯან-
მრთელ სხეულში ჯანმრთელი
სული, და თვლილნენ, რომ ფსიქო-
ანალიზი ბურჯუაზიული საზოგადოე-
ბის გასრწნის გამოვლინება იყო,
რითაც ხალხი ფრუსტრაციისა და
არასრულფასოვნების შეგრძნების
კომპენსაციას იღებდა, რასაც კაპი-
ტალიზმი იწვევდა მათში. 1929 წელს
კი ლენინგრადის ევგენიკის სა-
მეცნიერო -კვლევითი ინსტიტუტი
გამოვიდა შეთავაზებით, აერჩიათ
საბჭოთა მუშების რიგებიდან გან-
საკუთრებით ნაყოფიერი პირები
და გაესსნათ გამანაყოფიერებე-
ლი ცენტრები, სადაც გამორჩეული
პირები გაანაყოფიერებდნენ საბ-
ჭოთა ქალებს, და ლენინგრადელ-
მა ევგენიკოსებმა გამოთვალეს,
რომ არაჩვეულებრივად ნაყოფიერ
პირებს შეეძლოთ საბჭოთა ხალხ-
ისთვის მიეცათ ათას ასამდე კვალი-

ფიციური მუშა და ამით განემზებისათ მომავალი უკლასო საზოგადოების ჯანმრთელი ბირთვი. ქარსანაში და დაწესებულებაში მომუშავეთათვის კომუნისტებმა მოაწყეს დილის ვარჯიში, რადიოთი გადმოსცემდნენ მხიარულ სიმღერებს, რომ უფრო კარგად და ხალისიანად ემუშავათ, აწყობდნენ დემონსტრაციებს, სპარტაკიადებს ალეგორიებით და ადმიანის სხეულებისგან შემდგარი ცოცხალი სურათებით და ამბობდნენ, რომ ეს იყო ასალი სელოვნება, რომელიც ხალსის წყაროდან იკვებებოდა. ნაცისტები კი ამბობდნენ, რომ სელოვნება არის არა ესთეტიური, არამედ ბიოლოგიური კატეგორია, და რომ ხალსის სული სწორედ სელოვნება არის და იგი ყველას ეკუთვნისო. კომუნისტები კი ამბობდნენ, რომ სელოვნება უნდა იყოს ოპტიმისტური, როგორც

ჭუპრი, საიდანაც გამოიჩეკება უარვანა, მაგრამ, ამავე დროს შეუპოვარი, როგორც მომავლის შესახვედრად ხალხის ლაშქრობაო. და, პროპაგანდას უწევდნენ მონუმენტურ ხელოვნებას, რომელიც შორიდან ჩანდა, სკულპტურას ან ფრესკებს ან დიდ სურათებს, რომ უბრალო ხალხსაც შეძლებოდა ხელოვნებით დამტკბარიყო. ნაცისტები ამბობდნენ, რომ თანამედროვე ხელოვნება დეკადენტურია, ხოლო ასალი ხელოვნების გამომსახველობის წყარო უნდა იყოს ხალხიო, კომუნისტებს კი ეჭვი ჰქონდათ რომ მსატვრები სპეციალურად ქმნიდნენ დეკადენტურ ხელოვნებას, რომ უფრო კარგად განსხვავებულიყვნენ უბრალო ხალხისგან. და ამბობდნენ, რომ საჭიროა გამომსახველობის ასალი მსატვრული ხერხების მოვონება, და ასალი არაბანალური იდეები.

ბიო, მაგრამ დროთა განმავლობაში არაბანალური იდეებიც საეჭვოდ მოეჩვენათ, რადგან სინამდვილეში ისინი შეიძლებოდა ყოფილიყო ბურკუაზიული აზროვნების გამოხატვა, რომელიც მოდერნიზმის საფუარქვეშ სელს უშლიდა ჭეშმარიტ და რევოლუციურ სიახლეებს. და კომუნისტებისთვის საეჭვო სდებოდა ის ადამიანები, რომლებიც აფარებდნენ ულვაშს, ფარფლებიან ქუდს ან ექსტრავაგანტურ პალტოს, ან კაფეში ჯდომის დროს, რაღაცას ინიშნავდნენ წიგნაკები. და ამბობდნენ, რომ ჭეშმარიტი ხელოვნება უნდა ყოფილიყო ასალი ცხოვრების ანარეკლი, ერთდროულად ოპტიმისტურიც და შეუპოვარიც, და აწყობდნენ საწარმოო ვარჯიშებს და რადიოთი გადასცემდნენ მუშებისთვის სიმღერებს.

კომუნისტებმა საკონცენტრაციო
ბანაკები 1918 წელს მოიგონეს, რევ-
ოლუციის გამარჯვება და პროლე-
ტარიატის ღიქტატურის განმტკიცება
რომ დაეჩქარებინათ და ისტორ-
იკოსები ამბობდნენ, რომ საბჭოთა
საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღ-
უპა თხუთმეტიდან ოც მილიონამდე
ადამიანი, და შემდეგი ოცდათხუთ-
მეტი წელი კი იქ გაატარა თავის
ცხოვრების ნაწილი საბჭოთა კავ-
შირის ყოველმა მეშვიდე ზრდას-
რულმა მოქალაქემ. 1916 წელს კი
ირლანდიაში რევოლუცია მოხდა. და
1917 წელს ორ მილიონზე მეტი ჯა-
რისკაცი გაიქცა რუსეთის არმიიდან,
რომლებსაც სახლში დაბრუნება უნ-
დოდათ, რომ მიწისა და საქონლის
განაწილება არ გამორჩენოდათ,
რასაც მთავრობა, რომელიც მეფის
რეჟიმის დაცემის შემდეგ მოვიდა,
დაპირდა. ირლანდიის რევოლუციას

უწოდებდნენ პოეტურ რევოლუ-
ციას, რადგანაც ირლანდიის რევო-
ლუციური საბჭოს სამ მეოთხედს
პოეტები შეადგენდნენ, მათ უნდო-
დათ დაეკარსებინათ ირლანდიის რე-
სპუბლიკა, და იმედი ჰქონდათ, რომ
ინგლისის არმიას არ ექნებოდა საკ-
მარისი სასსრები ქმედითად გამო-
სულიყო მათ წინააღმდეგ, ვინაიდან
ინგლისელი ჯარისკაცების უმრავ-
ლესობა საფრანგეთსა და ბელგიაში
იბრძოდა გერმანელებთან. პროლე-
ტარიატის დიქტატურის განმტკიცება
მნიშვნელოვანი იყო, რადგან, ბურ-
ეუაზის გარდა, კომუნისტებს უნდა
ებრძოლათ მუშებთან ქალაქებში და
გლეხებთან სოფლებში, რომლებსაც
სხვანაირად წარმოედგინათ რევო-
ლუცია, აწყობდნენ აჯანყებებსა და
გაფიცვებს და არ უნდოდათ რევო-
ლუციური დავალებების შესრულება.
პოეტურ რევოლუციაში კი სამოცდ-
აორი მეამბოხე და ასორმოცდაათი

კოლმეურნების
ამოქანების
შესრულება არ
უნდოდათ

ინგლისელი ჯარისკაცი დაიღუპა.
კოლმეურნების კი, რომლებსაც
რევოლუციური ამოცანების შეს-
რულება არ უნდოდათ, ართმევდნენ
მარცვალს, ძროხებს, ქათმებს და
ა.შ., და გლეხებს, რომლებიც მტრულ
აქციებს აწყობდნენ საბჭოთა ხე-
ლისუფლების წინააღმდეგ, დადიოდ-
ნენ ლამე და თავთავს იპარავდნენ
კოლმეურნეობის ყანაში და არ უნ-
დოდათ ქათმის ან ძროხის ჩაბა-
რება, საკონცენტრაციო ბანაკებში
აგზავნიდნენ ან სერეტდნენ. მოგვი-
ანებით, კომუნისტებმა განსაჯეს,
რომ მტრული პოზიციის გატესვა
ყეველაბე კარგად შეიძლებოდა შიძ-
შილიანობის გამოწვევით, მიწათ-
მოქმედების რაიონებში, უკრაინაში
და ჩრდილო კავკასიაში ან ყაზახ-
ეთში. და მათ გადაიტანეს სარკი-
ნიგბო მარშრუტები და დაბლოკეს
მისასვლელი გზები, დასურეს მაღა-
ბიები და აკრძალეს ბაზრები და 265

ა.შ., და ექვსი მილიონი ადამიანი დაიხოცა შიმშილისგან. და ბოგიერთი, ასლობლის ცხელარს მალავდა და შემდეგ ყიდიდა შავ ბაზარზე, ან მეტობელზე, აღებული ფულით კი სხვა გვამების სორცს ყიდულობდა, ვინაიდან, არ უნდოდა იმათი სორცი ეჭამა, ვისთანაც წარსულში ალბათ ბევრი მშვენიერი წამი განიცადა. და გვამის ძვლებისგან აკეთებდნენ ბულიონს, ღვიძლისგან კი ღვებელის შიგთავს. ერთი გლეხი კი სამმო სასაფლაოსთან ასლოს დასასლებულა, სოფელ ბოგოსლოვკასთან, და გვამების სორცს სარშავდა, მაგრამ კომუნისტებმა მიაგნეს და დახვრიტეს სხვების ჭკუის სასწავლებლად. თავიდან საკონცენტრაციო ბანაკები ორი სახის იყო, შრომითი და სპეციალური, პირველში უნერგავდნენ შეგნებული შრომის ჩვევებს ლოთებს და სულიგნებს, პარაგიფებს და იმათ, ვინც არ გამოი-
266

მუშავა მორიგეობის მინიმალური
რაოდენობა, ან სამუშაო ადგილი
დაფოვა ისე, რომ არ დარწმუნდა
დღიური რევოლუციური გეგმა შეს-
რულებული იყო თუ არა, მეორეში
კი მუშაობდნენ საეჭვო და საშიში
პიროვნებები, სხვა პოლიტიკური
ორგანიზაციების წევრები და მუშები,
რომლებსაც გაფიცვებზე წაასწრეს,
საეჭვო ჩინოვნიკები და დამპალი
ბურეუაზია, მავნებლები და გიუები,
ანარქისტები და მებატონეები, კარ-
ტოფილის დამტაცებლები ან რევო-
ლუციელი კომისრები, რომლებმაც
ბანაკებში კონტრრევოლუციო-
ნერების არასაკმარისი რაოდენობა
გააგზავნეს. 1922 წელს კი შრომითი
ბანაკები დაანგრიეს და დაფოვეს მხ-
ოლოდ სპეციალური ბანაკები და იქ
ყველა, საერთო კეთილდღეობისთ-
ვის მუშაობდა. 1923 წელს კი მოს-
კოვიდან მურომის საკონცენტრაციო
ბანაკში ორი ხულიგანი, რომლებიც

დამპალი ბურ-
ეუაზია

სამსახურიდან დაბრუნებულ მუშებს დასცინოდა, გააგზავნეს და კიდევ, ერთი ხარატი, რომელმაც სამჯერ ზედიზე დაიგვიანა სამსახურში, და ერთხელაც, ხარატმა, ღამით, ორი ხულიგანი სასიკვდილოდ ცემა ტახტის ფიცრით, რაღაც ისინი ანტისაბჭოთა ანეკდოტებს ყვებოდნენ და სარატს შეეშინდა, ანტისაბჭოთა ანეკდოტების მოსმენისთვის ვინმეს არ გაეცა და კომუნისტებს არ დაესვრიტათ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი, საკონცენტრაციო ბანაკებში აგზავნიდნდნ რუს სამსედრო ტყვეებს, რომლებიც სახლში ბრუნდებოდნენ და ეჭვი შეეპარათ მათში, რომ საბრძოლო რისკი არ ეყოთ და მათ ინდივიდუალიზმისკენ ქონდათ მიღრეკილება. საბჭოთა კავშირში დაბრუნდა დაასლოებით 2270000 სამსედრო ტყვე, და მათ საშუალოდ ათი წელი გაატარეს საკონცენტრაციო ბანაკებში, ვიდრე არ დაიხოც-

ნენ ტანჯვისგან და ავადმყოფობისა თუ ეპიდემისგან. თუმცა სიკვდილის ყველაზე სშირი მიზეზი იყო მოყინვა და ფეხის განგრენა, რადგან, მათ ეშინოდათ, რომ ღამით ფეხსაცმელს მოპარავდნენ, და ფეხსაცმლით ეძინათ.

ისტორიკოსები ამბობდნენ, რომ 1914 წელს გამოცხადებული მობილიზაცია პასუხობდა გერმანიის, ავსტრიის, სერბიის, საფრანგეთის, იტალიის და ა.შ. განწყობას, და რომ პირველი მსოფლიო ომი, შესაძლოა ისტორიაში იყო ერთადერთი ჭეშმარიტად ხალხური და პატრიოტული ომი. და როცა ჯარისკაცები ქალაქში სადგურისკენ მიაბიჯებდნენ, ხალსი მორბოდა პატრიოტული ლოგუნგების შეძახილებით და ჯარისკაცებს მიხაკებს უდებდნენ იარაღში და ორკესტრი მსიარელად უკრავდა. ხოლო ინგლისში, სადაც

ლოსუნგების
შეძახილები

1914 269

წელს სამსედრო სამსასური არ იყო
აუცილებელი, მიღიონნასევარი
მოსალისე გამოვიდა. მიაბიჯებდნენ
ისინი სადგურისკენ და ელოდნენ,
რომ ომი გამოაცოცხლებდა მათ-
ში სათნობას, რომელიც თანამე-
დროვე სამრეწველო მსოფლიომ
უკან გადასწია, სამშობლოსადმი
სიყვარულს და სიმამაცეს და თავ-
განწირვას. მაგრამ ომის პერიოდში,
როცა ნაღმები, ხლართები, მუნი და
ვირთხები ემატებოდა, ჯარისკაცები
კი სულ უფრო ნაკლებად დაცულები
იყვნენ, ისინი თადათან კარგავდ-
ნენ რწმენას რისთვისაც იბრძოდ-
ნენ და თავს მარტოდ და მოძულე-
ბულად გრძნობდნენ. და ესროდნენ
ვირთხებს, აკეთებდნენ საფერფლეე-
ბს და აწერდნენ გაუმარჯოს 25-ე
ნაწილს, სამახსოვრო ომიდან,
გაგიმარჯოთ, და აღარასოდეს.
საფრანგეთსა და ინგლისში პირვე-

ლი მსოფლიო ომის შემდეგ ბევრი
პაციუისტი გაჩნდა და საბოგადოე-
ბრივი აზრიც მშვიდობისმოყვარე
იყო, გერმანელები კი ამ დროს კერ-
ავდნენ უნიფორმებს და აკეთებდნენ
ტანკებს და თვითმფრინავებს. ეს-
პანეთში, კი იფეთქა სამოქალაქო
ომშა, ფაშისტები კი ებრძოდნენ კო-
მუნისტებს, კიმუნისტები ებრძოდნენ
ანარქისტებს, რომ გაეძლიერები-
ნათ რევოლუცია, მაშინ როცა ან-
არქისტებს უსდოდათ, რომ რევო-
ლუცია პერმანენტული ყოფილიყო,
ფაშისტებს კი უსდოდათ, რომ ის ნა-
ციონალური ყოფილიყო. პაციუისტე-
ბი კი ამბობდნენ, რომ მშვიდობა
არის ყველაზე დიდი ფასეულობა,
მაგრამ გერმანელები ფიქრობდნენ,
რომ ყველაზე დიდი ფასეულობა
არის გამარჯვება და ადამიანთა ბე-
დის სიღიადე მდგომარეობს სიკეთი-
სა და ბოროტებას შორის ბრძოლა-
ში, კომუნისტები კი თვლიდნენ, რომ

გერმანელები
კუავდნენ უნი-
ფორმებს

საჭიროა კომუნიზმის გამარჯვების დაჩქარება, ესპანეთში კი სამოქალაქო ომი დაიწყო, გერმანელები კი თავს დაესხნენ პოლონეთს და დანიას, ნორვეგიას და პოლანდიას, ბელგიას და საფრანგეთს, რუსები კი თავს დაესხნენ პოლონეთს და ესტონეთს, ლატვიას, ფინეთს და რუმინეთს და ცხადი გახდა, რომ იფეთქა მეორე მსოფლიო ომმა.

მოგ ისტორიკოსს მეორე მსოფლიო ომი უფრო მოსწონდა, ვიდრე პირველი, და ამბობდა, რომ პირველი მსოფლიო ომი იყო ნაციონალური და პატრიოტული, მაშინ, როცა, მეორე – იყო ცივილიზაციური. და, რომ პირველ მსოფლიო ომში ხალხი იბრძოდა წერილმანი კონცეციებისთვის, რომლებიც წარსულს ეკუთვნოდა, მაშინ როცა მეორეში, იცავდნენ ადამიანის იდეას.

წერილმანი
კონცეცია

ადამიანები აღარ გასდნენ პაცი-
უისტები და პირველ რიგში იმაზე
ფიქრობდნენ, როდის დაიწყებოდა
მესამე მსოფლიო ომი დემოკრატი-
ულ და კომუნისტურ ქვეყნებს შო-
რის. და ყველგან დადიოდნენ ჯა-
შუშები და ჯაშუშობდნენ. სოლო,
განათლების სამინისტროებში კი
ბჭობდნენ, თუ რით დასმარებოდნენ
ყველაზე კარგად საბოლოო გამარ-
ჯვებას და მეცნიერებმა მოიგონეს
ასალი იარაღი, და ახალი სამსე-
დრო გაზები და აფომური ბომბები
და რაკეტმშიდები, საბრძოლო ერ-
თეულები და პარაშუტიანი ბომბები,
ელექტრომაგნიტური პერტურბაციე-
ბი და ნეიტრონული გამოსსივება და
მაღალმოლეკულური ციტოფოქსი-
კურობა. და გაჩნდა ასალი სიტყვე-
ბი და სიტყვათაშენაერთები ასალი
გამოგონებების, მეცნიერული აღ-
მოჩენებისა და ახალი საზოგადოე-
ბრივი მოვლენებისა და თეოროე-

ბის აღსანიშნად, ფარლობითობის თეორია და შავი ღრმული, ფსიქოანალიზი და ტელევიზია, იუგოსლავია და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაული, რადიო და მოდემი, დადაიბმი და სოციოგენეტიკა, პოსტმოდერნიზმი და გენოციდი, ბიოეთიკა და ევგენიკა, ტრანსგენეტიზმი და კუბიზმი, ექსობიოლოგია და აფომური დეზინტეგრაცია და ადმიანთმორისი ურთიერთობები და ა. შ.

ზოგიერთი ფილოსოფოსი ამბობდა, რომ მსოფლიო წესწყობილება შეესაბამება დისკურსის მექანიზმს, რომელიც ცვალებად, მაგრამ ამავდროულად მოცემულ და მოწერიგებულ ნიშნებისგან შეღგება და რომ მათ არც აქვთ რაიმე გან-

საკუთრებული მნიშვნელობა და
ყველაფერი თამაშია და შემთხვევა,
ანარქია და პროცესი, დეკონსტრუქ-
ცია და ინტერტექსტი და ა.შ. მაგრამ,
ნიშანი თავისთავად, მაინც არის
რაღაც მნიშვნელობის მატარებელი,
თუმცა, ზუსტად რისი, არ ვიცითო.
სხვა ფილოსოფოსები კი, თავის
მსრივ ამბობდნენ, რომ იმ ნიშნებს,
რომლითაც დისკურსი და სამყაროა
შექმნილი, არ ქონდათ მნიშვნელო-
ბა, და მნიშვნელობის უქონლობის
გამო სუბიექტიც იკარგებოდა და
თვით რეალობაც, და რომ ისტორია
იყო მხოლოდ და მხოლოდ უწყვე-
ტი და უსასო მოძრაობა, რომელიც
არაფერს არ გამოხატავდა, და
ყველაფერი იყო ფიქცია და სიმულა-
ცია. და ჰუმანიზმის დაცემა ლოდი-
კური იყო, რადგან ჰუმანიზმი ჩისში
სწორედ იმიგომ მოექცა, რომ რასაც
უნდოდა იმას მიაღწია და მსოფლიოს
თავს მოასვია თავისი ფასეულობები,

ყველაფერი
ფიქცია

თავისუფლება და ინდივიდუალიზმი, პლურალიზმი და გამჭვირვალობა და ა. შ. და რომ ჰუმანისტებმა რაც დათესეს ის მოიმკეს, ინდივიდუალისტური და ინტერაქტიური, პოზიტიური, გამჭვირვალე და ოპერატიული მსოფლიო, რომელიც იკარგებოდა საკუთარ თვალთმაქცეობაში და რომლის საბოლოო გადაწყვეტილებას წარმოადგენდა შეეცვალა რეალობა ჰიპერრეალობით. ხოლო, ზოგიერთი მათემატიკოსი კი ამბობდა, რომ რეალობა ილუზია, და სინამდვილეში, ადამიანის ფრინში მხოლოდ მათემატიკური კონსტრუქციები არსებობს, რომლებიც ასდენენ სისმირეთა ინტერპრეტაციას გამოსულს რომელი-ლაც სსვა განზომილებიდან და რომ ეს განზომილება ასდენს დროისა და სივრცის ფრანსუენტირებას, და რომ ტვინი არის ჰოლოგრამა, რომელიც ასასავს სამყაროს, რომელიც, ასევე, ჰოლოგრამა არისო. 1993 წელს კი

ერთმა სნიერმა ქალბატონმა, ყო-
ფილმა, მეტისმეტად ურყევმა ნა-
ცისტმა თავისი ტვინი ერთ ლაბორა-
ტორიას უანდერძა კოპენჰაგენში,
რათა ის სურათები, რომლებიც
მის ტვინში იყო შენასული ეჩვენე-
ბინათ მისი შვილიშვილებისთვის,
რადგანაც მას არასდროს არ ეხ-
ერსებოდა თავისი ცხოვრების შეს-
ახებ მოეყოლა მათთვის.

1907 წელს კი ერთმა ფრანგმა ლა-
მანშის სრუტე გადაიფრინა მოგო-
რიანი აეროპლანით, 1910 წელს კი
მოგორიანი აეროპლანით ერთმა
პერუელმა გადაიფრინა იგალიურ
ალპებზე, და 1911 წელს იგალიელებ-
მა მოგორიანი აეროპლანი გამოიყ-
ენეს თურქების წინააღმდეგ ბრძო-
ლაში, და 1914 წელს კონსტანტი-
ნიურებმა მოიფიქრეს სად დაედგათ
ტყვიამფრქვევი, თვითმფრინავი-
დან რომ ესროლათ, 1915 წელს კი 277

აგომური ბომბი

მოიფიქრეს როგორ გადმოეგდოთ
ბომბები თვითმფრინავიდან, და 1945
წელს ამერიკელებმა გამოიგონეს
ატომური ბომბი და ჩამოაგდეს ქა-
ლაქში, რომელსაც ეწოდებოდა ჰი-
როსიმა. თვითმფრინავის სახელი
იყო ENOLA GAY, და მოგვიანებით
მფრინავმა უკრნალისტებს განუმარ-
ტა, რომ თვითმფრინავს თავისი ირ-
ლანდიელი ბებიის სახელი დაარ-
ქვა, იმიტომ, რომ მას ასეთი მხია-
რული სახელი ქონდაო. აფეთქებამ
სამი კილომეტრით ირგვლივ ყველა
სახლი გაანადგურა და ცაში გაჩნდა
ბოლის ღრუბელი, რომელსაც ეძა-
ხდნენ ატომურ სოკოს, რადგანაც
სოკოს გავდა. დაჭრილებისთვის,
ადგილობრივ სკოლაში პირველი
დასმარების ცენტრი მოაწყეს, და
მოსწავლეები, რომლებიც აფეთქე-
ბას გადაურჩნენ პაციენტების ჭრი-
ლობიდან ჭიებს იღებდნენ ჩსირე-
ბით, და, როცა პაციენტები კვდე-

ბოდნენ, ისინი ურმით მიყავდათ კრემაფორიუმში. სხვა აღამიანები, შემდეგ თვეებში კვდებოდნენ ავად-მყოფობისგან, რომელსაც დაარქვეს ატომური დაავადება, ლეიკემია, ას-თენია და ა. შ. და აღამიანები, ვინც აფეთქება და ატომური დაავადება გადაიტანეს, დანარჩენ მოქალაქეებს შიშს გვრიდნენ, რადგან კეთ-როვანს გავდნენ და არანორმალურივით იქცეოდნენ. მოგვიანებით, ბევრი ფიქრობდა, რომ ამერიკელები მეტისმეტად მკაცრად მოიქცნენ, ატომური ბომბი ომის მიწურულში რომ ჩამოაგდეს, მაგრამ სამსედრო სტრატეგები ამბობდნენ, არ ჩამოაგდებდნენ ამერიკელები და ჩამოაგდებდა ვინმე სხვა, ვინაიდან, მისი გამოცდა ერთხელ მაინც გახდებოდა საჭირო რეალურ პირობებში, მსოფლიოში ტერორის წონასწორობის დასამყარებლად, და რომელიც

რეალური პი-
რობები

იქნებოდა გარტანტია იმისა, რომ
არ იფეთქებდა მესამე მსოფლიო
ომიო. 1944 წელს ამერიკელებმა
გამოიგონეს ადამიანის ზომის თო-
ჯინა, სახელად RUPERT. რუპერტი
ჩაცმული იყო პარაშუტისტის ფორ-
მაში, აღჭურვილი ყუმბარებით და
ასაფეთქებელი ნივთიერებებით, და
ამერიკელები მას თვითმფრინავიდან
ფრონტის საზის მიღმა აგდებდნენ,
და როცა გერმანელები ან პარტი-
ზანები დაინასავდნენ რუპერტს,
რომელიც მიწაზე ეშვებოდა, მისკენ
მირბოდნენ, ის კი, მიწაზე დაცემი-
სას ფეთქდებოდა და ყველას, ვინც
იქვე იდგა კლავდა. 1918 წელს კი
გერმანელებმა გამოიგონეს გარბა-
ზანი, სახელად მსუქანი ბერტა, ის
128 კილომეტრის მანძილზე ისრო-
და, 1944 წელს კი მათ გამოიგონეს
მართვადი რაკეტა VERGELTUNG-
SWAFFE, რომელიც საათში 5800 კი-

ლომეტრ სიჩქარეს ანვითარებდა და გადამწყვეტი გავლენა უნდა მოეხდინა გერმანიის საბოლოო გამარჯვებაზე. და 1947 წელს ამერიკელებმა გამოიგონეს ზებგერითი თვითმფრინავი, და რუსებმა 1957 წელს გამოიგონეს სელოვნური თანამგბავრი, 1961 წელს მათ კოსმოსში გააგზავნეს პირველი ადამიანი, 1969 წელს კი ამერიკელებმა მთვარეზე სამი კოსმონავტი გაგზავნეს, და როცა პირველმა კოსმონავტმა ფეხი ჩამოდგა კიბიდან მთვარის ზედა-პირზე, მან ისტორიული სიტყვები წარმოსთქვა, ეს ადამიანისთვის პატარა ნაბიჯია და კაცობრიობისთვის დიდი ნახტომი. კოსმოსური პროგრამის მთავარი ინჟინერი იყო გერმანული არმიის სპეციალური ქვედანაყოფის ყოფილი პოლკოვნიკი SCHUTZSTAFFELN, რომელმაც 1944 წელს გამოიგონა

გერმანიის საბოლოო გამარჯვება

ადამიანი-
მორისი ურთ-
იერთობები

მართვადი რაკეფა VERGELTUNG-SWAFFE-ს. შემდეგ, კამათობდნენ იმაზე, ეს ისტორიული ფრაზა კოსმონავტმა თვითონ მოიფიქრა, თუ მას წინასწარ მოუმზადა საბოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტმათ. მართვად რაკეფა VERGELTUNG-SWAFFE აკეთებდნენ საკონცენტრაციო ბანაკ დორაში, და 528 მილიონი ტელემაყურებელი პირდაპირი ტრანსლაციით თვალს აღევნებდა მთვარეზე გადასვლას, და პოლიტიკოსები და საბოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები ამბობდნენ, რომ ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი მსოფლიო კომუნიკაციისკენ და ადამიანთორისი ფასდაუდებელი ურთიერთობების დასამყარებლად.

მეორე მსოფლიო ომის დროს, ფიზიკოსებმა ახლებურად შეხედეს ფარლობითობის თეორიას, მათემა-

ტიკოსებმა კი, მოიფიქრეს ინფორმაციის თეორია, რომელიც ნოვაგორული იყო იმით, რომ მან გვერდზე დატოვა სემანტიკური ველი და ინფორმაცია ესმოდა, როგორც რაღაც, რაც დაკავშირებული არ იყო მნიშვნელობასთან. ზოგი მათემატიკოსი და ასტროფიზიკოსი ამბობდა, რომ ინფორმაცია წარმოადგენს სამყაროს ერთერთ შემადგენელ ელემენტს, და სამყაროს ორგანიზაცია არის მხოლოდ თანაბრადმოქმედი გარდაქმნის თანაფარდობა ერთის მხრივ ენერგიასა და ინფორმაციას შორის და მეორეს მხრივ ინფორმაციასა და მაგერიას შორის. უილოსოფოსები ამბობდნენ, რომ ინფორმაცია არის ფილოსოფიის ცნება და წარმოადგენს ყოფიერების მოთავსებას ფორმაში და რომ რაღაც შინაარსი ყოველთვის მოიძებნება, მაგრამ თვით მას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა მოძრაობის 283

გარდა, და, აინტერესებდათ მნიშვნელობის უქონლობა ინფორმაციაში ხომ არ იყო დაკავშირებული აზრის უქონლობასთან ისტორიაში. ბოგი მათემატიკოსი ამბობდა, რომ ფარდობითობის თეორიამ მათემატიკური საფუძველი მისცა ასალ შესედულებას მსოფლიოზე და რომ ინფორმაციის თეორია ლოლიკურად მას ავსებს. ნაცისტები თავიდან არ ეთანხმებოდნენ ფარდობითობის თეორიას და ამბობდნენ, რომ ეს იყო ებრაელების ესთეტიკური და ინტელექტუალური შეტევა, რომ ბიანი მიეყენებინათ გერმანელი ხალხისთვის, კომუნისტები კი ამბობდნენ, რომ ფარდობითობის თეორია მოიგონა ბურჟუაზიამ, რომელსაც უნდა დაამტკიცოს, რომ ფარდობითია მეცნიერებაც, როგორც ასეთი, და ამგვარად ეჭვის ქვეშ დააყენოს კომუნიზმი, რომელიც მყარ მეცნიერულ საფუძველზე დგასო.

პირველი მსოფლიო ომი იყო
ეროვნული და პატრიოტული, და
ბევრ ადამიანს სწამდა პატრიორ-
იზმის და ეროვნული სულის და და-
ღუპულ ჯარისკაცთა ძეგლების, და
კიდევ დიდსანს, მეორე მსოფლიო
ომის შემდეგ, რომელსაც ცივი-
ლიზაციურს ეძასდნენ, ხალხი აზ-
როვნებდა უფრო ეროვნული, ვიდრე
ცივილიზაციის ცნებებით და ყოველ
ერს თავისი თავისებურება გააჩნდა.
ინგლისელები იყვნენ პრაგმატიულე-
ბი და ინგლისელ ქალებს კი ჰქონ-
დათ დიდი ტერფი, იგალიელ ქალებს
ქონდათ დიდი მკერდი და იგალიელი
კაცები იყვნენ უდარდელები, გერ-
მანელები ზრუნავდნენ ჰიგიენაზე
და არ ქონდათ იუმორის გრძნობა.
ირლანდიელები კი იყვნენ მუდამ
გადაკრულები და შოგლანდიელები,
კი—მაგარი ფეხით მოსიარულეები,
ურანგები იყვნენ ამპარტავნები და

ხალხი და ცივი-
ლიზაცია

ბერძნები—დაკომპლექსებულები, ჩეხები მშიშრები, და პოლონელები მუღამ გადაკრულები, იტალიელები სმაურიანები, და ბულგარელები ჩამორჩენილები, და ესპანელები დაღვრემილები, უნგრელები კი დიდგულები. მოქანდაკეებს და ქვისმჭრელებს კი უსაროდათ რომ ბევრი შეკვეთა ქონდათ. ფრანგებს კი ქონდათ SAVOIR VIVRE, ინგლისელებს კი FAIR PLAY ჰქონდათ ჩვეულებად. და მნიშვნელოვანი შემთხვევების დროს ბავშვები საპატიო ყარაულში იდგნენ ძეგლებთან, იმის საჩვენებლად, რომ ომის შესახებ დასტური მარად ცოცხალი დარჩება და სალხი ამაზე უნდა დაფიქრდეს. ანგროპოლოგები ამბობდნენ, რომ ძეგლები ფიქრისთვის უფრო შესაფერისია, ვიდრე მუზეუმები და არქივები, რადგან ისინი მიმართულნი არიან უფრო მესსიერებისკენ, ვიდრე ისტორიისკენ, და რომ მესსიერება

აცოცხლებს, მაშინ როცა ისტორია
ცოცხალ წარსულს კანონიერებას
ართმევს იმით, რომ მას დროში
უმოძრაოს ხდისო. ისტორიკოსები კი
ამბობდნენ, რომ ძეგლები საზოგა-
დოების მოგონებების დახარისხების
საშუალებას იძლევა, მოეწყოს
კოლექიფიური ხსოვნა და იბრძო-
ლონ დავიწყების, როგორც ასე-
თის, წინააღმდეგ, მაგრამ, პირველ
რიგში, ბრძოლა რაღაც კონკრეტუ-
ლის დავიწყების წინააღმდეგ, და ეს
დავიწყების სხვა ფორმების ერთ-
დროულად შექმნის მეთოდი არისო.
ფილოსოფოსები კი ამბობდნენ, რომ
დავიწყებაც შეიძლება იყოს სტრუქ-
ტურალურიო. ძეგლები, აღმართული
იყო სხვადასხვა ადგილას, საზოგა-
დოებრივ სივრცეში, ლალ ბუნებაში,
გზის პირას ან ბრძოლის ადგილებ-
ში, და ანგროპოლოგები ამბობდნენ,
რომ მეოცე საუკუნეში ძეგლების
სხვადასხვა ადგილას აღმართვამ

კოლექტიური
ხსოვნა

შექმნა სიმბოლური სივრცის ახალი ორგანიზაცია, ხოლო სივრცის ორგანიზაცია საზოგადოებაში წარმოადგენდა ინდივიდუალური და კოლექტიური იდენტურობის საფუძველს, და იმავდროულად საზოგადოებრივ ინსტიტუცის და ინტელექტუალურ მაგალითს, და ამრიგად, ნებისმიერი ისტორიის პირველ პირობას. ძეგლთან შეჩერებულ აღამიანებს, ისეთი გრძნობა ეუფლებოდათ, რომ ინაწილებდნენ იმ ჯარისკაცების, პარტიზნების და საკონცენტრაციო ბანაკების პატიმრების ცოდათი მაინც, ცხოვრებას, ცოდათი სიკვდილს, და ბოგიერთი ისტორიკოსი ამბობდა, რომ ძეგლები იყვნენ, როგორც ბლვის ნიერები სანაპიროზე, როცა ბლვისა და ხსოვნის უკუქცევა სდებოდა, ან როგორც გადაწყვეტილი ჭიაყელები, რომლებშიც ისევ ბორგავდა დარჩენილი სიცოცხლე და რომელიც უკვე

ალარ იყო რეალური, არამედ იყო სიმბოლური. ერთმა ასალგამირდა ებრაელმა ქალმა კი ომი გადაიგანა იმის წყალობით, რომ სტრუდჰო-ფის მოედანზე ვიოლინოზე უკრავ-და არიებს “მხიარული ქვრივიდან”. კაცებს და ქალებს კი თმას ჭრიდ-ნენ და ბილეთებს ურიგებდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ბილეთები უნდა წარედგინათ აბანოს სალაროში. და, 1917 წელს ერთი იგალიელი ჯა-რისკაცი დისადმი მიწერილ წერ-ილში წერდა დღითი დღე თავი მგონია სულ უფრო და უფრო პოზიტიური. გერმანელების მიერ ოკუპირებულ მიწებზე კი, ომის შემ-დეგ, ხალხი თავდასხმებს აწყობდა კოლაბორაციონისტებზე, სამშობ-ლოს გამყიდველებზე და ა.შ. და ქა-ლებს, რომლებსაც გერმანელებთან ეძინათ თმას პარსავდნენ, და ერთი პატიმარი, სასლში დაბრუნებულა

გადაპარსული თავით და ცეკვებზე
წასულა თავისი დის ამსანაფ გოგო-
ნასთან ერთად, რომელიც ადგილო-
ბრივმა მაცხოვრებლებმა გადაპარს-
ეს, გერმანელ ოკუპანტებთან რომ
იწვა იმის გამო, და ორივე ერთად
ცეკვავდნენ ერთმანეთზე თავმიღე-
ბულები და ეს, უადგილოდ და უს-
ამსობად მიაჩნდათ სსვებს. ესპან-
ელები კი ცეკვავდნენ ფლამენგოს,
და რუმინელები შავბანელ მჩერას
ისროდნენ, რუსები კი თავსედები
იყვნენ, და შვედები პრაგმატულები,
ებრაელები კი ცბიერები, და ფრანგე-
ბი უდარდელები, ინგლისელები
ქედმალლები და პორტუგალიელები
ჩამორჩენილები. მაგრამ მომსმარე-
ბელი საბოგადოების და საკომუნი-
კაციო საშუალებების განვითარე-
ბასთან ერთად ევროპაში ხალხის
ცხოვრება თაღათან გამოსწორდა
და ზოგიერთი სოციოლოგი და ის-
ტორიკოსი თვლიდა, რომ ეროვნუ-

ლი ცნებებით ამროვნება დაძლეუ-
ლია და ამბობდა, რომ დასავლეთის
განვითარებული საზოგადოების
ყველაზე გამოკვეთილ თვისებას
წარმოადგენს კოსმოპოლიტიზმი,
რომ საერთოდ არ არსებობენ არა-
ვითარი გერმანელები, ან რუმინელე-
ბი ან შეედები, და რომ ეს მხოლოდ
საზოგადოებრივი სტერეოტიპებისა
და ცრურწმენების თვითპროექცია
არისო. მაგრამ სხვა სოციოლო-
გები ამას არ ეთანხმებოდნენ და
ამბობდნენ, რომ მომსმარებელი
საზოგადოების და საკომუნიკაციო
საშუალებების განვითარებასთან
ერთად ხალხმა თანდათან დაკარგა
საყრდენი ორიენტირების უმეტე-
სობა და ნაციონალური საზოგადოე-
ბა, რა პარადოქსიც არ უნდა იყოს,
უფრო მნიშვნელოვანი გასდა, ვიდრე
ადრე იყო. და რომ, სტერეოტიპები
აუცილებელია კოლექტიური და ის-
ტორიული მესსიერების შესანარჩუ-

თუითპროექცია

ნებლად, ურომლისოდაც დასავლეთის საზოგადოება დაკარგავს თავის კულტურულ ერთიანობას, ვინაიდან ერთიანობა არ შეიძლება არ იყოს ჰეტეროგენული. და, რომ, კოლექტიური მეხსიერება კომპრომისია წარსულსა და აწმყოს შორის და სტერეოტიპებსა და ცრურწმენებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ბერდებიან უფრო ნელა, ვიდრე ისტორიები და ტექნოლოგიური სიახლენი და ა.შ. და ისინი წარმოადგენენ უკანასკნელ, მაგრამ ყველაზე აქტიურ სფეროს, რომელშიც დაცულია სოციალური იდენტურობაო. ეთნოლოგები და ანტროპოლოგები ამბობდნენ, რომ ისტორიულობას შეიძლებოდა ქონოდა ორი ფორმა, ერთი მათგანი დამახასიათებელი იყო იმ საზოგადოებებისათვის, რომლებსაც დარჩენა უნდოდათ თავიანთ სიმბოლურ ყოფიერებაში, მეორე კი იმ საზოგადოებებისთვის, რომლებიც

ისფორიებიდან იღებდნენ მოვლენებსა და ენერგიას. და დასავლეთის საზოგადოება ტრადიციულად მოსვდა მეორე ჯგუფში, თუმცა, ახლანდელ დროში შესაძლებელი იყო პირველ ჯგუფში გადასულიყო. ფილოსოფოსები კი ამბობდნენ, რომ ისფორის დაჩქარებას, რომელიც მეოცე საუკუნეში მოსდა, მიეყავართ დროის მიმართ გულგრილობისკენ და ისფორიულობის, მისი ტრადიციული ფორმით გაქრობისაკენ, და, თუ საჭიროა ისფორიულობის რომელიმე სხვა ფორმით წარმოშობა, მაშინ საჭიროა ისფორის შენელებათ და ზოგი მათგანი ითხოვდა ადამიანთა უფლებების დაცვის დეკლარაციაში ჩაემატებინათ ადამიანის უფლება დროზე. ჯარისკაცებისთვის ძეგლის აღმართვის იდეა, ისინი რომ არ დავიწყებოდათ, წარმოიშვა ომის დროს, როცა ბურგომისტრებმა გადაწყვიფეს, რომ ქალაქის 293

რატეშაში დაკიდული დაღუპულთა სიები, ძალიან ფორმალური, მშრალი და ნაკლებად სიმბოლური იყო. მას შემდეგ, ჯარისკაცებს ძეგლებს უდგამდნენ როგორც გამარჯვებულ, ასევე დამარცხებულ ქვეყნებში და გამარჯვებულ ქვეყნებში ეს ძეგლები უმთავრესად ადიდებდნენ გამარჯვებას და თავგანწირვას, დამარცხებულ ქვეყნებში კი მსოლოდ თავგანწირვას და მამაცობას. და 1989 წელს, ერთმა ამერიკელმა პოლიტოლოგმა მოიფიქრა თეორია ისტორიის დასრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც ისტორიები ფაქტიურად დამთავრდა, ვინაიდან თანამედროვე მეცნიერება და კომუნიკაციის ახალი საშუალებები სალსს კეთილდღეობაში ცხოვრების საშუალებას აძლევდა. და საერთო კეთილდღეობა კი დემოკრატიის საწინდარი იყო და არა პირიქით, როგორც ერთდროს ფიქრობდნენ

განმანათლებლები და პუმანისტები და მოქალაქე ფაქტიურად არის მომსმარებელი და მომსმარებელი, შესაბამისად, არის მოქალაქე, და საზოგადოების ყველა ფორმის განვითარება გადადის ლიბერალურ დემოკრატიაში და თავის მხრივ, ლიბერალური დემოკრატია მიგვიყვანს, შემდეგ, ხელისუფლების ყველა ავტორიტარული ფორმის შეწყვეტასთან და პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავისუფლებასთან და თანასწორობასთან და ასალ საუკუნესთან, ადამიანთა ისტორიაში, თუმცა, ის უკვე აღარ იქნება ისტორიული. მაგრამ ბევრმა ხალხმა არაფერი იცოდა ამ თეორიის შესახებ და აგრძელებდნენ ისტორიის შექმნას, თითქოს არც არაფერი მომსდარიყოს.

კატლიპ რეზიდენცია
ევროპა საუკუნის მოკლე ისტორია
მეოცე საუკუნის მოკლე ისტორია

გამოყენებული ილუსტრაცია უსასყიდლოდ მოგვაწოდა The Board of Trinity College Dublin-მა.

The copy of engraving has been provided by "The Board of Trinity College Dublin".

გამომცემელი – მარინე ცხადათა.

მხატვარი – გია ცხადათა

რედაქტორი – ანა ბუროშეილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა – მარიკა მიქელაძე

გამომცემლობა „პეგასი“
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 27
ტელ. 39 07 27, ტელ/ ფაქს 42 10 00
ელ-ფოსტა book@pegasus.ge
ვებ-გვერდი www.pegasus.ge

ISBN 978-9959-20171-9-5



რომ ბანაობის შემდეგ ყველა წავი-
დოდა მეორე ბანაკში, სადაც ისინი
იმუშავებდნენ, ვინაიდან ბეჯითი
მუშაობა საუკეთესო გზა იყო გა-
მოსწორებისკენ. გამის კამერებში,
სალსი შედიოდა სელებაწეული,
რაც შეიძლება ბევრი რომ დატეუ-
ლიყო, ხოლო მათ ზევით დარჩენილ
სივრცეში ბოლო წერტილი ბავშვებს
შეყრიდნენ, ისინი პატარები იყვნენ
და დიდ ადგილს არ იკავებდნენ. სან-
დასან, სადგურზე ორკესტრი იდგა,
რომელიც შედგებოდა ასალგამრდა
პატიმარი გოგონებისგან, თეთრ
ბლუზებსა და ლურჯ მაფროსულ
ქვედაკაბებში და არიებს უკრავდ-
ნენ ოპერეტებიდან.

გენოციდის პირველი შემთხვევა
მეოცე საუკუნეში, 1915 წელს მოხ-
და თურქეთში. თავიდან მთავრო-
ბამ დაპატიმრა და დასვრიფა 600
92 სომხური ოჯასი, რომლებიც კონ-

სფანტინოპოლში ცენტრობდნენ,
და განაიარადეს და დასვრიტეს
სომხური წარმოშობის ჯარისკაცე-
ბი, რომლებიც თურქეთის ჯარში
მსასურობდნენ. და ყველა სომებმა
ბრძანება მიიღო, ქალაქები და სო-
ფლები ოცდაოთხი თუ ორმოცდარვა
საათში დაეჭოვებინათ, და თურქელ-
მა არმიამ ქალაქების კარებთან
პოზიციები დაიკავა და როცა ხალხი
გამოვიდა, ყველა მამაკაცი დასვრ-
იტეს, ხოლო ქალები და ბავშვები
გაგზავნეს მესოპოტამიის უდაბნო
რაიონებში. ქალებს და ბავშვებს
სამასიდან სუთას კილომეტრამდე
მოუხდათ ფეხით გავლა საკვების
გარეშე და უმრავლესობა დაიღუპა.
და ფრანგებმა, ინგლისელებმა და
რუსებმა საპროტესტო ნოტა გაგზა-
ვნეს, სადაც, ისტორიაში პირველად,
ლაპარაკი იყო, დანაშაულის ჩადე-
ნაზე ადამიანურობას წინააღმდეგ.
ერთმა გერმანელმა ოფიცერმა კი-

დანაშაული
ადამიანურო-
ბას წინააღმ-
დეგ
93